გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№157 (216) 14-21 თებერვალი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# რამდენად მომგებიანი იქნება საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანება

*ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) 1949 წლიდან მსოფლიოს 28 სახელმწიფოსთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად ითვლება. ნატო-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლით არის გათვალისწინებული:*

*ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ერთ ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა, როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით, ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს, ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება.*

*აღნიშნული ორგანიზაციის ჩამოყალიბება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მოძლიერებას და მის სამომავლო სამხედრო პერსპექტივებს. სწორედ საბჭოთა კავშირიდან წამოსული საერთო საფრთხის გამო თურქეთი ნატოში 1952 წელს გაწევრიანდა, რამაც ცივი ომის პერიოდში მისი ვაშინგტონთან მჭიდრო კავშირი განაპირობა. თუმცა, ბოლო პერიოდში, თურქეთის პოლიტელიტა თურქეთის ნატო-დან გამოსვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდა.*

*ისეთი პატარა და დაუცველი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ნატო-ს წევრობა ნამდვილად დიდ პოლიტიკურ ფუფუნებას წარმოადგენს. თუმცა, ისევე, როგორც თურქეთში, საქართველოშიც პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა შორისაც ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.*

*პოლიტოლოგ* **გულბაათ რცხილაძეს** *ნატო-ში შესვლის კურსის არჩევა საქართველოსათვის დამღუპველად მიაჩნია. რცხილაძე ამ ყველაფერს შემდეგნაირად ხსნის:*

– **ნატო**-ში შესვლის კურსის არჩევა საქართველოსათვის აუცილებელი კი არა, დამღუპველი იყო. შეგახსენებთ, რომ **ნატო**-ში გაწევრიანების ინიციატივა შევარდნაძეს ჩააწვეთა მისმა გარემოცვამ. 1999 წლის დასაწყისში იმჟამინდელმა პრეზიდენტმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველო უნდა გახდეს **ნატო**-ს წევრი. კონკრეტული **"გათვლაც"** ჰქონდა პატივცემულ ედუარდს: ციტატა: **"2005 წელს უკვე ნატოს კარს მივუკაკუნებთ"**. მივუკაკუნეთ, ვაკაკუნებთ, ქუსლებსაც **"ვაბაკუნებთ"**, მაგრამ **ნატო**-ს კარი არ იღება, მხოლოდ ფანჯრებიდან გვიღიმიან **ნატო**-ს ფუნქციონერები და ხელსაც გვიქნევენ კეთილმეგობრულად.

თუ სააკოიდური რეჟიმი შევარდნაძეს და მის პოლიტიკას გულწრფელად გმობს და თავად პატივცემული მიშა თვითნებურად არ აძლევს პენსიას პატივცემულ ედუარდს, ანუ **"სჯის"** თავის წინამორბედს, მაშინ შევარდნაძის რადიკალურად პროამერიკული და პრონატორული კურსიც უნდა დაგმოს, მარტო შევარდნაძე, თურმე, მხოლოდ უშუქობა, უგაზობა და უპენსიობა ყოფილა, **ნატო** და ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი კი ამათი მიღწევაა... არა, ბატონებო, სააკოიდური რეჟიმი მთლიანად შევარდნაძის საგარეო პოლიტიკას აგრძელებს, ოღონდ უფრო მეტი ენერგიითა და რადიკალურობით. შევარდნაძის ამგვარი პოლიტიკა, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ საქართველო 1999 წელს მიესალმა ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვას (რის შედეგადაც იუგოსლავია დაიშალა, სერბეთს კი მისი ძირძველი მიწა – კოსოვო წაართვეს, რამაც, საბოლოო ჯამში, ჩვენც დაგვასაჩუქრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფით; დასავლეთმა იუგოსლავიის დაშლით უარი თქვა ტერიტორიული ურღვევობის პრიმატზე საერთაშორისო პოლიტიკაში და მას საბოლოო ჯამში რუსეთიც აჰყვა), უკეთეს შემთხვევაში არ ითვალისწინებდა, უარეს შემთხვევაში კი განზრახ, პროვოკაციის მიზნით ახდენდა რუსეთის გაღიზიანებას. რუსეთის ამგვარი გამოწვევით შევარდნაძე ერთის მხრივ პოპულისტობდა, საზოგადოებას თავს აჩვენებდა **"პატრიოტად"** (ეს კი უკვე საზოგადოების უმწიფრობის ბრალია – რატომ უნდა აღიქმებოდეს რუსეთის გაღიზიანება პატრიოტიზმად, ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაში?!). მეორე მხრივ, კი იგი განიცდიდა ამერიკელთა დიდ ზეგავლენას, შევარდნაძეს **ნატო**-სკენ ორიენტაცია ამერიკელებთან კონსულტაციის გარეშე არ გამოუცხადებია. **აშშ**-ს მიზანი, ამ შემთხვევაში, იყო **"გათიშე და იბატონე"**. საქართველო და რუსეთი უნდა წაჩხუბებოდნენ ერთმანეთს და ამ ფონზე **აშშ** საქართველოში საქართველოს **"მეგობრის"** იმიჯს ამკვიდრებდა, **"მტრული"** რუსეთის ფონზე, ხოლო სინამდვილეში საქართველოსთან საკითხს რუსეთთან ურთიერთობებში დიპლომატიურ იარაღად იყენებდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკელები რუსულ-ქართული კონფრონტაციის ფონზე აძლიერებდნენ თავიანთ გავლენას კავკასიაში და ეს ასეც მოხდა. არც რუსეთს და მით უმეტეს, არც საქართველოს, არაფერი მოუგიათ ორმხრივი დაპირისპირებით. რუსეთის გავლენა კავკასიის სამხრეთით, ბოლო ათწლეულის მანძილზე, შესუსტდა, ხოლო საქართველო ლამის სულ დაიშალა. სამაგიეროდ გაძლიერდა **აშშ**-ს პოზიციები. დღეს ყველამ ვიცით, რომ საქართველოში არაფერი წყდება მაკროპოლიტიკურ დონეზე, **აშშ**-ს ელჩის ჩარევის გარეშე, იქნება ეს მიტინგის დარბევის სანქცია თუ რომელიმე საკანონმდებლო ნორმის მიღება ან გაუქმება. საქართველოს კი გეოგრაფიულად გადამწყვეტი პოზიციები უკავია კავკასიაში. ვინც აკონტროლებს საქართველოს, იგი სტრატეგიული გავლენის ქვეშ აქცევს მთელ სამხრეთ კავკასიას. მთელი ამ ხნის მანძილზე დასავლეთი, ამერიკის მეთაურობით, აშანტაჟებს რუსეთს, რომ კასპიის რეგიონის ენერგორესურსები რუსეთის გვერდის ავლით, აზერბაიჯან-საქართველოს გზით დაუკავშირდება დასავლეთს.

**– ფაქტია, რომ რუსეთს აღიზიანებს საქართველოს მიერ აღებული ეს კურსი...**

– მთელი ეს რთული სქემა სათავეს იღებს რუსულ-ქართული კონფრონტაციიდან, რომელიც ჯერ კიდევ **ნატო**-ს საკითხამდე გაჩნდა, რიგი პრობლემების გამო (მათ შორის აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემების გამო), მაგრამ **ნატო**-ს თემის შემოგდებამ უკიდურესად გაამძაფრა ეს ურთიერთობები და დარეგულირების პერსპექტივები თითქმის მთლიანად მოშალა.

თუმცა პარადოქსი მთელ ამ ვითარებაში ის არის, რომ საქართველოს **ნატო**-ში სწრაფი გაწევრიანება არც 1990-იანი წლების ბოლოს იყო რეალური და არც ახლა არ არის. მკითხველი იკითხავს: თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ღიზიანდებოდა რუსეთი? ნუთუ რუსეთში საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანების არარეალურობას ვერ ხვდებოდნენ? რა თქმა უნდა, რუსეთში ამას ხვდებოდნენ, მაგრამ ჯერ ერთი, გამორიცხული ბოლომდე არაფერი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ **ნატო**-სკენ სწრაფვის დეკლარირებაში ქართული მხარე რუსეთისადმი თავის არამეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავდა, **ნატო**-ს საკითხზე აქცენტი ქართულ პოლიტიკაში ჩაბუდებული ანტირუსული განწყობების გამოხატულება იყო და ამასაც კარგად ხვდებოდნენ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს მმართველ წრეებში. ეს კი საკმარისი იყო საიმისოდ, რომ რუსეთიც ანალოგიურად, არამეგობრულად განწყობილიყო ჩვენდამი, საქართველომ კი საბოლოოდ დაიმკვიდრა **"ამერიკული მარიონეტის"** იმიჯი რუსეთში. ის, რომ რუსეთი თავად აწარმოებს დიალოგს **ნატო**-სთან, ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს.

გამოდის, რომ რუსეთი ჩვენ გამოვიწვიეთ, ჩვენი როყიო რიტორიკით, რაშიც **ნატო**-ს საკითხს დიდი უარყოფითი წვლილი აქვს შეტანილი. ერთი მხრივ, არც **ნატო**-ს წევრობაა რეალური, მეორე მხრივ კი, **ნატო**-ზე სიტყვიერი აქცენტიც გამორიცხავს რუსეთთან დაახლოებას. მე ჯერ კიდევ 12 წლის წინ ვწერდი. მაშინაც კარგად ჩანდა, თუ რას მოიტანდა საქართველოს მიერ აღებული რადიკალური დასავლური კურსი და იმჟამად გაკეთებული პროგნოზი, სამწუხაროდ, მთლიანად გამართლდა: **"რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა საქართველოს შესვლა ნატო-ში. ბოლოს და ბოლოს მოსკოვი ბაქო-ჯეიჰანის პროექტზეც თვალს დახუჭავს, ბაზების გატანასაც შეეგუება, მაგრამ ნატო-ს შემოსვლას საქართველოში და იქ დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას არ მოითმენს! დავსვათ კითხვა: საქართველოს აქვს იმდენი დრო, რომ, ვთქვათ, 20 წელი ველოდოთ ნატოს, როდის მიგვიღებს? გამოდის რომ მანამდე გამუდმებულ კონფრონტაციაში უნდა ვიყოთ რუსეთთან, რაც გამოგვფიტავს, თუ ნატო-ს დასჭირდა. ისე მოგვეპყრობიან, როგორც ჩეხოსლოვაკიას მოეპყრნენ მიუნჰენში 1938 წელს".**

დღეს საქართველო დაყოფილია გავლენის ზონებად. ქვეყნის 20 პროცენტს რუსები აკონტროლებენ, დანარჩენ 80-ს კი შეერთებული შტატები. ხელში კი არც **"მაპი"** და არც **"მაპზე"** უკეთესი გვაქვს.

**– ქართულ პოლიტიკაში არიან ადამიანები, რომლებიც აპირებენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას. ამ ორიენტირით რამდენად იქნება ეს შესაძლებელი?**

– კარგი იქნება, თუ ვინმე ჰკითხავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც გულწრფელად აქვს დასახული რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება, მაგრამ ამავე დროს ისიც ნატოს კურსის ურღვევობაზე საუბრობს, თითქოს რაიმე ორგანიზაციაზე კი არ საუბრობდეს, არამედ მზეთუნახავ ნატოზე. ჯადოსნურ ჯოხს ფლობს ბატონი ბიძინა თუ როგორ აპირებს ცეცხლის და ყინულის ერთმანეთთან შეთავსებას? როგორ წარმოუდგენია მას, ისევ პრონატოური რიტორიკით ვის მოხიბლავს იგი რუსეთში? ბატონ ბიძინას დასჭირდება იმის შეხსენება, რომ თავიდან არც მიხეილ სააკაშვილი იყო თავგადაკლული ანტირუსი. მან სცადა პუტინთან ურთიერთობის დათბობა 2004 წლის დასაწყისში, მაგრამ ჟურნალისტ ოლეგ ოსეტინსკისადმი მიცემულ ინტერვიუში მან ასევე განაცხადა: რუსეთთან მეგობრობაც გვინდა და **ნატო**-ში წევრობაცო. არ უნდა გაიმეოროს ბატონმა ბიძინამ მიშური სისულელე, რომელიც რუსების მიამიტობაზე იყო გათვლილი. არც ქართველი ამომრჩეველი **"ჩაყლაპავს"** უკვე ამგვარ პრიმიტიულ არგუმენტებს, არათუ რუსული პოლიტიკური ელიტა! ქართველი ამომრჩეველიც დროთა განმავლობაში უკეთესად გაერკვა საერთაშორისო ვითარებაში და ის მაინც ესმის, რომ **ნატო**-ში წევრობისაკენ გეზის აღება და რუსეთთან მეგობრობა, ერთდროულად, შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალში ეს ასე იქნება.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე



4 თებერვალს, ღამით, თბილისში, მოსკოვის გამზირზე, მერიის თანამშრომლებმა 70-მდე ფიჭვი მოჭრეს, გაჩეხილი ფიჭვნარის ადგილას კი პოლიციის შენობის აშენება იგეგმება. ნაძალადევში, კიკვიძის ბაღში, 60-მდე მრავალწლიან ნარგავსაც გაჩეხვა ემუქრება. იქაურობასაც, სავარაუდოდ, პოლიციის გამჭვირვალე შენობა **„დაამშვენებს"...**

**„როდესაც ტერიტორიის შემოღობვა დაიწყეს, განგაში ავტეხეთ. აქ 50-60-წლოვანი ნარგავებია და როგორ შეიძლებოდა მათი გაჩეხვა? მუშებმა გვითხრეს, პოლიციის შენობას ვაშენებთო. ამის გამო ამდენი ხე უნდა გაეჩეხათ? პოლიციის შენობა აქვე ახლოს უკვე ააშენეს, საქართველო პოლიციური სახელმწიფოა თუ რა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე პოლიციის შენობას რომ აშენებენ?! დასახმარებლად არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცეს" მივმართეთ, იქნებ როგორმე შეგვეჩერებინა ხეების მოჭრა, ეს ხეები აქ 1963 წელს ჩარგეს. მათ გაზრდას ხომ დრო უნდა?"** – ამბობს მოსკოვის გამზირზე მცხოვრები ქალბატონი.

**მერაბ ჩიქოვანი**, არასამთავრობო ორგანიზაცია **„უსაფრთხო სივრცის"** ადვოკატი: – **„იმის დასადგენად, თუ რა შენდება ამ ტერიტორიაზე, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას მივმართეთ. ზედამხედველობის სამსახურში დაგვიდასტურეს, რომ ტერიტორიაზე პოლიციის შენობა შენდება. აღსანიშნავია, რომ ამ**

## ფიჭვნარის ნაცვლად... პოლიციის გამჭვირვალე შენობა

**შემთხვევაში კანონი რამდენჯერმე დაირღვა: ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ სამშენებლო ობიექტზე განთავსებული არ არის საინფორმაციო დაფა, სამართალდარღვევაა. ტერიტორია არ იყო სრულად შემოფარგლული უსაფრთხოების ღობით, რაც ასევე კანონის დარღვევაა; ნარგავების განადგურებისას არ იყო მონიშნული მოსაჭრელი ხეები; შემსრულებლებს არ ჰქონდათ როგორც ხეების ჭრის ნებართვა, ასევე უწყისი, სადაც აღრიცხული იქნებოდა მოსაჭრელი ხეების რაოდენობა."**

დაუზუსტებელი ინფორმაციით, მორიგი გამჭვირვალე შენობის აგება კიკვიძის ბაღშიც იგეგმება. ბაღის ერთ ნაწილში, რომელიც სანახევროდ შემოღობილია, 60-მდე მრავალწლოვან ხეს ემუქრება გაჩეხვა.

**ნატო ზაალიშვილი**, ნაძალადევის მცხოვრები: **„კიკვიძის ბაღის შემოღობვა 4 თებერვლიდან დაიწყეს, ძალიან სწრაფად მუშაობენ. ბაღში რა უნდა პოლიციის შენობას? ეს ერთი დასასვენებელი ადგილიღა დაგვრჩა პენსიონერებს. აქ ასწლოვანი მარადმწვანე ხეები დგას და მათი გაჩეხვა როგორ შეიძლება?!"**

**ლაშა ჩხარტიშვილი**, ეკოლოგი: **„ამ ტერიტორიებზე პოლიციის შენობის მშენებლობა იწყება. შემოღობილია საკმაოდ დიდი ფართობი, მოსახლეობა თუ იაქტიურებს, შესაძლოა ეს სივრცე გადარჩეს. აღსანიშნავია, რომ გამგეობის შენობის ასაშენებლად გლდანში სკვერი გაიჩეხა, განადგურდა ფიზიკის ინსტიტუტის უნიკალური ბაღი, სადაც ასწლოვანი ხეები იდგა, იქ აშენდა ვაკე-საბურთალოს გამგეობის შენობა. ისანში, ყოფილი შავი ზღვის უნივერსიტეტთან, გაიჩეხა ფიჭვებით გაშენებული ტერიტორიის საკმაოდ დიდი ზოლი. ხელისუფლებას არ აინტერესებს ადამიანის ჯანმრთელობა, ბუნების სიყვარულზე ლაპარაკიც აღარ არის."**

შენდება თუ არა პოლიციის შენობები კიკვიძის ბაღში და მოსკოვის პროსპექტზე გაჩეხილი ფიჭვნარის ადგილას? – ამ კითხვით **შსს**-ს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს, ზურაბ გვენეტაძეს მივმართეთ. ბატონი ზურაბი საკითხის გარკვევას დაგვპირდა. მოგვიანებით კი ჩვენს ზარს აღარ უპასუხა.

რისთვის შემოიღობა კიკვიძის ბაღი და რის საფუძველზე გაიცა მოსკოვის გამზირზე ფიჭვის მოჭრის ნებართვა? – ვკითხეთ მერიის პრესსამსახურის თანამშრომელ თეა შათირიშვილს, რომელიც დაგვპირდა, საკითხს გაგირკვევთო, მაგრამ ისიც ისევე მოიქცა, როგორც ზურაბ გვენეტაძე – ჩვენს ზარს აღარ უპასუხა...

მ. ჯოხაძე

# ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის წერილი სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს

## ქართული სამეფო სახლის მეთაური, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი

**მის უწმინდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილს!**

გილოცავთ დამდეგ ახალ, 2012 წელსა და ქრისტეს შობის დღესასწაულს.

თქვენო უწმინდესობავ!

გამოვხატავ რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, მინდა, მადლობა გიძღვნათ იმისათვის, რომ 2011 წლის ნოემბერში უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მოსკოვში ვიზიტის დროს კვლავ იქნა განხილული ქალაქ ასტრახანში დაკრძალული ჩემი წინაპრების – მეფეების – ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) და თეიმურაზ II-ის (1700-1762 წწ.) სამშობლოში – საქართველოში გადმოსვენების საკითხი, რასაც გულითადად მიესალმებიან როგორც ჩემი სამეფო ოჯახის წევრები, ისე ბაგრატიონთა მთელი გვარი და ქართველი ხალხი.

იმედს გამოვთქვამ, რომ, უფლის შეწევნითა და თქვენი ხელშეწყობით, ქართველი მეფეების ანდერძი მალე აღსრულდება. აგრეთვე, თქვენი ყურადღება მსურს, მივაპყრო მოვლენებს, რომლებიც უკავშირდება XVII-XVIII სს. ქართულ პანთეონს ქ. მოსკოვში, საპატრიარქო სამონასტრო ეკლესიის – ვსესვიატსკოეს ტაძრის ტერიტორიაზე (რომელიც 1733-1736 წლებში დარია არჩილის ასულმა ბაგრატიონმა დააარსა). აქ სამეურნეო ნაგებობათა მართლმადიდებლობისათვის მიუღებელი მშენებლობა მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს რუსულ-ქართული კულტურული მემკვიდრეობის განადგურების საძრახის პროცესებს. გთხოვთ, გაიზიაროთ ჩვენი გულისტკივილი და სათანადო ზომები მიიღოთ.

წინასწარ გიძღვნით მადლობას.

**ჩვენთან არს ღმერთი!**



*Глава Грузинского Царского Дома,*
*Наследник Грузинского Царского Престола,*
*Царевич Нугзар Багратион-Грузинский*

# საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა! პატიმართა რაოდენობით...

ამ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ცენტრი ლონდონში მოქმედი ორგანიზაცია „International Centre for Prison Studies“-ის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, საქართველო ამ მხრივ ევროპაში პირველ ადგილზეა, ხოლო მსოფლიოში – მეოთხეზე.

კერძოდ, თუ 2003 წელს 100 ათას მოსახლეზე 148 პატიმრის მაჩვენებლით საქართველო 155 სახელმწიფოს შორის 59-ე ადგილს იკავებდა, 2012 წლისთვის იგი ამავე რაოდენობის მოსახლეზე 539 პატიმრით 216 ქვეყანას შორის უკვე მე-4 ადგილზეა და მე-6 ადგილზე მყოფ რუსეთს გაუსწრო, რომელიც მანამდე მესამე ადგილს იკავებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ხელისუფლებას მოუწოდებს, **„დაიწყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის რეალური ლიბერალიზაცია და უარი თქვას მოჩვენებით, კოსმეტიკურ ცვლილებებზე“.**

**„საპატიმროების გადატვირთულობის აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა“** – ნათქვამია ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებაში.

## გარდაიცვალა

# ჯონ შალიკაშვილი

შაბათს, 75 წლის ასაკში, სისხლის ჩაქცევით გამოწვეული გართულებების შედეგად გარდაიცვალა აშშ-ის გადამდგარი გენერალი, **აშშ**-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ჯონ შალიკაშვილი.

მამით ქართველი და დედით პოლონელი შალიკაშვილი, რომელიც 1936 წელს დაიბადა პოლონეთში, მოგვიანებით **აშშ**-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო, რომელიც ამერიკის ფარგლებს გარეთ დაიბადა.

ეს თანამდებობა მან 1997 წელს დაიკავა, ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს, რომელმაც ის პრეზიდენტის მშვიდობის მედლით დააჯილდოვა. მანამდე შალიკაშვილი ნატოს ჯარების მთავარსარდალი იყო ევროპაში.

**აშშ** ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მაღალი შეფასება მისცა ჯონ შალიკაშვილის დამსახურებას: **„შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ჭეშმარიტი ჯარისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე, რომლის გამორჩეული ბიოგრაფია წარმოაჩენს ამერიკის დაპირებას და უსაზღვრო შესაძლებლობებს, რომლებიც ღიაა მათთვის, ვინც მის მსახურებას აირჩევს,“** ნათქვამია ობამას განცხადებაში. **„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში 16 წლის პოლონელ იმიგრანტად ჩამოსვლიდან, ახალგაზრდა კაციდან, რომელიც ჯონ ვეინის ფილმებით სწავლობდა ინგლისურს – უმაღლესი სამხედრო თანამდებობებით დამთავრებული, რომლებსაც მან მიაღწია – შალის ცხოვრება იყო მხოლოდ ამერიკაში შესაძლებელი ამბავი.“**

შალიკაშვილი 1958 წელს გაიწვიეს ჯარში. იგი კორეასა და ვიეტნამში მსახურობდა. 1991 წელს სათავეში ჩაუდგა ერაყელი ქურთებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების პროგრამას. ობამას თქმით, შალიკაშვილმა დიდი როლი ითამაშა რუსეთთან მჭიდრო კავშირების გაღრმავებაში და **აშშ**-ის სამხედროებისა და მათი ოჯახების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

# კოტე ნაჭყებია

თეში ხოლო ვარე სქვამი,
გიშურუე არძა სენც,,
უდუდკოჩე დიარას,
აკონწყილით აკმოცენს,.
მუს ვორწყექ,ნ»,თის ბრაგადა,
ვებჩიებუქ¿ მოძინელც,,
ქვითორ» ჩხომქ,თ ქიგირციუ,
ართ» დროს მორღვა ონძილეს,.
ბრელი ლანდიქ ხოლო მედინ,
მუნაფაშე ორო დღას,.
კილ-კილიშე აკიფაჩ,
ჯვეშიშ» აკნაკორობაქ,.
მა სო იბღა „ათე ჭარა
უღანკე დო უკიბირე,
სუმშე უკ¿ლაშ» ხონარით,
ჩქინობურათ მუ იბირე.
მარჩქილეში უმუშოთ,
მის, ოკო სქანი მოკო?!
უ„ალეთ, ჯა გორდილი
გინ,მართუნა ხუგეგ» როკო.
ჭყონი კ,ს, ვანკიღანს,,
ქიგიოდინუ ხვე ჭვალას,,
კაკლარ» ძ,გ,რი გეშაფალ,ნც
საოზეთ, ნაჭვარას,.
გეგნობორ,ნს მუნაფეფც,,
თაქ» ვადაბუნს ართ» ჭვეთის,,
უმოსის დოტატარანც,
ნატკვარტკვალა-ნაჭვეფის,.
გერეშ» გერე ირო ი„ი»,
არძა ბორჯის მოძენც, ჯღალი,
მთავარი რე ოგვაჯეს,
გეძ,დას,ნი ორქოშ» ჯალი.
დოფას შურცუ ქიმთვოფორა,
ოჭმარეშო მა„ი ალი...
ოღონც მუმულ» ქოპუნდას,
მუშ» ბორჯიში მა„იალი.
მელას ართ» წიწილა ვარა
ვაჩენ»,ჟინიშ» წყინაფა რე,
ხვალე მუმულ» ვამომჩალას
ირიშ» მაკურცხინაფალი.
აიშხ მუმულ» ქოპუნდესკონი
მაჩართალი ხარილიში,
ნამთინც ვაგმაბორენდეს,
ყვანტალუა ყვარილიში.
ხოლო ჯგირო გინვოსქიდით
უგამაგაშ» გ,მუას,,
ნწარეს მიკიფქინჩუდით,,
მუჭოთ ჰამო-გემუანც,.
ალბეთ გემო ვაფშ,დეს,
ჯვეშიშ» ტომბა ნოქურიში.
ქვერსემ» ყილოში ნალ,მას,
ვაუჩინით თინ, ღანკი.
მანჯღვერო ქიმიფრჩქინით,
უწყარმაკე ჭია – ღვანკი.
დინაფილ» რე ,მაჯინეს,
კვანთ,რი თოლი მარგალუნი,
საქორთუოთ ღურელი რე
ვებურჯანცდა მარგალური.
უჩხვიჩხვეთ, ეშალაფა
ოხიოლ, ნამ¿ ლატის,?!
ალბეთ,წ,მი უჯინელს,,
მერჩქვანელც ღალატის,.
ნამუს ვასვენ ხი დო ორე,
მაძინალ» დო მარკებელი,
უსარგებლეშ» სარგებელი
დღას, ვარე მარგებელი.

# კიდევ რა კანონს უნდა ველოდოთ დამფრთხალი სააკაშვილისა და მისი ნაცებისაგან?

სიტყვა **„დემოკრატია“** რომ ადამიანი იყოს, ალბათ, პარლამენტთან საპროტესტო აქციას გამართავდა, ჩემი სახელით რა უაზრო კანონებს იღებთო, მაგრამ **„დემოკრატია“**, საუბედუროდ, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვაა და ამას ვერ აკეთებს, კიდევ უფრო საუბედუროდ – ჩვენ კი ვართ ადამიანები, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ჩვენ ვაპროტესტებთ ჯეროვნად იმ სრულიად უაზრო კანონებს, რომელთაც **„დემოკრატიისა“** და **„ხალხზე ზრუნვის“** სახელით იღებს ხელისუფლება, კანონები კი ძალიან ლამაზი სიტყვებით არის შეფუთული: **„გამჭვირვალე ფულიო“**, **„არადემოკრატიულია ხალხის მოსყიდვა და ცოდვაა უდიდესიო“**, ესაო, ისაო... მოკლედ, ცრემლი მოგადგება კაცს, არადა, ყველაფერი ძალიან მარტივია – რისი დემოკრატია, რა ხალხის უფლებები! ამ ბოლო ხანს მიღებულ ყველა კანონს ერთი სახელი აქვს: **„რა გავაკეთოთ ისეთი, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში ვერ მოვიდეს?!“**

ჩვენ გვაქვს სხვა ვარიანტებიც, რა კანონებს მიიღებს ხელისუფლება უახლოეს მომავალში **„დემოკრატიის“** სახელით.

მაშ, ასე: კანონები, რომელთა მიღებასაც უნდა ველოდოთ და ახსნა, თუ რატომ მიიღეს ეს კანონები:

1. ქართული ანბანიდან უნდა ამოვიღოთ ასოები **„ბ“** და **„ძ“**. ვინც ამ ასოებს გამოიყენებს, დაჯარიმდეს 10.000 ლარით!

**ახსნა:** ქართველები ოდითგანვე ებრძოდნენ ასოებს – **„ძ“**-ს და **„ბ“**-ს. გაიხსენეთ სახელი შაჰ-აბასი, რომელშიც არის ასო **„ბ“**. რამდენი ქართველი შეეწირა მასთან ბრძოლას! ან **„ძ“**, რომელიც სიტყვა **„ძალადობის“** პირველი ასოა. როგორ შეიძლება ანბანში მისი დატოვება! ხალხისთვის უკეთესია, ეს მავნე ასოები დავივიწყოთ და დღეიდან პრეზიდენტის სრული სახელი უნდა იყოს მხოლოდ – **მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი!**

2. დაბალი ტანის მამაკაცებს, რომელთა სიმაღლე 175 სმ-ზე მეტი არ არის, ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

**ახსნა:** დაბალი იყო აღა-მაჰმად-ხანი – საქართველოს წურბელა! ან კიდევ, პუტინი და მედვედევი გავიხსენოთ – ორივე დაბალი და შესაბამისად, ჩვენი სააკაშვილის დაუძინებელი მტრებია, პუტინი კი ის კაცია, ვინც სააკაშვილის დაკიდებას აპირებს ერთი ადგილით! ნუთუ ეს არ არის საკმარისი, დავიჯეროთ, რომ დაბალი ადამიანების პოლიტიკაში მოსვლა ჩვენი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს?!

3. დაპატიმრებული იქნეს ყველა ის ადამიანი, რომლის დაბადების ადგილის აღმნიშვნელ სიტყვაში არის **„ჭორ“** ან **„ვილა“**!

**ახსნა: „ჭორზე“**, იმედია, არ შემეკამათებით – ჭორებმა დაღუპა კაცობრიობა! რაც შეეხება **„ვილას“**, ეს არის კორუფციით გამდიდრებული ადამიანის სახლი და ასეთსიტყვებიანი სოფლებიდან თუ ქალაქებიდან წამოსული ადამიანების ადგილი მხოლოდ ციხეშია!

4. ხელისუფლებაში მოსვლა ეკრძალება ადამიანს, თუ მისი მეუღლე ქართველია.

**ახსნა:** პოლიტიკოსს არ შეიძლება ჰყავდეს ქართველი ცოლი, რადგან ის გაუთავებლად წუწუნებს: **„სად იყავი?“ „კიდევ გათხლეშილი მოხვედი?“ „უსაქმურო, ქალებში ეგდე, ხომ?“** ასეთ ცოლს ხშირად დასახმარებლად მოჰყავს დედა, ამიტომ ასეთცოლიანი ადამიანების ადგილი პოლიტიკაში არ არის!

5. ფულის დახარჯვა საარჩევნოდ შეუძლიათ მხოლოდ **„ნაციონალებს“**!

**ახსნა:** ჯერ ერთი, **“ნაციონალების”** ფულს რუსული სუნი უკვე აღარ ასდით, ხოლო ფულის ფლანგვა არის ცოდვა, ამიტომ ხალხს თუ სხვა პარტიის წარმომადგენლებს ცოდვაში ფეხს ვერ ჩავადგმევინებთ და ამას ჩვენს თავზე ვიღებთ.

6. ყველა ადამიანი, განურჩევლად რასისა, სქესისა და მრწამსისა, ვალდებულია, ხმა მისცეს **„ნაციონალებს“**.

**ახსნა**: ამას ჩვენ ვერ ვხსნით, ამიტომ ვანო აგიხსნით, მერაბიშვილი შემდეგი სიტყვებით: **“არა არს დედამიწის ზურგზე, სხვა ღმერთი, გარდა ნაციონალებისა და მათი ბელადის მიხო მაღალისა”.**

7. მოკლე კანონი, რომელიც ყველა კანონს ერთად მოიცავს: **ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ვერ მოვა!!!**

**ახსნა**: ამას არ ავხსნით, იმიტომ, რომ ჩვენ ასე გვინდა! რა, რამე პრეტენზია გაქვთ?!

**რ.ჯ.**

## ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

# მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156)

(ანოტაცია)

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, თუ როგორ იძენენ საგნის სახელდების ფუნქციას **ჯღგრჯღგ** და მისთანა ხმაბაძვითი ფორმები.

**ჯღგრჯღგ და მისთანა ხმაბაძვით თანხმოვნურ ფორმებთან წარმოდგენილი (თანმხლები) ემფატიკური ნახევრადხმოვანი** გ **ბგერა, მისმიერი ჩვენებით-მიმთითებლური ტონალობითა და მახვილით, როგორც წესი, უთქმელად, წარმოაჩენს მნიშვნელობას: „არის“, — „ასეთი ხმიანობისა, ბგერადობისა (საგანი, მოვლენა) არის“. ამითი ხდება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმის დეტერმინაცია (განსაზღვრა, აღჭურვა) გარკვეული იდეით შესაბამისი საგნის შესახებ, ანუ, — ფორმის პირველადი (ამოსავალი) მოტივაცია.**

ამრიგად, **ჯღგრჯღგ** **და მისთანა ხმაბაძითი თანხმოვნური ფორმების წარმოთქმისას თუ მოსმენისას, ადამიანის გონებაში, წარმოდგენის სახით, ისახება შესაბამისი საგნის ხატი ანუ სურათი, რაც მსგავსია საგნისა, ანუ იკონურია, გამომსახველობითია. ასე მყარდება მიმართება ბგერასა (ფონემასა) და საგანს შორის. ასე მიიღება ცოცხალი, მეტყველი, იდეამატარებელი ფუძე, მასში ჩაქსოვილი წარმოდგენითურთ. ასე ხდება ბგერის (ფონემის, ხმაბაძვითი ფორმის) გაიგივება საგანთან. ასე იღებს ბგერა (ფონემა, ფონეტიკური ერთეული) თავის თავზე საგნის სახელდების ფუნქციას. ასე ხდება საგნის სახელდება მისი (საგნის) ბუნებითობის, კერძოდ, ხმაბაძვითობისა და იკონურობის, საფუძველზე. ასე მიიღება პირველყოფილი სიტყვები — ხმაბაძვითი ძირისეული თანხმონური ფორმების, კერძოდ, ერთეული თანხმოვანი ბგერების, თანხმოვან ბგერათა ჰარმონიური კომპლექსებისა და ამათი განაერთების სახით (როცა ასეთები გვაქვს). ასე წყდება, ერთდროულად, ბუნებაში მოცემული ბგერებიდან ერთეული თანხმოვანი ბგერებისა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების, — როგორც სამეტყველო ბგერითი, იგივე ფონეტიკური, ერთეულების, — გამოყოფა-გამომარცვლის, ანუ სამეტყველო (დანაწევრებული) ბგერების მიღების, მასთანავე პირველყოფილ სიტყვათა წარმოქმნისა და საგანთა სახელდების პრობლემა იმ უშორეულეს წარსულში.**

**საგნის (საგნების) სახელდება კი, ცხადია, ამავე დროს, ნიშნავს ადამიანის მიერ ბუნების საგანთა შესახებ გარკვეული ცოდნის მიღებას ანუ საგანთა სამყაროს შეცნობას, ადამიანური აზროვნების განვითარებას და თვით ადამიანის, — როგორც ასეთის, — ჩამოყალიბებას.**

მაშასადამე, **ადამიანური მეტყველებისა და ენის წარმოშობა და თვით ადამიანის წარმოშობა ერთიანი მოვლენაა დედამიწაზე.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, **პირველყოფილი მეტყველება ეს იყო მეტყველება თანხმოვნური ფორმებით, უთავდაპირველესი მარცვალწარმომქმნელი ემფატიკური (ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვით მიღებული) ნახევრადხმოვანი** გ **ბგერის თანხლებით, ანუ, ეს იყო მეტყველება ერთ ენაზე — ბუნების ენაზე.**

რაც მეტად საყურადღებოა: გ **ბგერა, თავის მხრივ, სხვა არაფერია, თუ არადა ემფაზიის ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვის შედეგად მიღებული ბგერა. მისთვის დამახასიათებელია ჩვენებით-მიმთითებლური ტონალობა, ანუ მახვილი, რითაც იგი გვევლინება ხმაბაძვით თანხმოვნური ფორმის იდეაგანმსაზღვრელი ანუ დეტერმინანტი ბგერის სახით.**

ამრიგად, **პირველყოფილი თანხმოვნური ფორმები იმთავიდან არ იყვნენ გადიფერენცირებულნი მეტყველების ნაწილებად, კერძოდ, ზმნებად და სახელებად. ისინი ერთდროულად წარმოადგენდნენ ზმნებსაც და სახელებსაც.** მეგრულში დღემდე შემონახული თანხმოვნური ფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ასეთებია. მაგალითად: **სქგრ**გ 1. შრება; 2. მშრალი; **ზგრტ**გ 1. იზგლიტება, სლიპინებს; 2. ზგლეტადი სლიპინა; **წყგრტ**გ 1. იწყლიტება; 2. წყლეტადი; **ჭგრკ**გ 1. ჭკნება; 2. მჭკნარი და ა. შ.

მაგრამ, გ ბგერას, ბუნებითად, ახასიათებს სწრაფვა ხმოვანი ბგერებისკენ. იგი ადვილად განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას და გარდაისახება, უწინარეს ყოვლისა, **ი** და უ ხმოვან ბგერებად, შემდგომ ამისა, — **ო, ა** და **ე** ხმოვან ბგერებადაც. ესე იგი, ხმოვნები, პტაქტიკულად, წარმოადგენენ გ ჩვენებითი ემფატიკური ბგერის ფონეტიკურ ნაირსახეობებს, ანუ ვარიანტებს. ამდენად, გ ბგერა არის უთავდაპირველესი ნახევრადხმოვანი და მასთანავე ნახევრადთანხმოვანი (უპირატესად ხმოვნისკენ გადახრილი) ბგერა. ეს დასტურდება შემდეგი ფაქტებითაც:

გგგ ბგერათა რიგით ტირიან ნებისმიერი ეროვნების ბავშვები დაბადებიდანვე და, შემდგომ ამისა, წარმოთქვამენ (ენის ადგმისას) სხვა ხმოვნებს. მეტიც, გ ბგერას იღებენ ცხოველებიც კვნესისას, ცალკეც და ყგ ბგერასთან ერთადაც. გ ბგერით უჩვენებენ საკუთარ მე-საც და სხვა ობიექტსაც ერთმანეთს ყრუ-მუნჯები. გ ბგერით უდასტურებენ ურთიერთნათქვამს ერთმანეთს ნებისმიერი ეროვნების ადამიანები, განსაკუთრებით, ტელეფონით საუბრისას. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ გ ბგერისმიერი გახმოვანების თანხმოვნური ფორმები ყველა ენაში არა გვაქვს. იგი გვაქვს მეგრულ და სვანურ ენებში, ასევე დაღესტნურ, თურქულ, სომხურ და რიგ სხვა ენებში. მაგრამ არა გვაქვს იგი, საერთო ქართულ ენაში და საკუთრივ ქართულ (ქართლურ ენაში), გვაქვს მხოლოდ ქართული ენის ჯავახურ, მესხურ და ინგილოურ კილოებში ანუ დიალექტებში. ეს იმიტომ, რომ ქართულში, ასევე სხვა ენებში, სადაც გ ბგერა არა გვაქვს, თავდაპირველი თანხმოვნური ფორმები სრულად გახმოვანებულია, ხოლო მეგრულში და სხვა ენებში, სადაც გ ბგერა და მისმიერი გახმოვანების ფორმები დღემდე შემონახულია, ჯერაც არ არის დამთავრებული ფორმათა გახმოვანების პროცესი. იგი, აქ, კვლავაც მიმდინრე პროცესია. ამის დასტურია, შემდეგი ფაქტები:

ასე, მაგალითად, მეგრულში ერთსა და იმავეს აღნიშნავენ ფორმები: **ლგბგ|ლგბე||ლიბე||ლუბე** უბემური, **ლგყგ|ლგყე||ლაყე||ლიყე||ლუყე** მყაყე, **ჩქგჩქგ||ჩქიჩქი||ჩქიჩქუ** ბავშვი, ჩვილი. მეტიც, ერთსა და იმავეს აღნიშნავენ ამგვარი ფორმებიც: **გგ||გუ||გუნ** გავს, **დგგ|დგუ||დგუნ** დგას, **ძგ||ძუ||ძუნ** ძევს, **ჩქგ||ჩქუ||ჩქუნ** ჩანს და სხვა.

ამგვარ ფორმებში, მართალია, ფორმათა ფორმობრივი გადიფერენცირება მომხდარია, მაგრამ ჯერაც არ მომხდარა მათი შინაარსობრივი ანუ სემანტიკური გადიფერენცირება. ამიტომაც, ამგვარი პარალელური ფორმები ერთსა და იმავეს აღნიშნავენ.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. კერძოდ, რიგ ფორმებთან, როცა ბოლოკიდურა გ გარდაქმნილია **ი**-დ, ეს უკანასკნელი გვევლინება სახელობითი ბრუნვის ნიშნად და გვაქვს სახელი, ხოლო როცა ამავე ფორმებთან ბოლოკიდურა გ გარდაქმნილია **უ**-დ, ეს უკანასკნელი (**უ**) გვევლინება პირის ნიშნად და გვაქვს ზმნები. ასე, მაგალითად, თუ კი ფორმა **სქგრ**გ ერთდროულად სახელიცაა და ზმნაც და აღნიშნავს: 1. მშრალი; 2. შრება, ფორმა **სქირი** აღნიშნავს მშრალს, ხოლო ფორმა **სქირუ** — შრებას და ა. შ. სხვა შემთხვევაში, ფორმა **ჯღგრჯღგ** აღნიშნავს ჩხართვს, მაგრამ, ფორმა **ჯღგრჯღინი** — ჯიჯღინს, ხოლო ფორმა **ჯღირჯღალი** (ასევე, ფორმები: **ჯღორჯღო, ჯღორჯღოლია**) — გაბარჯღულ საგანს, **„ბარჯღულას“** და ა. შ.

როგორც ვხედავთ, **პირველყოფილი მეტყველებისათვის დამახასიათებელი** გ **ბგერისეული გახმოვანების თანხმოვნური ფორმები (სიტყვები) განიცდიან რა სხვადასხვა ხმოვანი ბგერებით გახმოვანებას, ხმოვან ბგერებად** გ **ბგერის სრულად გარდასახვა-გახმოვანების ანუ გასრულხმოვნების წყალობით, — ფორმობრივ გადიფერენცირებასთან ერთად, ჩვეულებრივ, განიცდიან სემანტიკურ გადიფერენცირებასაც და გვაძლევენ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს.** ასე, მაგალითად, წყლის ჩუხჩუხის გამომხატველი **ჩხრრრჩხრრრ** შორისდებულიდან მიღებული **ჩხგრჩხ**გ ფორმა გახმოვანების შედეგად გვაძლევს ფორმებს: **ჩხარჩხალი** ჩუხჩუხი, ზედმიწევნით ჩხარჩხარი, **ჩხერჩხელი** ბარჯღულა რამ საგნის თრევითი მოძრაობა, წაღება და სხვა, **ჩხირჩხინი** ბარჯღულა საგნის გამომზირადობა ან არსებობა ასეთი სახით (ფორმით, გამომეტყველებით...), **ჩხორჩხო, ჩხორჩხოლია** ბარჯღულა რამ საგანი, **ჩხურჩხული** ჩუხჩუხი. ამათგან კი, თავის მხრივ, მიღებულია ახალი მნიშვნელობის ასობით ფორმა ანუ სიტყვა, იგივე, ენობრივი ნიშანი, ცხადია, — ფორმათა შემდგომი აფიქსაცია-გრამატიზაციის მეშვეობით. საქმე ის არის, რომ გ-ბერისეული გახმოვანების **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები, თავიანთ მხრივ, ესწრაფვიან მარცვლის დახურვას, რისი უნარის წყალობით, როცა ისინი სუფიქსებად გვევლინებიან, საჭიროებისას იახლებენ ამა თუ იმ სონორ ბგერას და გვაძლევენ ხმოვან-თანხმოვან სეგმენტებს, სუფიქსების სახით. ასე, მაგალითად: **გ||გუ||გუნ** (გავს), **ძგ|ძუ||ძუნ**გ (ძევს) და ა. შ. ამგვარ საფუძველზეა მომხდარი ფორმათა აფიქსაცია-გრამატიზაცია აგლუტინაციურ და ფლექსიურ ენებში, გნებავთ, ძირისეულ და ინკორპორაციულ ენებშიც, მათი გახმოვანების დონის კვალობაზე.

მაშასადამე, **აფიქსები, კერძოდ, სუფიქსები, პრეფიქსები და ინფიქსები ანუ ბოლოსართები, წინსართები და შიგსართები, ასევე ზმნისწინები, სიტყვებში წარმომავლობენ** გ **ბგერისაგან. მეტიც** გ **ბგერისაგან წარმომავლობენ ნაცვალსახელები, ზმნები და ცალკეული მეტყველების ნაწილები, ყოველ შემთხვევაში, — ამათი უდიდესი ნაწილი.** ასე, მაგალითად, გ-თი ჩვენ, მსგავსად ყრუ-მუნჯებისა, ვუჩვენებთ ერთმანეთს საკუთარ **მე**-საც და სხვა საგნებსაც, მათ შორის, — ჩვენთან ახლოს თუ შორს მყოფ საგნებსაც. გ-ბგერისმიერი გახმოვანების ხმოვნებითა და მათგან მიღებული სხვა ფორმებით ვუჩვენებთ საგნებს, მათს ადგილმდებარეობას და სხვა რეალობებს. უფრო კონკრეტულად: მაგალითად, **ა**-თი ვუჩვენებთ ჩვენთან ახლოს მყოფ საგნებს, **ე**-თი — შორს მყოფ საგნებს, **ი**-თი ხან ახლოს მყოფ და ხან შორს მყოფ საგნებს, **უ**-თი — საგნის მოძრაობის უკუმიმართულებას, ხოლო **ო**-თი ვუდასტურებთ ერთმანეთს ურთიერთნათქვამს. ამათგან მიღებული სხვა სახის ფორმებით კი აღვნიშნავთ სხვადასხვა მნიშვნელობებს. ასე, მაგალითად: **ა**, მაგრამ: **ათე, ათენა** ეს, აი ეს; **ამარი, აქი, ათაქი** აქ; **ათაურე, აურე** აქეთკენ და ა. შ. ასევე, **ე**, მაგრამ: **ენა** ეს, **ეთინა** ის, **ემერი, ეთექი** იქ, **ეთეურე** იქით და ა. შ.

მაშასადამე, **მცდარია ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აფიქსები თითქოსდა ოდესღაც არსებული დამოუკიდებელი სიტყვებისაგან იყვნენ მიღებულნი და წარმოადგენდნენ მათს ნაწილს. პირიქით, ისინი ისტორიულად მიღებულია** გ **ბგერისაგან.**

ფორმათა აფიქსაცია-გრამატიზაციის მოვლენა და ახალი მნიშვნელობის სიტყვების წარმოშობის ფაქტები, ისევე როგორც მეტყველების ცალკეული ნაწილების, — ზმნების, არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების, კავშირების, თანდებულების, ნაწილაკების და შორისდებულების წარმოშობის საფუძვლები, ჩვენს მიერ დეტალურადაა შესწავლილ-გამოკვლეული. ამ და სხვა საენათმეცნიერო საკითხებს ეხება ჩვენი **2600**-მდე დიდი თუ მცირე ნაშრომი, მათ შორის, **8** მონოგრაფია. თუმცა ამათგან დღემდე გამოქვეყნებულია მხოლოდ **3** მონოგრაფია **4** წიგნად და **30**-მდე სტატია, რომელთა ერთგვარად შეჯამებულ ნაშრომს, — ახალი დამატებითი მასალებითურთ, — წარმოადგენს მოცემული შვიდტომეული. ცხადია, ერთ საგაზეთო სტატიაში, თუნდაც სპეციალური ნომრისთვის, შეუძლებელია მის შესახებ ყველაფერი ითქვას. აქ ჩვენ, ენის წარმოშობის საკითხზე მხოლოდ ძირითად მონაცემებს წარმოვადგენთ, თანაც, რაც შეიძლება მოკლედ.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ვფიქრობთ, ნათელია, რომ საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველია საგნისავე ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა. სწორედაც ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმის მიბაძვის საფუძველზე მოახდინა ადამიანმა ამგვარი დაუნაწევრებელი ბგერებიდან ცალკეული თანხმოვნური ბგერებისა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამოყოფა-გამომარცვლა, გ-ბგერისმიერი გახმოვანებითა და სათანადო დეტერმინაციით, რამაც განაპირობა პირველყოფილი თანხმოვნური მეტყველების წარმოშობა.

მაგრამ, გ ბგერის განსაკუთრებულმა უნარმა — სწრაფვამ ხმოვანი ბგერებისაკან და ასეთებად მისმა ფონეტიკურმა გარდასახვამ (ტრანსფორმაციამ), განაპირობა ფორმათა გახმოვანებაც, ფორმობრივი და სემანტიკური გადიფერენცირებაც და ენის ლექსიკის გამდიდრებაც, რაც ენაში მუდმივად მიმდინარე პროცესია.

თანხმოვნურ ფორმათა სრულად გახმოვანებულ ენებში გ ბგერა, პრაქტიკულად, არენიდან გავიდა, მაგრამ იგი აბსოლუტურად არ გამქრალა; მისთვის დამახასიათებელი მარცვალწარმომქმნელი და დეტერმინაციული ფუნქცია დაეკისრათ გ-ბგერისმიერივე წარმომავლობის ხმოვან ბგერებს, ასევე ხმოვან-თანხმოვან აფიქსებს, რომელთა ფორმობრივ გადიფერენცირებას მოჰყვა აგრეთვე სემანტიკური გადიფერენცირებაც და სხვადასხვა მნიშვნელობის საგრამატიკო საშუალებებად მათი გარდაქმნა.

ამრიგად, **თანამედროვე ენა, პრაქტიკულად, წარმოადგენს თავდაპირველი ხმაბაძვითი თანხმოვნური ფორმებისა და მათი თანმხლები ემფატიკური ) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.** იგულისხმება, რომ ხმაბაძით საფუძველზე მიღებული ენობრივი ნიშნები, — ეს იგივე საგანთა ბუნების საფუძველზე მიღებული პირობითი ნიშნებია, რითაც ისინი განსხვავდებიან, ასე შეიძლება ითქვას, საკუთრივ **„წმინდა წყლის“** პირობითი ნიშნებისაგან.

მაგრამ, ცხადია, **ენაში გვაქვს „წმინდა წყლის“ პირობითი ნიშნებიც.** ეს იმიტომ, რომ ბუნებაში მოცემული ყველა საგანი და ობიექტური მონაცემი როდი იღებს ბგერებს. სახელდებას კი ესენიც მოითხოვდნენ. რაკი ადამიანს უკვე გააჩნდა სამეტყველო ბგერები, მათი გარკვეული ფორმები მან გამოიყენა ასეთ საგანთა სახელდებისათვის, მისივე ნება-სურვილისა და შემთხვევითობის საფუძველზე. მაგალითად, **ცა**-ს ქართულად ეწოდა **ცა**, რუსულად небо და ა. შ.

მაგრამ, რატომ გვაქვს თვით ბგერების გამღები ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა სახელწოდება სხვადასხვა ენაში? მაგალითად, **გუგული** ხომ ყველგან ერთნაირად იძახის. რატომ ქვია მას ქართულად **გუგული**, თურქულად **გუგუკ**, იტალიურად **კუკუ**, ფრანგულად **კუკუკ**, ესპანურად **კუკულო**, რუსულად **კუკუშკა**, ჩეხურად **კუკუჩკა**, ინგლისურად **ქუქუ**? იმიტომ, რომ ეროვნებით ქართველებს ისტორიულად გუგულის ძახილში უპირატესად ესმით **გგ** ბგერები, სხვებს — **კკ** ბგერები, სხვებსაც **ქქ** ბგერები. აი, სხვა მაგალითებიც: ბაყაყის ყიყინში, ჩვენ, — ქართველებს, — ისტორიულად **ყყ** ბგერები გვესმის, აქედანაა სახელებიც: **ბაყაყი, ყიყინი.** მაგრამ ეროვნებით რუსს მის ყიყინში **კკ** ბგერები უფრო ესმის. ამიტომაცაა სახელები: რდფრდფყბტ, რდფრდფნმ. ის ბგერა, რომელსაც, ჩვენ, ქართველები ისტორიულად **ჭ**-თი აღვიქვამთ, ეროვნებით რუსი, ისტორიულად, აღიქვამს **ჩ** ბგერათი. ამიტომაც, — **ჭიკჭიკი, ჭიჭიკო,** — ვამბობთ ჩვენ, მაგრამ: чичико, — ამბობს რუსი.

მაშასადამე, **რა ბგერებიც ესმოდა ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, ისტორიულად, ბუნების საგნების მიერ გაღებულ ბგერებში, ბაძავდა რა მათ ხმას, ცდილობდა ანალოგიური ბგერების გაღებას, რამაც განაპირობა სათანადო საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის ჩამოყალიბება და შესაბამისი ბგერების დაწევრებულად წარმოთქმაც.**

აქედან ის დასკვნაც გამოდის, რომ **მუნჯები მუნჯობენ სწორედაც მათი სიყრუის გამო. ვერ ამეტყველდება ვერც ერთი ბავშვი, მეტყველი ადამიანების წრეში მოხვედრის გარეშე, ვინაიდან ამეტყველება დღემდე სწორედ ხმამიბაძვის საფუძველზე ხდება, და, ეს მაშინ, როცა იგი უკვე ფლობს საარტიკულაციო ბაზისს.**

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად წარმოაჩენს იმას, თუ რა საფუძველზეა მომხდარი თვით ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგვარად სახელდება. აი, რა არის საფუძველი სხვადასხვა ენების წარმოშობისა. რაც შეეხება ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს, ისინი, ცხადია, სხვადასხვა ადამიანებმა თავიანთ ენებში, განსხვავებულად შემოიღეს, ნებისმიერ და შემთხვევით საფუძველზე. თვით გუგულსაც, ჩანს, უკრაინულში **ზოზულია**, ჩინურში **დუძიუან**, იაპონურში **ხოტოტოგისუ,** შეერქვა არა ხმამიბაძვის საფუძველზე. ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, თუ რა წარმოადგენს სხვადასხვა ენის ბგერითი შემადგენლობის სხვადასხვაობისა და სხვადასხვა ენის წარმოშობის საფუძველს. ასევე ნათელია საფუძველიც სხვადასხვა ენებისა და მათი მატარებელი ხალხების მონათესავეობისა.

**მამანტი ძაძამია — პროფესორი, აკადემიკოსი.**

**ცირა ძაძამია — პროფესორი აკადემიკოსი.**



**სერგეი კრემლიოვი**

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი**

როგორც ყოველთვის, ბერია უამრავი საქმით იყო დაკავებული, მაგრამ რუსეთისაგან მოშორებით მოხდა ისეთი მოვლენა, რამაც აიძულა იგი, რომ არც თუ შორეულ გზას გასდგომოდა – 16 ივნისს აღმოსავლეთ ბერლინში დაიწო საამშენებლო დარგის მუშაკთა მასობრივი გაფიცვა. იგი მყისვე გადაიზარდა მძლავრ დემონსტრაციებში, მეორე დღეს კი დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა მოიცვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კიდევ 14 ქალაქი... ვნებათა ღელვები მძაფრდებოდა როსტოკში, ლაიფციგში, მაგდებურგში... ბერლინში ხალხმა შტურმით აიღო მთავრობის სახლი. 16-20 ივნისის მანძილზე საპროტესტო საგაფიცვო აქციებში მონაწილეობდა 430 ადამიანზე მეტი, დემონსტრაციებში – 330 ათასი ადამიანი.

ასეთი მოვლენები არ აღმოცენდება ხოლმე ცარიელ ადგილზე და არ იწყება სრულიად უმიზეზოდ. უდავოა, რომ ეს საპროტესტო აქციები დაიწყო დასავლეთის უშუალო მითითებით, მაგრამ ამის მიზეზი მაინც გახლდათ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უაზრო პოლიტიკა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ გაუაზრებლად იქნა აღებული სოციალისტური აღმშენებლობის კურსი, 1952 წლის 8 ივლისს კი მოსკოვმა და აღმოსავლეთ ბერლინმა ამ აღმშენებლობის პროცესების ფორსირების დადგენილებაც კი მიიღეს.

სოფლის მეურნეობის ძალადობრივი კოოპერირება, საშუალო და წვრილი კერძო კაპიტალის გაღატაკებული სარესურსო რეჟიმი (მსხვილი კაპიტალი ნაციონალიზებული იქნა), არარაციონალური საგადასახადო პოლიტიკა, სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულთათვის და კერძო მეწარმეებისათვის საბარათო სისტემის გაუქმება, გადამეტებული რეპრესიული პოლიტიკა – აი, რა გახლდათ გერმანელთა აღშფოთების მიზეზი. 1951 წლის იანვრიდან 1953 წლის აპრილამდე აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ გერმანიაში გაიქცა 447 ათასი ადამიანი, მათ შორის, მხოლოდ 1953 წლის ოთხი თვის განმავლობაში გაიქცა 120 ათასი ადამიანი. ეს მონაცემები აღებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 ივნისის დადგენილების დანართიდან და მისი ბრმად ნდობა შეიძლება.

ფაქტი – ძალზე ჯიუტი რამაა, და, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ხშირად ჯორზე მეტ სიჯიუტეს იჩენდა, ისინი ფაქტზე მეტად ჯიუტები მაინც ვერ იყვნენ. ასეა თუ ისე, მაშინ ყოველ მათგანს სტალინის სკოლა ჰქონდა გავლილი. ამიტომ, ნათელი გახლდათ, რომ საჭიროა პოლიტიკის შეცვლა. ივლისის **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე მალენკოვი გულწრფელად აღიარებდა:

**"ჩვენ იძულებული ვიყავით თვალებში ჩაგვეხედა ჭეშმარიტებისათვის და გვეღიარებინა, რომ საბჭოთა ჯარების გერმანიაში ყოფნის გარეშე გამორიცხული იქნებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მყარად აშენება. ამჟამად აღმოსავლეთ გერმანიაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია".**

ამიტომ, 1953 წლის ივნისის მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსკოვის კრემლში, ამ საკითხთან დაკავშირებით, ფრიად სერიოზული დისკუსია გაიმართა. სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერდა, რომ უარი ეთქვათ სოციალიზმის მშენებლობაზე, ვიაჩესლავ მოლოტოვი კი იმ აზრზე იდგა, რომ სოციალიზმი იქ ფორსირებულად არ უნდა აშენებულიყო.

ბერიას პოზიცია, როგორც ყოველთვის, საკმაოდ ღრმა და ობიექტური იყო – მისმა სამდივნომ ტყუილად კი არ მიიღო ბერიასაგან განკარგულება, რომ მოეძებნათ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკის მცოდნე სპეციალისტი. ამიტომ, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 ივნისის **"გერმანული"** დოკუმენტი იყო კონკრეტული და ღრმად შინაარსიანი – ბერიასეულ სტილში. სტილის არაერთგვაროვნება გამოსჭვივოდა იმაშიც, რომ რთული სპეციფიური პრობლემების განხილვისას ბერია გამოჰყოფდა ძირითად მიმართულებებს, ხოლო რეკომენდაციებისა და ღონისძიებების შემუშავებას ექსპერტებს ანდობდა. შესაბამისად, სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების დანართში გამოსჭვივოდა გერმანული რეალიების ღრმა ცოდნა და ანალიზი, მასში გათვალისწინებული იყო ისიც კი, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ გერმანიის ახალგაზრდული რელიგიური მოძრაობა **"იუნგე გემაინდეს"** წევრებსაც კი.

ამიტომ იყო უაღრესად ჭკვიანური სარეკომენდაციო ნაწილი:

**– შეიზღუდოს კოლექტივიზაციის ნაძალადევად თავსმოხვეული პროცესები და შემოიფარგლოს იგი მიწის ერთობლივი დამუშავებით;**

**– სოფელზე ზემოქმედების მექანიზმად ჩაითვალოს მანქანათა გამქირავებელი სადგურები;**

**– უარი ეთქვას მცირე და საშუალო კერძო საწარმოების შეზღუდვის პოლიტიკას, პირიქით, გამოეყოთ მათ კრედიტები, ნედლეული, ენერგომატარებლები;**

**– გადაიხედოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმა და მეტი გასაქანი მიეცეს "ბ" კატეგორიის სამრეწველო ჯგუფს, მეტი ფართო მოხმარების საგნების საწარმოებლად;**

**– მიღებული იქნას ზომები კანონიერების განსამტკიცებლად, რათა აღმოიფხვრას მშრალი ადმინისტრირება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, შეიცვალოს დამოკიდებულება ეკლესიასა და სულიერების სფეროსადმი;**

**– დაზუსტდეს პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღსადგენად და სამშვიდობო ხელშეკრულებების გასაფორმებლად.**

საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების იდეოლოგიაში იგრძნობა ზუსტი პრაგმატიზმი, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მართლაც ბრძენი პოლიტიკოსის ბერიასათვის. **"საგარეოპოლიტიკური"** ლავრენტი ბერია ისევე შორს იდგა სადისტის, კაცთმოძულეობისა და ჯალათის საძრახისი მენტალიტეტისაგან, როგორც **"შიდაპოლიტიკური"** ლავრენტი ბერია.

ამასთან, გერმანიის გაერთიანების საკითხში მას ჰყავდა ფრიად ავტორიტეტული თანამოაზრე, რომელსაც, სამწუხაროდ, უკვე აღარ შეეძლო დახმარებოდა ბერიას. მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მყავს სტალინი. 1952 წლის 7 აპრილს მან ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი წარსადგენ ჩასწორებულ ნოტას, რომელიც ეხებოდა გერმანიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას. უფრო ადრე, 1952 წლის 10 მარტს ამერიკისა, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისადმი საბჭოთა კავშირის მიერ გაგზავნილ ნოტაში გამოთქმული იყო სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების სურვილი **"საერთოგერმანული მთავრობის მონაწილეობით"**, რომელიც შეიქმნებოდა საერთოგერმანული თავისუფალი არჩევნებით და დაიცავდა გერმანიის ნეიტრალიტეტს (ესე იგი, გერმანიის მიერ **ნატო**-ში შესვლაზე უარის თქმას).

საბჭოთა ნოტა ასე მთავრდებოდა:

**"სწორედ მიმდინარე ჟამს წყდება მნიშვნელოვანი საკითხი, აღდგება თუ არა გერმანია ერთ საზღვრებში, როგორც ერთიანი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, როგორც ევროპის მრავალეროვანი მშვიდობისმოყვარე ოჯახის წევრი, თუ დარჩება შუაზე გახლეჩილი გერმანია და მასთან დაკავშირებული ახალი ევროპული ომის რეალური საფრთხე".**

დასავლეთს არ სჭირდებოდა გაერთიანებული გერმანია და ამიტომ, მისი გახლეჩის პროცესები თანდათან უფრო მწვავდებოდა. ამასთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლები ბევრად უფრო გაანჩხლებულები იყვნენ, ვიდრე, დავუშვათ, თუნდაც მოლოტოვი და სწორედ გერმანიის ხელისუფალთა მიერ დამტკიცებული მაღალი სამუშაო ნორმატივები იქცა მასების ღელვის მიზეზად.

ამასთან, ლიტერატურაში ვაწყდებით იმის მტკიცებულებებს, რომ როგორც გაფიცვათა მონაწილეები, ასევე მათი დასავლელი **"კურატორები"** დარწმუნებული იყვნენ – **რუსები ალბათ მხარს არ დაუჭერენ ულბრიხტის ხელისუფლებას და იარაღით არ ჩაახშობენ საგაფიცვო მოძრაობას.**

ვერ გამიგია, როგორ შეიძლებოდა, რომ ვინმეს ასეთი აზრი მოსვლოდა თავში. ნებისმიერი ხელისუფლება, რომელსაც 1953 წელს გერმანელი გაფიცულები შექმნიდნენ, იქნებოდა არა მხოლოდ ანტისოციალისტური (ეს ჯერ კიდევ უბედურების ნახევარია) არამედ ანტისაბჭოურიც. ამიტომ, გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარების განლაგების პირობებში, საბჭოთა ხელისუფლება აქ მომხდარ მოვლენებს გვერდს ვერ აუვლიდა! და რახან უკვე მღელვარება დაიწყო, საჭირო იყო მისი სასწრაფოდ ჩაქრობა, ვიდრე ამ საქმეში ამერიკელები, ინგლისელები ან ფრანგები ჩაერეოდნენ.

ბერიას კი ამის გაკეთებაც ხელეწიფებოდა – თუ იგი ობიექტურად გახდებოდა იძულებული. მე უკვე არაერთგზის დავამტკიცე, რომ ბერია არ გახლდათ სასტიკი ადამიანი, მაგრამ ცხოვრებამ მას ასწავლა ყოფილიყო მკაცრი იქ, სადაც ეს, გარკვეულ გარემოებათა გამო, აუცილებელი იქნებოდა. მან ბავშვობიდან ისწავლა ხელმომჭირნეობა და იგი ასევე ხელმომჭირნე იყო სისხლთან დაკავშირებულ პოლიტიკაშიც: თუ საჭირო იქნება, სისხლი უნდა დაიღვაროს, მაგრამ თუ ამის თავიდან აცილება არ შეიძლება, მაშინ უნდა დაიღვაროს რაც შეიძლება ცოტა სისხლი.

რიგი წყაროები გვამცნობენ, რომ 18 ივნისს ბერია პირადად გაემგზავრა გერმანიაში. მაგრამ, რაოდენ საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, დოკუმენტურად ეს დადასტურებული არ არის. თუმცა, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საზღვარგარეთ გამგზავრება შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ბერიას ბიოქრონიკა განსაკუთრებული ფენომენია და აქაც შეიძლება წავაწყდეთ გარკვეულ საიდუმლოებებს. ერთადერთი, რისი მტკიცებაც შეგვიძლია, ისაა, რომ გერმანიაში გაემგზავრა მისი ხალხი, მათ შორის ზოია რიბკინა-ვოსკრესენსკაია, ასევე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-3 კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი, გენერალი გოგლიძე.

თუმცა, მე შემიძლია ვივარაუდო, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ლავრენტი ბერია გერმანიაში იმყოფებოდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ გავითვალისწინებთ მის პრინციპულობას, უდრეკ ბუნებას და ნაკლები სისხლის გაღებისადმი ლტოლვას.

ჯერ კიდევ 1953 წლის 17 ივნისს გერმანიის საბჭოთა სექტორის კომენდანტმა, გენერალმა დიბროვმა გასცა ბერლინში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ბრძანება. ბერლინში, ლაიფციგში, დრეზდენში, ოდერის ფრანკფურტში, ჰერეში და პოტსდამში საბჭოთა ჯარები შევიდნენ. ჯარისკაცებს ცეცხლის გახსნა მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში შეეძლოთ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც მოკლული იქნა ოცდაათამდე ადამიანი და დაიჭრა 400-მდე პირი. გენერალი სუდოპლატოვი თავის მემუარებში წერდა, რომ დაიღუპა **"ათასობით ადამიანი"**, რაც სიმართლეს აშკარად არ შეესაბამება.

ბერიას პრინციპული დამოკიდებულება კი გერმანიისადმი ამგვარი იყო: საბჭოთა კავშირს სოციალისტურ სივრცეში ნამდვილად არ სჭირდება არასტაბილური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მხოლოდ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მხარდაჭერით იარსებებს. ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ მივემხრობით გაერთიანებული გერმანული ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნის იდეას, მაგრამ ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებზე. ეს საქმისადმი მართლაც პერსპექტიული მიდგომა იყო! ამდენად, ამ პოზიციის ჩათვლა ჩვენი გერმანელი მეგობრებისადმი ღალატად, სრულიად უსაფუძვლო იყო. რეალურად, თუნდაც საბჭოთა მხარის მიერ დაგეგმილი მოლაპარაკებები გერმანიის გაერთიანების თაობაზე იქნებოდა მრავალეტაპიანი, სადაც ჩვენ შეგვეძლო გამარჯვების მიღწევა ყოველ ეტაპზე და გარკვეული გარანტიების მოპოვება როგორც გერმანიისათვის, ასევე საბჭოთა კავშირისათვის.

გაერთიანებული გერმანიიდან ჩვენ მხოლოდ მაშინ წავიდოდით, როცა დაიდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულება. მაგრამ. ამ ხელშეკრულების თანახმად, გერმანიიდან მოკავშირეთა ჯარებიც უნდა გასულიყვნენ. ამასთან, გახდებოდა რა გერმანიის გაერთიანების ინიციატორი, საბჭოთა კავშირი მოიპოვებდა ლოიალურად განწყობილი საღად მოაზროვნე გერმანელების დიდ სიმპათიას. და, ნაცვლად იმისა, რომ ფული გვეხარჯა აღმოსავლეთ გერმანიის იარაღით დაცვისათვის, ჩვენ ძალზე ხელსაყრელ პირობებში აღმოვჩნდებოდით გერმანიასთან ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების შედეგად. რუსეთისათვის ეს ტრადიცია აღდგენაც იქნებოდა და ფრიად სასარგებლო ეკონომიკური სივრცეში ჩართვაც.

და, იყო კიდევ ერთი მომენტი... საცაა უნდა დაწყებულიყო თერმობირთვული ერა, რომლის თაობაზეც ბერიაზე კარგად არავინ უწყოდა. გერმანიის საკითხის ბერიას ვარიანტით მოგვარება კი, სახელმწიფოს, რომელიც შიდა რესურსების ხარჯზე განვითარებაზე იყო ორიენტირებული, დიდ საგარეო შემოსავლებს უქადდა. გერმანიაში (ისევე, როგორც პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და რუმინეთში) ჩვენი ჯარების ყოფნა კი რუსეთს რეალური აგრესიის საფრთხის ქვეშ აყენებდა. ასე რომ, ლავრენტი ბერიას ჩანაფიქრი აშკარად ხელსაყრელი და მომგებიანი იყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბერიას არ ეღირსა გერმანიის და, ჩვენდა საუბედუროდ, სხვა ქვეყნისათვის უაღრესად სასარგებლო ჩანაფიქრების რეალიზება.

**"მაგრამ დღეს ხომ გაერთიანებული გერმანია არსებობს?"** – ალბათ იკითხავს მავანი. ბევრი მათგანი ალბათ იმასაც ფიქრობს, რომ სწორედ გორბაჩოვმა განახორციელა ბერიას ჩანაფიქრი, მაგრამ შეცდება, რადგან სულ სხვა იყო ბერიას მიერ ჩაფიქრებული გერმანია და სულ სხვა რამეა დღევანდელი გერმანია. ისინი მხოლოდ სახელმწიფო საზღვრებში არიან იდენტურები...

მაშ ასე, გერმანიაში ბერია თუ ჩავიდა, იგი სწრაფად დაბრუნდა უკან. მას თავისუფლად არსებობის მხოლოდ რამდენიმე დღეღა ჰქონდა დარჩენილი. მან, ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა. სამაგიეროდ, სხვებმა იცოდნენ. და, ვიდრე იგი ჯერ კიდევ სახელმწიფო მოღვაწეა და არა ბეტონის ბუნკერში გამომწყვდეული ტუსაღი, მე მის ასთორმეტი დღის კიდევ რამდენიმე არსებით ფაქტზე გესაუბრებით.

1953 წლის 1 მაისს, როგორც ყოველთვის, მოსკოვის წითელ მოედანზე ჩაიარა დემონსტრანტთა კოლონებმა. და მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგომ მალენკოვს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, მიქოიანს და სხვებს შეეძლოთ დამტკბარიყვნენ დემონსტრანტებთა თავებზე აღმართული მათი მოქანავე პორტრეტებით. ასევე უცქერდა საკუთარ პორტრეტებსაც ლავრენტი პავლეს ძე, მაგრამ მას სხვა აზრები უტრიალებდა თავში. საზეიმო ღონისძიებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს წარუდგინა წინადადება, რაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უყოყმანოდ იქნა მიღებული! ძნელიც იქნებოდა, რომ იგი არ მიეღოთ იმ ქვეყანაში, სადაც ქვეყნის ხელისუფალთა პორტრეტებს ლამის ხატის ძალა ჰქონდა. და 1953 წლის 9 მაისს გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება **"საბჭოთა კავშირში აღლუმებში მონაწილე დემონსტრანტთა კოლონებისა და შენობა-ნაგებობების საზეიმო დღეებში მხატვრული გაფორმების შესახებ".**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# საქინფორმი უფლებამოსილია განაცხადოს: STOP, MIKHEIL!

თანამემამულენო! სიტუაცია ირანის გარშემო დღითი დღე იძაბება – დროის ათვლა უკვე საათებზე მიდის და ომი შესაძლოა, ხვალაც კი დაიწყოს. მართალია, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები პრესისათვის გაკეთებულ განცხადებებში ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების სხვადასხვა თარიღს ასახელებენ, მაგრამ ერთ რამეში ყველა პროგნოზი ერთმანეთს ემთხვევა: ომი, რომელიც მასშტაბით შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს, გარდაუვალია და დაიწყება არაუგვიანეს ა.წ. ივლისისა.

საქინფორმი მუდმივად აცნობდა მკითხველს ამ საჭირბოროტო თემაზე მასალათა ფართო სპექტრს მსოფლიო პრესიდან, გამოაქვეყნა ანალიტიკური მასალებისა და ინტერვიუების სერია, რომელთა ავტორები და რესპონდენტები (ცნობილი მეცნიერები და ექსპერტები) მოვლენათა შესაძლო განვითარების მოდელირებას ახდენდნენ და გვაფრთხილებდნენ საქართველოსათვის მომაკვდინებელი საფრთხის შესახებ ომში მისი ჩათრევის შემთხვევაში.

2012 წლის 30 იანვარს კი საქინფორმმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით **„თქვენ რას ფიქრობთ, ქართველებო?“**, რომელშიც ეწერა:

**„დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდება და, როგორც ექსპერტებისა და პოლიტიკოსთა წრეებში ვარაუდობენ, ფარულად მისცემს თანხმობას საქართველოში აშშ-ის სამხედრო ბაზების განთავსებაზე. თქვენ რას ფიქრობთ, ქართველებო? თანახმა ხართ, რომ ჩვენთან ამერიკის სამხედრო ავიაცია, ფლოტი, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა განლაგდეს და საქართველომ ამერიკასთან ერთად ირანის წინააღმდეგ იომოს?“**

და აი, როგორც ჩანს, ჩვენი ყველაზე ცუდი ვარაუდები მართლდება. ამიტომ დღეს მივმართავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს – მათი პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად: საქინფორმი თავისი მკითხველების მიერ უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი:

სანდო ინფორმაციის თანახმად, რომელიც, უეჭველია, უახლოეს ხანებში მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის დეტალურად გახდება ცნობილი, **აშშ**-ისა და საქართველოს პრეზიდენტების ამასწინანდელი შეხვედრისას თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში ბარაკ ობამამ გააფრთხილა მიხეილ სააკაშვილი ირანზე **„პრევენციული“** დარტყმის შესაძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, ამერიკის ლიდერმა ქართველ კოლეგას მოსთხოვა, დაუთმოს საქართველოს ტერიტორია (აეროდრომები) ამერიკული საბრძოლო ავიაციის გაფრენისათვის, რომელიც თეირანს დაარტყამს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არც კი დაფიქრებულა თავისი ქვეყნისათვის შესაძლო რეალურ ტრაგიკულ შედეგებზე და დიდი სიამოვნებით დათანხმდა ირანთან ომში საქართველოს ჩართვაზე, რამეთუ ეს პატივად და ნატოში ინტეგრაციის გზაზე მორიგ ნაბიჯად მიიჩნია (ავღანეთში „ISAF“-ის ოპერაციაში ქართველი სამხედროების მონაწილეობასთან ერთად).

საქინფორმისათვის უცნობია, როგორ შეიტყო ამ შეთანხმების შესახებ ირანის ხელისუფლებამ – პრეზიდენტები ხომ პირისპირ საუბრობდნენ დახურულ კარს მიღმა. გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ვაშინგტონიდან მიუნხენს გაფრინდა, რათა ა.წ. 5 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებზე 48-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსულიყო, შემთხვევით წამოსცდა, ანდა სპეციალურად იტრაბახა უდავოდ ძლიერ სტრატეგიულ მოკავშირესთან – **აშშ**-თან მიღწეული შეთანხმებით, რომელსაც უკვე მესამედ – ერაყისა და ავღანეთის შემდეგ – დასჭირდა პატარა საქართველოს დახმარება.

ასევე, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ინფორმაციის გაჟონვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ იყო ორგანიზებული და ირანის ოპერატიულად მომუშავე დაზვერვისათვის გახლდათ განკუთვნილი, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა.

მნიშვნელოვანია მარტო ის, რომ ირანის საპასუხო რეაქციას არ დაუყოვნებია: იმავე დღეს – 2012 წლის 5 თებერვალს, ისლამის რევოლუციის მცველთა კორპუსის მეთაურის მოადგილე ჰუსეინ სალამიმ სააგენტო **„როიტერს“** განუცხადა: **„ირანი შეუტევს ნებისმიერ ქვეყანას, რომლის ტერიტორია ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიისათვის იქნება გამოყენებული. ნებისმიერი ტერიტორია, საიდანაც მოწინააღმდეგე ირანის მიმართ მტრულ ოპერაციებს განახორციელებს, ჩვენი შეიარაღებული ძალების მხრიდან საპასუხო აგრესიას მიიღებს“.**

ფაქტიურად ეს მესიჯი იყო საქართველოსთვის – მისი ხელისუფლებისა და ხალხისათვის.

ასევე, გატყობინებთ, რომ ირანის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე შეიმუშავა იმ ქვეყნებზე საპასუხო დარტყმისათვის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებმაც თავისი ტერიტორია დაუთმეს ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს. კერძოდ, ირანზე **აშშ**-ის **„პრევენციული“** იერიშის შემდეგ სავარაუდოა მასირებული საპასუხო დარტყმა საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე (უწინარესად – აეროდრომებზე, სამხედრო ნაწილებზე, ნავთობისა და გაზსადენებზე, პორტებზე, სადგურებსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებზე, რომლებიც ჩვენში, როგორც ცნობილია, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პუნქტების – თბილისისა და სხვა ქალაქების ცენტრებში თუ არა, უშუალო სიახლოვეს მდებარეობს).

საქართველოში (ისრაელისა და არაბეთის მონარქიებისგან, ასევე, კავკასიელი მეზობლების – სომხეთისა და აზერბაიჯანისგან, განსხვავებით) ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე კომპლექსების არარსებობის პირობებში, რომლებსაც ირანის ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების შეჩერება შეუძლია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპასუხო დარტყმის შემთხვევაში საქართველო თეირანისათვის იოლი და მოწყვლადი მიზანი იქნება (ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, რომლებიც შეთანხმების მიხედვით «КЗакВО»-მ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გადასცა, ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ბარბაროსულად გაიძარცვა და გაიყიდა, ხოლო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურა, ლიკვიდირებულ იქნა).

თანამემამულეებო! მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში გიგანტურ ქვეყნებს შორის მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად დაუნდობელი და შეუნიღბავი ბრძოლა მიმდინარეობს. მაშ, რისთვის სჭირდება საქართველოს, რომლის მოსახლეობაც დღეს 2.5 მლნ კაცამდე შემცირდა, ამ ბრძოლაში ჩართვა ოკეანისგაღმა იმპერიის – ამერიკის შეერთებული შტატების, მხარეს, სადაც, საქართველოსგან განსხვავებით, ირანული რაკეტები ვერ მიაღწევს?! **აშშ**-ის ამბიციების გამო ჩვენი შვილები 2008 წლამდეც იღუპებოდნენ ერაყში, დღესაც იღუპებიან ავღანეთში. შედეგად კი მხოლოდ 20% დაკარგული ტერიტორიები, ძმებსა და უახლოეს მეზობელთან განხეთქილება მივიღეთ...

ამ ომებმა ათასობით ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლეც და ამერიკის ბიუჯეტიდან მილიარდობით დოლარი შეიწირა, რითაც ამ ომებწაგებული ამერიკის ისედაც ასტრონომიული საგარეო ვალი კიდევ უფრო გაზარდა!

ერაყელები, ავღანელები, ირანელები – საქართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული უძველესი კულტურის ხალხებია, რომლებიც ისტორიულად უდიდეს პატივს სცემდნენ ქართველებს: რისთვის ვიმრავლებთ მტერს?! ინაღვლა კი საქართველოს ხელისუფლებამ 60 ათასი ფერეიდნელი ქართველის ბედზე ირანში?! განა მათთვის არ ამზადებენ ასობით სპეციალისტსა და მასწავლებელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, განა შარშან მათ არ ეპატიჟებოდნენ ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში, დასაბრუნებლად პრეზიდენტი სააკაშვილი და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II?

მივმართავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II, რომელმაც აღორძინებული საქინფორმი აკურთხა: თქვენო უწმიდესობავ, შეეცადეთ, შეაჩეროთ ეს უგუნურნი, როგორც არაერთხელ გიცდიათ ეს!

მივმართავთ ოპოზიციას: დროებით მაინც შეწყვიტეთ ხელისუფლებისათვის ბრძოლა, იბრძოლეთ საქართველოს გადასარჩენად!

მივმართავთ ხელისუფლებას: **STOP**, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, უკან დაიხიეთ, ნუ დაღუპავთ საქართველოს, რადგან თუ საქართველო არ იარსებებს – არ ვიქნებით ჩვენც, მისი ხალხი და თქვენც, მისი ხელისუფლება...

**საქინფორმი**

# საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!

## გენერალ-ლეიტენანტი და მეცნიერი დიმიტრი ბაგრატიონი

დიმიტრი პეტრეს ძე ბაგრატიონი, ქართველი სამეფო შტოს ღირსეული წარმომადგენელი, დიდი თავადი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, კავალერისტი-ინსტრუქტორი, ეწეოდა სამეცნიერო მუშაობასაც ცხენოსნობაში, 1863 წლის 13 ივნისს, პოლტავის გუბერნიაში დაიბადა.

დაამთავრა პოლოცკის სამხედრო გიმნაზია და ნიკოლოზის საკავალერიო სკოლა. 1882 დაინიშნა ვლადიმირის 38-ე დრაგუნთა პოლკში. 1897 წელს, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა, უგამოცდოდ ჩარიცხეს საკავალერიო სკოლის ოფიცერთა მუდმივ შემადგენლობაში. 1909 წლიდან ამავე სკოლის უფროსის თანაშემწე იყო.

სამხედრო სამსახურთან (კავალერისტ-ინსტუქტორი) ერთად, ეწეოდა მეცნიერულ მუშაობასაც. თარგმნა და რამდენჯერმე გამოსცა ცნობილი სპეციალისტის დ. ფილისის **„ცხენის ხედნისა და ცხენოსნობის საფუძვლები“**, რომელიც რუსულ კავალერისტ ოფიცერთა სამაგიდო წიგნი გახდა. 1901 წელს გამოსცა არქივის მასალების საფუძველზე დაწერილი **„ვლადიმირის პოლკის ისტორია“**. 1906 წელს დააარსა ჟურნალი **Вестник русской конницы”**.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მეთაურობდა კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადას, შემდეგ კი დივიზიას. 1916 წლიდან გენერალ-ლეიტენანტია.

დიმიტრი ბაგრატიონი გულწრფელად თანაუგრძნობდა ბოლშევიკ-რევოლუციონერებს, რადგან სწორედ მათში ხედავდა რუსეთის გადამრჩენელ ძალას. ამიტომ, 1918 წლიდან დიმიტრი წითელ არმიაშია. ხოლო 1919 წლიდან ამ არმიის უმაღლესი კავალერიის სკოლის ხელმძღვანელია.

დიმიტრი ბაგრატიონი გარდაიცვალა 1919 წლის 21 დეკემბერს, დაკრძალულია ალ. ნეველის ლავრის ნიკოლსკის სასაფლაოზე. დაჯილდოვებულია წმინდა ანას, წმინდა ვლადიმირის და სხვა ორდენებით.

რევოლუციურ რუსეთზე სრულიად განსხვავებული შეხედულების გახლდათ დიმიტრის ძმა – ალექსანდრე პეტრეს ძე ბაგრატიონი, რის შედეგადაც იგი 1920 წელს დახვრიტა ბოლშევიკურმა **„ტროიკამ“** ყირიმში, ხოლო და – ევგენია, გარდაიცვალა ბევრად ადრე – 1903 წელს



## ალი ბეი ალ-ქაბირი – ეგვიპტის ქართველი მმართველი

ალი ბეი ალ-ქაბირი, (არაბ. **علي باي الكبير**) ეგვიპტის მამლუქი მმართველი იყო 1757 წლიდან. იგი გახლდათ საქართველოდან ხელმრუდთა მიერ გატაცებული და ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ქართველი, სახელად იოსები. მასზე არსებული ფრიად მწირი მონაცემებით დასტურდება, რომ უცხოეთში გადახვეწილი ქართველი კაცი დაიბადა 1728 წელს, აფხაზეთში, გარდაიცვალა 1773 წლის 22 აპრილს, ქაიროში.

იბრაჰიმ ქათხუდამ, ქართული წარმოშობის მამლუქმა, გზა გაუხსნა ქართული წარმომავლობის მამლუქებს ეგვიპტის მმართველ ელიტაში. ის 1754 წელს გარდაიცვალა და მის შემდეგ ეგვიპტეს განაგებდნენ კადზაღლის სახლის მამლუქები ან ამ მამლუქთა მამლუქები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალი ბეი ალ-ქაბირია.

იოსები 13 წლისა მოიტაცეს და იბრაჰიმ ბეგს მიჰყიდეს, 28 წლისამ უკვე თავისუფლება მოიპოვა და ბეგის ტიტულიც მიიღო ომებში გამოჩენილი სიმამაცისათვის. 1763 წელს **„შეიხ ალ ბალადის“** – ეგვიპტის პირველი მხედართმთავრის ტიტულს ატარებს, ხოლო 1766 წლიდან კაიროს მმართველია. დაამარცხა მომთაბარე ბედუინები, გააერთიანა ზემო და ქვემო ეგვიპტე, შემოიერთა ხიჯაზი, დაიწყო რეგულარული არმიის შექმნა, გაატარა რეფორმები სამართალწარმოებასა და საფინანსო სფეროებში.

ალი ბეი ალ-ქაბირის მოღვაწეობის მთავარ მიზნად ოსმალეთის იმპერიის გავლენისაგან ეგვიპტის განთავისუფლება ჰქონდა. 1768 წლის სექტემბერში გაანადგურა ეგვიპტეში მყოფი ოსმალური ნაწილები და ოსმალეთისათვის ხარკის გადახდა შეწყვიტა.

შემდეგ მან ისარგებლა რუსეთ-თურქეთის ომით (1768-1774 წ.წ.) და 1771 წელს რუსეთის ფლოტის ადმირალთან, ა.გ. ორლოვთან სამხედრო კავშირი გააბა. 1770 წლის ივლისში ეგვიპტის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სულთანის ტიტული მიიღო და საომარი მოქმედებები დაიწყო პორტას წინააღმდეგ. აიღო დამასკო და დაიკავა სირია.

1773 წელს ოსმალეთმა, ჩვეული ვერაგობით, მაინც მოახერხა ეგვიპტელ ბეგთა ნაწილის ფულითა და ოქროთი გადაბირება და ნილოსის დელტის აღმოსავლეთ ნაწილში, სალაჰიაში, აჯანყებულმა მამლუქებმა ალი ბეი დაამარცხეს, თავად ალ-ქაბირი დაიჭრა და ჭრილობებისაგან გარდაიცვალა 22 აპრილს, ქაიროში.



# პრეზიდენტ სააკაშვილის სამი დიდი ტყუილი

## ტყუილი პირველი

ევროპაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი საქართველოშია, **„ნაციონალურმა მოძრაობამ“** ყველა დაპირება შეასრულა, მმართველობის ახალ სისტემაზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავალთ და ა.შ. – ეს არის მცირე ნაწილი იმისა, რაზეც საქართველოს პრეზიდენტი **აშშ**-ში ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე საუბრობდა.

მიხეილ სააკაშვილმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ **„საქართველო მთელი რეგიონის უდიდესი სავაჭრო ჰაბი გახდა“** და **„საქართველოში ახლახან დასრულდა ევროპაში უდიდესი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა“.**

მას არ უთქვამს, კონკრეტულად რომელ სავაჭრო ცენტრს გულისხმობდა. მაგრამ ოფიციალური მონაცემებით, დღეს ევროპის უდიდესი სავაჭრო ცენტრი არის ლონდონში, ვესტფილდის სავაჭრო ცენტრი, რომელიც 2011 წელს გაიხსნა და აქ განთავსებულია 300 მაღაზია, 70 რესტორანი, 14 კინოთეატრი, 3 სასტუმრო და ბრიტანეთის უმსხვილესი კაზინო.

თუმცა, სააკაშვილმა ისაუბრა მანქანებით ვაჭრობაზე და განაცხადა, რომ საქართველოში უამრავი ადამიანი ჩამოდის მანქანის საყიდლად, რადგან ამასთან დაკავშირებული პროცედურები ქვეყანაში მარტივია და ამას მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდება.

მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს გაზი და ნავთობი, ქვეყნის მთავრობა გეგმავს ახალი ქალაქების, აეროპორტების, რკინიგზების, ჩქაროსნული მატარებლების თუ ავტომაგისტრალების მშენებლობას ყველა მიმართულებით.

**„როდესაც აქ მოვდიოდი, ერთი ჩემი მეგობრის, ყატარის ემირის ფოტო ვნახე. დოჰა ლამაზი ქალაქია და ჩვენი ქალაქების ნაწილი მისი მსგავსი ხდება, თუმცა პატარა განსხვავებაა ის, რომ ჩვენ თითქმის არ გვაქვს გაზი. სწორედ ამის გაკეთება შეუძლია თავისუფალ წარმოებას, რამაც მე მომიყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებამდე,“** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მას რამდენიმე დღის წინ ძალიან კარგი შეხვედრა ჰქონდა პრეზიდენტ ობამასთან, რომელმაც საჯაროდ, სატელევიზიო კამერების წინ დაასახელა საქართველო, როგორც მოდელი მთელი რეგიონისთვის, დემოკრატიული რეფორმებისა და ეკონომიკური წარმატების თვალსაზრისით.

**„ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა პრეზიდენტისგან და არა მარტო მისგან. სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმაც დაადასტურა ეს. გუშინ სენატორებს შევხვდი და ყველა მათგანი იმასვე ამბობს. მარკო რუბიომ თქვა, რომ ჩვენ ვართ მისაბაძი მოდელი მთელი რეგიონისთვის, სენატორმა მაკკეინმა ამას წინათ აღნიშნა, რომ იგი თავს ქართველად გრძნობდა, შესაძლოა, იყოს კიდეც. მაგრამ აქ ყველაზე მთავარი არის ის, რომ ჩვენ ყოველივე ეს გამოვიარეთ,“** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, მან ისიც განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა შეასრულა.

**„ჩვენი ეკონომიკა გაოთხმაგებულია. დანაშაული ხუთჯერაა შემცირებული. სიღარიბის მაჩვენებელმა 17%-მდე დაიკლო. მიმდინარეობს მთელი ჯანდაცვისა და განათლების სისტემის მოდერნიზება. ავაშენეთ ახალი გზები, გაიზარდა შობადობის მაჩვენებელი. არ მეგულება არც ერთი ქვეყანა, რომელიც ასეთ მოკლე დროში მიაღწევდა დიდ პროგრესს“,** – განაცხადა სააკაშვილმა.

დღეს საქართველოში 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა რეალურად ეს მონაცემები გაცილებით ნაკლებია. აქედან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება 900 ათასი ადამიანი და 600 ათასი ამ სიაში შეყვანას ითხოვს. პენსია განსაზღვრულია 70-100 ლარამდე, დაახლოებით 40-60 აშშ დოლარი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დაპირება 2003 წელს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, იყო ის, რომ პენსია ერთ წელში 100 აშშ დოლარამდე გაიზრდებოდა. ამასთან, საარსებო მინიმუმი 2011 წლის ბოლოს ოფიციალურად 160 ლარით, დაახლოებით 96 აშშ დოლარით, განისაზღვრა.

მიუხედავად ამისა, სააკაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებისთვის მიცემული პირობა შეასრულა.

ამის მაგალითად კი ასახელებს პოლიციის რეფორმას და აცხადებს, რომ ამ რეფორმის შედეგად **„პოლიციას მოსახლეობის ნდობის 86% აქვს მაშინ, როდესაც ძველ პოლიციას ნდობის მხოლოდ 5% ჰქონდა“** და დასძინა, რომ ეს ევროპაში უმაღლესი მაჩვენებელია და საქართველო ზოგჯერ კონკურენციას ფინეთსა და დანიასაც კი უწევს.

**„ევროკავშირის სანდო კვლევების თანახმად, ჩვენი ქვეყანა ევროპაში ყველაზე უსაფრთხოა და დანაშაულის მაჩვენებელი აქ ყველაზე დაბალია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენი კონკურენტი ისლანდია იყო, რომელიც რეალურად კუნძულია. მაგრამ ჩვენ ახლა მათაც გავუსწარით – ეს ისე შევძელით, რომ არ შეგვიქმნია ოკეანე ჩვენს ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის,“** – განაცხადა სააკაშვილმა.

ძნელი სათქმელია, პრეზიდენტი რა კვლევებით სარგებლობს, მაგრამ ფაქტია, რომ წლის ბოლოს საერთაშორისო კომპანია **„მერსერმა“** გამოაქვეყნა კვლევა მსოფლიოს მასშტაბით და 122 ქალაქიდან თბილისი ერთ-ერთ უკანასკნელ, 115-ე ადგილზეა უსაფრთხოებისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით.

მან ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობაც დაახასიათა და **„თრანსპარენს ინტერნეშენელის“** კვლევაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე სახელმწიფო აპარატი აქვს.

**„დღევანდელი მდგომარეობა ასეთია: სამართლისა და დემოკრატიის კანადურმა ცენტრმა 64 ქვეყანაში ჩაატარა გამოკითხვა „თრანსპარენსი ინტერნაციონალის“ ადგილობრივი ფილიალების მეშვეობით, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა სახელწიფო აპარატს და მიაკვლია იმას, რომ ჩვენ ახალი ზელანდიის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე გამჭვირვალე სახელმწიფო აპარატი გვაქვს, მაშინ როდესაც ადრე ყველაზე უარესებს შორის ვიყავით...”**

**„საქართველოში პასპორტის მისაღებად მაქსიმუმ 10 წუთი გვჭირდება, მართვის მოწმობის ასაღებად – რამდენიმე წუთი, ნებისმიერი ტვირთის შესამოწმებლად, არ ვგულისხმობ პირად ჩემოდანს ან დიპლომატს, დაახლოებით, 10 წუთია საჭირო. მანქანით საზღვრის გადაკვეთა პასპორტის წარდგენის გარეშეა შესაძლებელი. ჩიპიანი პასპორტების მეშვეობით, შეგიძლია ჯიბიდან პასპორტის ამოუღებლად გადაკვეთო საზღვარი, ისე, თითქოს საბაგირო გზის ბარათი იყოს. სწორედ ეს არის ის, რაც შეიცვალა“,** – განაცხადა სააკაშვილმა.

არადა, ინტენსიურად ქვეყნდება არასამთავრობო ორგანიზაცია **„ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტის“** ინფორმაცია, თუ საჯარო უწყებებიდან როგორ არის ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის მიღება შეუძლებელი.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში გამოსვლისას სააკაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მისი პირველი საპრეზიდენტო ხელფასი 40 **აშშ** დოლარს შეადგენდა და ხელისუფლებაში მისი მოსვლის დროს ქვეყნის ხაზინა პრაქტიკულად ცარიელი იყო.

**„როდესაც ჩემს სამუშაო ოთახში მივედი, თქვენ წარმოიდგინეთ, მთავრობის მოხელეებსაც არ ჰქონდათ ხელფასი. პირველი კონვერტი ორი კვირის თავზე მივიღე და ეს იყო ჩემი პირველი ანაზღაურება – თქვენ წარმოიდგინეთ, 40 ამერიკული დოლარი. აღვშფოთდი, მაგრამ მითხრეს, რომ ეს ჩემი საპრეზიდენტო ხელფასი იყო,“** – განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ წინა პრეზიდენტიც მთელი პრეზიდენტობის განმავლობაში ამდენივე ხელფასს იღებდა.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი ოპოზიციაში წასვლამდე წლების განმავლობაში ჯერ პარლამენტის წევრი და სახელისუფლებო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, შემდეგ კი – შევარდნაძის მთავრობაში იუსტიციის მინისტრი.

მიუხედავად ამისა, როგორც თავად ამბობს, ხელისუფლების ხელფასების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ მიიღო, რაც თავად გახდა პრეზიდენტი.

**„ჩემი წინამორბედის პირობებით დავინტერესდი და მიპასუხეს, რომ სწორედ ამდენივეს იღებდა მთელი ამ წლების განმავლობაში. მე, რა თქმა უნდა, ვთქვი, რომ ამ ხელფასით ვერ ვიცხოვრებდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხაზინა ცარიელი იყო,“** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ვიზიტის ბოლოს კი უკვე ისიც თქვა, სახელმწიფო მოწყობის ახალ სისტემაზე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავდივართო. არადა, კონსტიტუციაში არის გარდამავალი მუხლი, სადაც წერია, რომ ეს ახალი სისტემა ძალაში შედის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ.

პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც პრეზიდენტი ისეთ ფაქტებს ამახინჯებს, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვისაც კარგად არის ცნობილი და საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. ამიტომაც საინტერესოა, რატომ იტყუება პრეზიდენტი.

ექსპერტეთა უმეტესობას ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ სურს და ამბობენ, რომ ფაქტების ისე წარმოჩენა, როგორც თავად სურთ, საბჭოური მენტალიტეტის ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტს ფაქტების დამახინჯება და ისე წარმოჩენა, როგორც თავად სურს, სჩვევია და გაგახსენებთ, შარშან პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ისიც კი განაცხადა, ცხოვრების დონით შვეიცარიას გავუსწარით და დანიის დონეზე ვართო.

ერთხელ კი, როდესაც მის ნათქვამ ტყუილზე იყო დავა, ისიც განაცხადა, **„სიტყვაზე ნუ გამომეკიდებითო“.**

პოლიტოლოგი და ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ **„არიან ადამიანები, რომლებიც ყვებიან რაღაც გამოგონილ ამბებს და ამას აკეთებენ არა იმისთვის, რომ ვიღაც მოატყუონ, არამედ ეს არის მათი ტენდენცია, რომ გზადაგზა რაღაცები მოიგონონ და რომ ჰკითხოთ, რატომ თხზავს, ვერ გეტყვით. ეტყობა, ის ვერსია, რომელიც შეთხზა, მისთვის უფრო სასიამოვნოა“.**

როგორც საყვარელიძე ამბობს, **„მის გამოსვლებში, რა თქმა უნდა, არის ის ინფორმაცია, რომლის რეალობას პოლიტიკური დატვირთვა აქვს და რიგ შემთხვევებში არაბავშვური ტყუილია. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ უფრო მეტად საქმე გვაქვს უსარგებლო ტყუილთან და უბრალოდ, მის ხასიათშია გამომგონებლობის სიყვარული.“**

მნიშვნელოვანი კი ის არის, თუ სააკაშვილის **„გამომგონებლობას“** საზოგადოება როგორ აღიქვამს.

**„კარგად ჩანს, საზოგადოებაზე რა გავლენასაც ახდენს ასეთი ტიპის მოვლენები. ჩანს საზოგადოების დამოკიდებულებაში, უპირველესად ინტელიგენციის დამოკიდებულებაში, რადგანი ასეთი რაღაცების მიმართ უფრო მგრძნობიარე ინტელიგენციაა, რადგან ვინც ასეთ სამუშაოზე არ არის ორიენტირებული, ხშირად არც აინტერესებთ, რა არის სიმართლე და რა – არა,“** – ამბობს საყვარელიძე და დასძენს, რომ **„საერთაშორისო საზოგადოება ამისთვის კუთხეში ვერავის ვერ დააყენებს, მაგრამ ეს მოქმედებს იმიჯზე“.**

ამის მაგალითად კი იმ ბოლო ფაქტს ასახელებს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას სხვა პროექტი გაუგზავნა და მერე სხვა მიიღო.

**„დღეისთვის აქტიურად განიხილება ის, თუ როგორ მოიქცა საქართველო ვენეციის კომისიასთან ურთიერთობაში. ფაქტობრივად, ხელისუფლებამ მოატყუა ვენეციის კომისია, როდესაც ერთი დოკუმენტი გაუგზავნეს და შემდეგ მეორე მიიღეს. ეს უკვე დოკუმენტურ დონზე მომხდარი ტყუილია და საბოლოოდ ცუდი ფსიქოლოგიური ფონი ახლავს ამის განხილვას.**

**შესაძლოა, მომავალში ვენეციის კომისიამ საერთოდ უარი უთხრას რაიმე განხილვაზე და ა.შ. ანუ, როდესაც ტყუილში დაგიჭერენ, იქ, შესაძლოა, ჯოხი არ დაგარტყან, მაგრამ მიიღონ ისეთი ზომები, რომ მეორედ საერთაშორისო საზოგადოებას ვეღარ მიმართო,“** – ამბობს საყვარელიძე.

## ტყუილი მეორე

**„საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 17%-მდე შემცირდა“,**– აცხადებს პრეზიდენტი სააკაშვილი, თუმცა მის მიერ დასახელებული ეს მონაცემი არათუ ექსპერტულ გათვლებს, არამედ ოფიციალურ სტატისტიკასაც არ ემთხვევა. ქვეყნის პირველი პირი საერთაშორისო საზოგადოებას ამ შემთხვევაშიც არარეალურ ციფრებზე ესაუბრება, რადგან, როგორც ექსპერტები ამბობენ, დღეს ქვეყანაში სიღარიბის ზღვარზე და მის მიღმა მოსახლეობის 50% იმყოფება და ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება.

მოკლედ, სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ერთიან ბაზაში სულ 1 632 403 ადამიანია რეგისტრირებული, რაც მოსახლეობის 36,5%-ს შეადგენს. აქედან, ღატაკი, ანუ ვისაც სახელმწიფო ფინანსურად ეხმარება, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 8,7%-ს შეადგენს, ანუ საარსებო შემწეობას 394 819 ადამიანი იღებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გასული წლის განმავლობაში საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი ყოველთვიურად იცვლებოდა. თუ იანვარში შემწეობას 430 461 ადამიანი იღებდა, თებერვალში მათი რიცხვი 439 663-მდე გაიზარდა, მარტში კი 442 144 ადამიანი შეადგინა. აპრილში სახელმწიფოსგან საარსებო შემწეობას 425 387 ბენეფიციარი იღებდა, მაისში – 415 365 ადამიანი, ივნისში – 415 699, ივლისში – 402 660, აგვისტოში კი – 406 464 ადამიანი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შემცირდა სექტემბერში, მაშინ დახმარებას 381 889 ადამიანმა მიიღო, ოქტომბერში – 387 421 ბენეფიციარმა, ნოემბერში კი შემწეობა 391 119 ადამიანმა მიიღო.

საერთოდ, სიღარიბე კეთილდღეობის ნაკლებობის მაჩვენებელია. სიღარიბის მაჩვენებლის სიდიდე კი დამოკიდებულია იმაზე თუ რის მიხედვით ანგარიშობენ მას ამა თუ იმ ქვეყანაში. თუკი დასავლეთ ევროპაში სიღარიბის მაჩვენებლის გათვლისას მნიშვნელოვანი **„მისაწვდომობის კომპონენტია“**, ანუ მოქალაქის ხელმისაწვდომობა სასურველი განათლების მიღებაზე, მაღალხარისხიან ჯანდაცვაზე, უსაფრთხო საკვებსა და ა.შ. საქართველოში იგი მინიმალურ სასურსათო კალათას დამატებული მინიმალურ არასასურსათო ხარჯებთან ასოცირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში სიღარიბის მაჩვენებლის გაანგარიშებისას ყურადღება ექცევა ისეთ კომპონენტსაც, როგორიცაა ის თანაფარდობა, რომელიც ოჯახის საერთო შემოსავალსა და სურსათის შესყიდვაზე დახარჯულ თანხებს შორის არსებობს. საერთოდ ითვლება, რომ თუ სურსათზე დახარჯული თანხა საერთო შემოსავლის მესამედზე მეტია, მაშინ ის ოჯახი ღარიბია.

არსებობს სხვა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, სხვადასხვა ქვეყანაში სიღარიბის დონეს ადგენენ. ერთ-ერთია საარსებო მინიმუმის საშუალო ხელფასთან თანაფარდობა. ასეთ ქვეყნებში ღარიბად ითვლება ის, ვისი საშუალო ხელფასიც საარსებო მინიმუმის ნახევარს ან ნაკლებს შეადგენს. ჩვენთან კი, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დათვლის მეთოდიკაც არასწორია და ის ადამიანები, ვისაც რეალური შემოსავალი არ აქვთ, სახლში კი ნაჩუქარი სატელიტური ანტენა უყენიათ, შეფასების მაღალ მაჩვენებელს იღებს.

**„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თუ კლება დამოკიდებულია იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ამ კატეგორიის ადამიანების დადგენისთვისაა შემუშავებული. თუ ჩვენ კრიტერიუმებს შევცვლით, რა თქმა უნდა, შეიცვლება მათი რაოდენობაც.**

**მაგრამ ეს ციფრი არის ე.წ. საბალანსო მაჩვენებელი, რომელიც მხოლოდ ფურცელზე იწერება, რეალობა კი სულ სხვაა.**

**როდესაც ყველა ჩატარებულ გამოკითხვაში მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის ნომერ პირველ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს, იქ სიღარიბის დაბალ მაჩვენებელზე საუბრი ცოტა არასერიოზულია. მართალია, ქვეყანაში მშპ იზრდება, მაგრამ ის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვერ აისახება.**

**2011 წელს ყველაზე მეტად გაძვირდა ხორცი, საკვები და პირველადი მოხმარების საგნები. ინფლაციის გაზრდილ მაჩვენებელს თან არ ახლავს ხელფასებისა და პენსიების ინდექსაცია, აქ საუბარი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაჯანსაღებაზე არ უნდა იყოს და ვერც იქნება.**

**ასე რომ, ოფიციალურ მონაცემებსა და რეალობას შორის დიამეტრალური განსხვავებაა. ზოგჯერ, როდესაც ოფიციალურ მონაცემებს ვკითხულობ, მგონია, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობ. რეალური მაჩვენებელი კი ოდნავაც არაა ახლოს იმ ციფრთან, რომელიც ოფიციალურდ ქვეყნდება.**

**ექსპერტული გათვლებით, შემიძლია გითხრათ, რომ დღეს საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ს შეადგენს და ის უკვე წლებია სისტემატურად იზრდება“, –** განაცხადა ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძემ.

საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი რომ ოფიციალურ მონაცემებზე ბევრად მეტია, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ავთანდილ სილაგაძეც აღიარებს. მისი თქმით, 2009-10 წლებში, როცა ოფიციალური მონაცემებით სიღარიბის მაჩვენებელი 21-23%-ის ფარგლებში დაფიქსირდა, მსოფლიო ბანკის კვლევებით რეალური მაჩვენებელი ოფიციალურზე 2-ჯერ მეტი იყო.

**“იმის გამო, რომ ქვეყანაში ფასები იზრდება, ცოტა რთულია იმის დაჯერება, რომ საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება. ოფიციალური მონაცემები ერთია, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. რეალობა კი ისაა, რომ ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება“, –** ამბობს სილაგაძე.

2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 150 ათასი ადამიანით შემცირდა. თუმცა, სპეციალისტების გათვლებით, ესეც არარეალურია, რადგან დათვლის მეთოდიკაში ინფლაციის მაჩვენებელი რატომღაც განსაზღვრული არ არის.

მათი თქმით, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში არსებულ ინფლაციაში 30-40% სასურსათო კალათაზე მოდის, ღარიბი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე საუბარი არარეალურია.

**„ინფლაციის პრინციპი ისაა, რომ ამ დროს ღარიბი უფრო ღარიბდება, მდიდარი კი უფრო მდიდრდება. როცა ინფლაცია მაღალია, როგორ შეიძლება ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა შემცირდეს“, –** ამბობენ ექსპერტები.

და ბოლოს, სპეციალისტების თქმით, 1985 წელს საქართველოს საფინანსო რესურსი, როგორც ლეგალური, ასევე ე.წ. ჩრდილოვანი რესურსი 21 მილიარდ დოლარს შეადგენდა (მაშინდელი კურსით), დღეს ეს რაოდენობა ბიუჯეტის და სხვადასხვა დახმარებებით 9 მილიარდ ლარს უტოლდება. ფინანსური რესურსის დაახლოებით 3-ჯერ შემცირება კი მოსახლეობის ცხოვრების დონეზეც აისახა.

ამასთან, ექსპერტების თქმით, დღეს **მშპ**-ს ზრდის ფონზე, მოსახლეობის გაღარიბების პროცესი მაინც მიმდინარეობს, რადგან მისი გადანაწილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ზომიერად არ ხორციელდება. ასევე ილევა ის დანაზოგი, რაც ხალხს საბჭოთა პერიოდში ჰქონდა დაგროვილი და შედეგად, ვიღებთ ძალიან მძიმე სურათს.

## ტყუილი მესამე

**“K2K“** მსოფლიოში 15 ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეიტინგს აქვეყნებს.

გამოცემა ვარაუდობს, რომ 2012 წლისათვის ინვესტიციების ჩადების კუთხით ბიზნესმენებისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა ჩინეთი იქნება.

ამ თვალსაზრისით შედგენილ რეიტინგში მეორე ადგილს აშშ იკავებს, მესამეზე ინდოეთია, მეოთხეზე – ბრაზილია, მეხუთეზე – პოლონეთი, მეექვსეზე – გერმანია, მეშვიდეზე –ავსტრალია, მერვეზე – მექსიკა, მეცხრეზე – კანადა, მეათეზე – სამხრეთ აფრიკა, მეთერთმეტეზე – ვიეტნამი, მეთორმეტეზე – საფრანგეთი, მეცამეტეზე – თურქეთი, მეთოთხმეტეზე – ჩილე, ხოლო მეთხუთმეტეზე – რუსეთი.

რეიტინგის შედგენისას გამოცემამ რამდენიმე ეკონომიკური ფაქტორი, მათ შორის, ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე არსებული მშპ და სხვა მონაცემები გამოიყენა.

როგორც ხედავთ, საქართველო მოსროლილია არასაიმედო საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანათა რიგში. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ამფსონები ყურებს გვიჭედავენ საქართველოში არსებული უნიკალური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებით, რომელიც თითქოს ანდამატივით იზიდავს საქართველოსაკენ უცხოელ ინვესტორებს. ან კი, რომელ უსაფრთხო საინვესტიციო გარემოზე შეიძლება საუბარი, მას შემდეგ, რაც ებრაელ ბიზნესმენებს გაუჩალიჩეს საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებულმა სომხებმა.

სირცხვილი კი ქართველებმა ვჭამეთ...

**საკ. ინფ.**

# უნდა ითქვას სიმართლე

ერთერთ მიტინგზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ენათმეცნიერი – ლევან ღვინჯილია, რომლისგან შემდეგი სიტყვები დამამახსოვრდა: **„...ამ პარტიისთვის შემთხვევით არ შეურქმევიათ „ქართული პარტია“. ეს იმიტომ შეარქვეს, რომ „ქართული დასი“, რომელსაც ლიდერობს ჯონდი ბაღათურია, – მეგრულია; „ეროვნული ფორუმი“, რომელსაც ლიდერობს კახა შარტავა, – მეგრულია; ლეიბორისტული პარტია, რომელსაც ლიდერობს შალვა ნათელაშვილი და მეუღლე მეგრელი ჰყავს, – მეგრულია; პარტია, რომელსაც ლიდერობს ბაჩუკი ქარდავა, – მეგრულია...“** (მათ არცერთს არ მიუღიათ ამ სამარცხვინო მიტინგებში მონაწილეობა).

ლევან ღვინჯილიამ, ქართული ენის სიწმიდისათვის ამ **„თავგადაკლულმა ქომაგმა“**, ენათმეცნიერმა არ იცის, რომ იქ, სადაც ე.წ. მეგრული, ანუ იბერიული სული არ ტრიალებს, საქართველოში ყველაფერი ე.წ. სომხურია. მან, ალბათ, უკეთ იცის დაღესტნური ენები (ის ამ ენების სპეციალისტადაა ცნობილი), ვიდრე ე.წ. ქართული, რადგან ქართულად კარგად მეტყველებს, მაგრამ ვინაც ე.წ. მეგრული სიღრმისეულად არ იცის, ნუ დაიკვეხნის **ქართული ენა** სრულყოფილად ვიციო.

ე.წ. ქართველური ენების მკლევარებმა მოიძიეს ამ ენებში ურთიერთ შესატყვისი 1500-ზე მეტი ძირისეული ფორმა და ბოლოს ჰ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ დაწერა ჯამური **„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“**. მაგრამ ამას იქით აღარ წასულან და სინქრონულ-დიაქრონიულ (ჩასახვა-განვითარების) დონეზე ძირისეული ფორმების კვლევა ბატონი მამანტი ძაძამიასა და ჩემს გარდა, ჯერჯერობით, არავის უწარმოებია. კვლევის შედეგი გვიჩვენებს, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ეროვნული წარმოშობის ლექსიკის მეტი ნაწილი ე.წ. მეგრული ენის ლექსიკის სინონიმებს, ან მისგან მივიწყებულ ფორმებს წარმოადგენენ და მათს ეტიმოლოგიას სინქრონულ-დიაქრონულ დონეზე ხსნის მხოლოდ ე.წ. მეგრული ენა. ეს რომ იცოდეს ბატონმა ლევან ღვინჯილიამ, თუნდაც, ე.წ. მეგრული პარტიების არსებობას ტრაგიკულად ვერ აღიქვამდა. მაგრამ რაკი აგრერიგ ურცხვად მლიქვნელობს აღმოსავლეთ საქართველოში ესოდენ მომძლავრებულ ანტიეროვნულ ძალებთან, რომ დაიბრუნოს ადრე დაკავებული თბილი თანამდებობა, ჩანს, მზად არის თავისი კეთილდღეობის სანაცვლოდ გასწიროს არამარტო ე.წ. მეგრელები, არამედ მთლიანად იბერთა მოდგმა.

იური ღვინჯილია, რომ იცნობდეს ე.წ. ქართული დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) წარმოშობის ჩემეულ კვლევებს და სიღრმისეულად იცოდეს ე.წ. მეგრული ენა, ფიქრადაც არ გაივლებდა **„მეგრული დამწერლობის“** შექმნას, რადგან შეუდარებელი სილამაზის **მხედრული** და უდიდესი ცოდნისა და სიბრძნის დამტევი ე.წ. **ქართული** ასომთავრული, სწორედ, ამ ენაზეა შექმნილი.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქვემოთ ხსენებულ გადაცემის მონაწილენი და ბევრი სხვა **„ქართველი მოღვაწენი“**, ვითომ ეწინააღმდეგებიან, თორემ თვითონ ოცნებობენ და ცდილობენ ე.წ. მეგრელთათვის დამოუკიდებელი დამწერლობის შექმნას, რამეთუ ტვინის გასკდომამდე ცდილობენ მხედრულისა და ასომთავრულის ჭეშმარიტი წარმომავლობის დამალვას და ვითომ მისი მხოლოდ ქართებისათვის მიკუთვნებას. განა ამისთვის არ იღვწოდნენ დიდად პატივცემული ელიზბარ ჯაველიძე და მისი თანამოაზრენი (მათი გვარები არ მახსოვს), როცა დასვეს საკითხი მეგრელებისათვის შეექმნათ დამოუკიდებელი დამწერლობა?

ძალზე მეეჭვება სინამდვილეში არსებობდეს იური ღვინჯილიაც. სულ შვიდ რაიონამდეა სამეგრელო, მაგრამ არცერთი ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც ცდილობს ე.წ. მეგრული ენის ფენომენის წარმოჩენას, ასეთ პიროვნებას არ იცნობს. არავინ იცნობს მის ერთ წერილსაც, რომელიც ყურადღებას მიიქცევდა. ჩვენ ვიცნობდით და ვიცნობთ პიროვნებებს, რომლებიც წერდნენ და წერენ ე.წ. მეგრულ ენაზე ლექსებს და ისინი შეუფერხებლად იბეჭდებოდა და იბეჭდება ქართულ პრესაში. ამიტომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს ცალკე მეგრულ ენოვანი გაზეთის გამოცემა. თუ სინამდვილეში დღის სინათლეზე გამოჩნდა იური ღვინჯილიას სახელით გამოცემული მეგრულ ენოვანი გაზეთი, ეს წმინდა გარე აგრესიული ძალების ფანდია და ამას, როგორც ეტყობა, ქართებს უჭირთ, თორემ ნორმალური მეგრელი კაცი ადვილად ხვდება.

აგრესიული ძალების ფანდია ე.წ. მეგრულ ენაზე ბიბლიის თარგმნის მცდელობაზე გავრცელებული ჭორი და ამის გამო ატეხილი აჟიოტაჟი. ბიბლიის მეგრულ ენაზე თარგმნისა ეშინიათ იმათ, ვინც იცნობს ე.წ. მეგრულ ენას და ეშინია მისი ღვთაებრიობის, უნიკალურობის და შეუდარებელი გამომსახველობითი უნარის წარმოჩენისა, თორემ ამით ვის რა დაუშავდება? და თუ, მართლაც, ამით ვინმეს რამე უშავდება და შიში იპყრობს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ენისა და კულტურის დაჩრდილვისა ეშინია და მეტი არაფერი. თუ სინამდვილეში არსებობს იური ღვინჯილია და ის ქმედებები, რაც „რადიო ობიექტივით“ გადაიცა (შესულია ინტერნეტში www.obieqtivi.net) მიმდინარე (2011) წლის 8 ნოემბერს, ინსპირირებულია იმ მტრული ძალების მიერ, რომელთაც ვნებამორეულთ კბილები უკაწკაწებთ ჩვენს, წინაპართა სისხლით მორწყულ მიწებზე. თუ ეს ძალები შეძლებენ მეგრელები აიძულონ შექმნან ახალი დამწერლობა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მხედრულთან და ასომთავრულთან, მათგან უარყოფილი იქნება მამაპაპათა მიერ შექმნილი კაცობრიობის ეს უპირველესი დამწერლობანი, უარყოფილი იქნება მშობლიური, დღეს ქართულად წოდებული ახალი კლასიკური ადამურ-იაფეტურ-იბერიული ენა, რომლის პატრონობა, საეჭვოა, შეძლონ ე.წ. მეგრელების გარეშე, ე.წ. ქართებმა და საბოლოოდ დასამარებული იქნება იბერთა მოდგმა. სამაგიეროდ ფართო ასპარეზი ეხსნება აღმოსავლეთ საქართველოში მომძლავრებულ ვერაგ და ჯაშუშურ ძალებს, რომლის შემდეგ ისინი ადვილად შემოაჯდებიან კისერზე დღემდე თავისი წარმომავლობაგაურკვეველ ე.წ. ქართებს.

აღნიშნული გადაცემის მონაწილეებმა არსებული, თუ არარსებული იური ღვინჯილია ქართველი ერის მტრად გამოაცხადეს. თუ მართლაც არსებობს ასეთი პიროვნება, შეიძლება, ეს მას უმეცრებით მოსდის, შეიძლება მამონამ აცდუნა, მაგრამ არც აღნიშნული გადაცემის წამყვანს – გელა მომცემლიძეს და არც მის სტუმრებს დაბადებიათ კითხვა: რამ უბიძგა, რა საფუძველი უნდა ჰქონოდა იური ღვინჯილიას, რომ გადაედგა ასეთი მცდარი ნაბიჯი? რა თქმა უნდა, არ დაბადებიათ კითხვა: ამის მიზეზი ხომ არ არის საბედისწერო შეცდომა, რომელიც გლოტოგონიური ფენომენის – ე.წ. მეგრული (ადამურ-იაფეტურ- იბერიული) ენის ხევსურულისა და მთიულურის დარად ქართული ენის კილოკავად გამოცხადებაში გამოიხატება და მუდმივი ზეწოლით ვლინდება, რაც ბრწყინვალედ იციან ჩვენმა სამხრეთელმა კარის მეზობლებმა და ეფექტურად იყენებენ კიდეც. იქნებ ამ ზეწოლისაგან თავდაღწევა და თავისუფლად განვითარების სურვილი იყო (მაპატიე მკითხველო), ზოგიერთის მრუდე გონებით, ღვინჯილიას სახით წარმოდგენილი **„მეგრელების ეს ნაბიჯი“**, თუ ასეთი ნაბიჯი მართლაც გადაიდგა?

სიცრუის შეთხზვა, ვითომ ე.წ. მეგრულ დამწერლობას ქმნიდეს ვინმე ღვინჯილია, ანტიეროვნულ და ანტიმეცნიერულ ძალებს იმისთვის დასჭირდა, რომ, თითქოსდა, მეგრელებიც არ ეთანხმებოდნენ მხედრული და ასომთავრული დამწერლობების ე.წ. მეგრელების (იბერების) მიერ შექმნის ჭეშმარიტებაში. ამ ჭეშმარიტებას იზიარებენ ჩვენი მეცნიერები და არავინ მედავება, მაგრამ მისი აღიარების შემთხვევაში, თავდაყირა დგება ერის მთელი ისტორია და მაკულატურად იქცევა პატ. მეცნიერთა მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი შრომები. ამიტომ ათასგვარ პასკვილებს თხზავენ და არამეცნიერული ხერხებით ცდილობენ შეაფერხონ ჭეშმარიტების გამოაშკარავება.

მეორე დღეს, მ/წლის 9 ნოემბერს **„რადიო-ობიექტივში“** მიმიწვია ამავე ეთერის ერთერთმა წამყვანმა – ბატონმა ალეკო ცინცაძემ. წინასწარ გამაფრთხილეს, რომ სასაუბროდ გვეთმობოდა მხოლოდ 45 წუთი. ვისაუბრეთ ჩემი ნაშრომის **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანის“** შექმნის ისტორიასა და საფუძველზე. კრიტიკულად შევაფასეთ ენათმეცნიერთა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის – ბატონ თ. გამყრელიძის გაუმართლებელი დუმილი ჩემი ნაშრომის მიმართ, რომელიც ეხება ჩვენი დამწერლობების – მხედრულისა და ასომთავრულის წარმოშობას და მისი შემქმნელი ერის ვინაობას.

საუბრისას აღვნიშნე, რომ პალეოგრაფიისა და ლინგვისტიკის ცოდნა არაა საკმარისი იმის დასადგენად ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობა, ვის ვისი დამწერლობა აქვს გამოყენებული პროტოტიპად თავისი დამწერლობის შესაქმნელად. მთავარია, გრაფიკის ენის ცოდნა, რომელიც ერთია დედამიწაზე და, რომლის ცოდნაშიც დიდი უპირატესობა გვაქვს ინჟინრებსა და არქიტექტორებს ლინგვისტებთან და პალეოგრაფებთან შედარებით, რომლებმაც, ჰა და ჰა, საშუალო სკოლის მოსწავლის დონეზე თუ იციან გრაფიკის ენა, რადგან ჰუმანიტარული დარგის სპეციალობების სასწავლო პროგრამაში ის არ შედის, ხოლო ინჟინერთა მომზადების სასწავლო პროგრამის არანაკლებ 50% გრაფიკის ენის სწავლებას და განმტკიცებას ეთმობა. სწორედ ამან მომცა მე, ინჟინერ კაცს გამეხსნა საუკუნეების განმავლობაში დაფარული საიდუმლო.

საუბრის ეს ნაწილი ინტერნეტში არ შეუტანიათ (შეიძლება შეიტანეს, მაგრამ მერე გამოიტანეს, რადგან ამით პატ. მეცნიერთა ყველაზე მტკივნეულ და სუსტ ადგილს დავადგი ფეხი) და 45 წუთის ნაცვლად, რომელიც ჩვენ სრულად გამოვიყენეთ, 36 წუთი და 58 წამია დაფიქსირებული.

ჩვენს მეცნიერებს ურჩევნიათ მესროპ მაშთოცი იყოს ჩვენი დამწერლობების შემქმნელი, ოღონდ არ გამოაშკარავდეს მისი ნამდვილი შემქმნელი ხალხი – იბერები (ე.წ. მეგრელები), რადგან მაშთოცი მაინც სადავოდ რჩება, ხოლო ჩვენი მხედრული და ასომთავრული, რომ იბერთა შექმნილია ამას წინ ვერავინ დაუდგება. მაგრამ, რადგან ეს ჭეშმარიტება საერთო სალიტერატურო ენით ვერ იხსნება, ხოლო იმათ ვინც ე.წ. მეგრული და სვანური ენები არ იციან და ეს ენა მხოლოდ **ქართლურად** მიაჩნიათ, ჰეგემონ ენაზე მეტი საიდუმლოებების გახსნა, წინაპარი პროტოქართული, მაგრამ ფუნქციონალურად დაცემული და დაწუნებული ენის მიერ შეურაცხყოფად ეჩვენებათ და მეცნიერებიც კი ასე ფიქრობენ: ჰეგემონი ქართები ვართ და მეტ საიდუმლოებებს ვინახავთ, თუ ნაკლებს, მეტ სიბრძნეს ვავლენთ, თუ ნაკლებს, ჩვენზე მეტი საიდუმლოებებისა და სიბრძნის გამოვლენის უფლებას არავის მივცემთ, თუნდაც, ასეთი პრინციპი წამგებიანი იყოს ჩვენთვის-ო. და, ბუნებრივია, ამიტომაც მიმდინარეობს კატასტროფული ტემპით ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივი დეგრადაცია.

აი, რა შედეგი მოსდევს სიმართლის დამალვას და სიცრუეთა პროპაგანდას. ხოლო მეგრული ენის არმცოდნე ქართველებს უკვირთ, რატომ გვაქვს ე.წ. მეგრელებს ასეთი არაჩვეულებრივი ამბიციები. თუმცა, არაჩვეულებრივი მათთვისაა, ვინც ჭეშმარიტებაში გაურკვეველია, თორემ ჩვენთვის სრულიად აუცილებელი და ნორმალურია. ყველა სხვა ეთნოსისაგან განსხვავებული ამბიციები იმიტომ გვაქვს ე.წ. მეგრელებს, რომ გვაქვს ამის საფუძველი, ვწვდებით იმას, რაც მიუწვდომელია ყველა სხვა ენისა და ეთნოსისათვის და არ გვინდა ასეთი სიმდიდრის მქონე ერი დაჩაგრული და ვინმეს მონა ვიყოთ. **ერის** ქვეშ აქ მარტო ე.წ. მეგრელებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მთლიანად იბერთა მოდგმას. რადგან ის მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულებები, რომელსაც ხსნის ე.წ. მეგრული ენა, მოპოვებულია იმ ხანაში, როცა პროტოქართული ენის დიფერენციაცია დაწყებული არ იყო.

არ მიკვირს მომცემლიძისა და მისი სტუმრების, რადგან შეიძლება ენათმეცნიერებაში ისინი ღრმად ჩახედულები არ იყვნენ, მაგრამ დამნაშავენი არ არიან ის **„ქართველი“** მეცნიერები, რომლებიც იცნობენ ჩემს ნაშრომებს, დისკუსიაში არ შემოდიან და ჭეშმარიტების იძულებით აღიარების შიშით თავს გვარიდებენ? თითქმის მთელი ერი არ არის ინსპირირებული, ტვინზომბირებული და საკუთარი სამშობლოს მტრად ქცეული ვერაგი მაცდური ძალების მიერ, როცა ჩვენს მეცნიერთა მიუტევებელ, უფრო მეტი, დანაშაულის ტოლფას დუმილს დუმილით და ჭეშმარიტების დამალვაში თანხმობით თანაუგრძნობენ? ასეთი მუნჯური დუმილი ჩემი გამოკვლევების მიმართ და, უკვე, პირდაპირი ბრძოლა ამ გამოკვლევების ჩაკეტვა-დაფარვისათვის, ფაქტიურად, აღიარებაა ჩემი მიგნებების ჭეშმარიტებისა, მაგრამ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჭეშმარიტების რანგში წარმოდგენილ ცრუ დებულებათა სწავლების ჯიუტად გაგრძელებით კატასტროფულად ზარალდება ერის მომავალი.

ვიმედოვნებ, რამდენადაც, ყველა სხვა ე.წ. ქართველური ენებისაგან განსხვავებით ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას სინქრონულ-დიაქრონულ დონეზე ხსნის მხოლოდ ე.წ. მეგრული, იგივე **იბერიული ენა**, ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა გახლავთ **ახალი კლასიკური ადამურ –იაფეტურ-იბერიული ენა** და დღეს ქართველებად წოდებულ ერს და, საერთოდ, ადამის მოდგმას უბრალოდ ჭეშმარიტების გაუცნობიერებლობის გამო გვერქვა, თორემ, მით უმეტეს სახელმწიფო ენად, არასდროს არავითარი ცხოველური (ნადირ-ფრინველთა) ქართველურ-საქონლური ენა აღარ გვქონია. **ქართი** [დამახინჯებული ფორმა **ქარდი**-სა, რაც **აეზარდე**-ს, **აზრდილს** ნიშნავს; ხოლო **ქართი**-ო, ცხოველებზე იტყვიან, რაც **შეერიე**-ს ნიშნავს. ე.ი. ცხოველები ერთმანეთში ერევიან, ხოლო ადამიანები იკრიბებიან **(იკათუუნა, იშაყარუუნა)** და **მეგრელი** (დამახინჯებული ფორმა **იბერისა**) – ეს შეუფერებელი ეთნიკური სახელები – ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, განაწყენებულებმა და გაბრაზებულებმა უწოდეს ერთმანეთს, თორემ ორივე წმინდა სისხლის იბერები ვართ და ყველაზე ვერაგი და ძირგამომთხრელი ძალა მიმართული ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს გათიშვაზე და დაპირისპირებაზე ოცნებობს, გვიწოდებს **ვრაც**-ებს, რომელიც ნაწარმოებია მათივე ენით ეთნიკური სახელწოდების (**იბერი**) გამომხატველ **იბერაც** – ისგან (**იბერაც-ივერაც-ივრაც-ვრაც**) და არა ქართის, ანუ ქართველისგან.

განა არსებობს ქვეყნად იმაზე მეტი ღალატი ერისა და სამშობლოსი, ვიდრე იცოდე ჭეშმარიტება სულ სხვაა, შენ კი ამქვეყნიური, დროებითი კეთილდღეობის დაკარგვის შიშით სიყალბეებს ასწავლიდე შენს ახალგაზრდობას?

ამაზე უნდა ემსჯელათ, ასე მკაცრად და სამართლიანად უნდა დაესვათ საკითხი 8 ნოემბრის გადაცემის მონაწილეებს, თორემ არარსებული საეჭვო ღვინჯილიას (ვფიქრობთ, მისი სახით სამეგრელოს გულისხმობენ) კრიტიკა და მტრად გამოცხადებაა, სწორედ, მტრული ძალების მიზანი. თუ ნამდვილად არსებობს საქართველოს მიმართ, გაუცნობიერებლად, მტრულად განწყობილი იური ღვინჯილია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გონს უნდა მოეგოს და აღიაროს თავისი შეცდომა, მისი ინსპირატორები სხვას მოისყიდიან ამ შიმშილით სულის მღაფავ ქვეყანაში, რომელსაც სპეციალურად ქმნის საქართველოს დღევანდელი სომხური ხელისუფლება. ამიტომაა აუცილებელი დისკუსია და მსჯელობა გაიმართოს ჭეშმარიტების დადგენისათვის და არა არარსებული მტრის ხატის შექმნისათვის.

წინაპართა მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორების სურვილი, ღრმად მჯერა, ყველა ჭეშმარიტ იბერთა მემკვიდრეს ამოძრავებს, მაგრამ აგრესიული არმენული ძალები ამას ვერ ეგუებიან და თუ რიცხობრივად უფრო მეტი და ძლიერნი აღმოჩნდებიან, ვერავითარი ზნეობა და სამართლიანობა მათ ვერ შეაკავებს. ამიტომ იცვლიან გვარებს და ეწერებიან ქართველებად, რომ ადვილად გამოუთხარონ ძირი იბერთა მოდგმას. იმედად ისღა გვრჩება, რომ ღვთის ნებას ვერავინ დასძლევს, მაგრამ უნდა გავიცნობიეროთ ჭეშმარიტება: უმოქმედოს და უდარდელს ღმერთიც არ წყალობს. ამიტომ ფრთხილად და ფხიზლად თანამემამულენო!

იქნებ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების აგრე რიგად დაცემაში მხოლოდ სხვაა დამნაშავე და ჩვენ ყველა, როგორც იტყვიან, მამა აბრამის ბატკნები ვართ?

დღევანდელ საქართველოში ვის აქვს უფლება ჰქონდეს პრეტენზია განათლებულობაზე, ეროვნულობის ასე იგნორირებისა და პირადი ამბიციების წინაპლანზე ესოდენ დაყენების ხანაში?

რაოდენ დამსახურებული არ იყოს პიროვნება, მეცნიერების რა სიმაღლეზეც არ უნდა იყოს იგი ასული, არა აქვს მორალური უფლება იყოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, პროფესორი და, უბრალოდ, ჰქონდეს პრეტენზია განათლებულობაზე და მეცნიერებაზე, რომელიც სიმართლის აღიარებას ვერ ბედავს. ისაა მშიშარა, ლაჩარი და, საერთოდ, ჩამოსართმევია ყოველგვარი მეცნიერული ტიტული, რადგან ასეთი მეცნიერი ვერ აცნობიერებს რაა სიკეთე და რაა ბოროტება.

**კუკური ფიფია,**
**“ფაზისის” აკადემიის კადემიკოსი**

# კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო



ცნობილია, აგრეთვე, სტრაბონიც (ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნე) მიუთითებს, რომ მეფეთა ველზე იკრძალებოდა ყველა ეგვიპტელი მონარქი და რომ ეს სამარხები უდიდეს საიდუმლოებას ინახავდა.

ისიც ცნობილია, რომ 1912 წელს ევროპელი მეცნიერი თეოდორ დევისი ამტკიცებდა, რომ მან და მისმა კოლეგებმა მეფეთა ველის ყველა საიდუმლოება ამოხსნეს, მაგრამ ამ განცხადების 10 წლის შემდეგ, 1922 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა ტუტანჰამონის სარკოფაგი აღმოაჩინა. გარდა ამისა, **აშშ**-ის – ალაბამის უნივერსიტეტის მკვლევარმა სარა პარკერმა 2003-2004 წლებში ეგვიპტეში 83 ახალი ობიექტი აღმოაჩინა, რომელთა შესახებ ცნობები არავის ჰქონდა. სარა პარკერი ამტკიცებს, რომ თანამედროვე მეცნიერებამ ეგვიპტის საიდუმლოებების მხოლოდ 1 პროცენტის ამოხსნა მოახერხა, 99 პროცენტის შესახებ კი კაცობრიობამ არაფერი იცისო.

ახალი კვლევის საჭიროება, ჩანს, განაპირობა იმანაც, რომ სწორედ ნეფერტიტის სამარხში ნაპოვნი ეტრატების საშუალებით, 1995 წელს შესაძლებლი გახდა რამზეს II-ის შვილების მუმიების მიგნება. (არქეოლოგები ნეფერტიტის მუმიის შესწავლას აგრძელებენ, გაზ. **„კვირის ქრონიკა“**, 2008 წ. 29 დეკემბერი – 2009 წ. 4 იანვარი, №52, გვ. 31; და, თანამედროვე მეცნიერებმა ეგვიპტის საიდუმლოებათა 1 პროცენტი ამოხსნა, გაზ. **„ალია“**, 2008 წ. 30 დეკემბერი, 2009 წ. 6 იანვარი, №159, გვ. 14.).

კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდი დიდი ხნით უსწრებს ეგვიპტეში დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს, რომელთა სასაფლაოებში ჩატანებული ჰქონდათ უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი. ისმება კითხვა: მეტალურგიის წარმოების, ოქროს დამუშავების გამოცდილება ეგვიპტეში ხომ არ გადავიდა კოლხეთიდან, ან პირიქით – ეგვიპტიდან კოლხეთში? მაგრამ, არა, მეტალურგიული დამუშავება მსოფლიოში პირველად კოლხეთში დაიწყო. ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში მდებარე გერმანული არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი გიუნტერ დრეირი მიუთითებდა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2650 (თუ 2609) წელს ფარაონ ჯოსერის მიერ აგებულ პირველ პირამიდასა და ერთ-ერთი მისი წინამორბედის მიერ აგებულ აკლდამას შორის მსგავსება არსებობს (გაზ. **„ახალი ვერსია“**, ეგვიპტური პირამიდები – მშენებლების შეცდომა, 2004, 1-7 მარტი). მაშინ, გამოდის, რომ კოლხ მშენებლებს ეგვიპტეში პირამიდებზე მუშაობა თითქმის 4 ათასი წლის წინ დაუწყიათ და არა უფრო გვიან ტუტანხამონის (ტუტანჰამონის) აკლდამის მშენებლობის პერიოდში. მეცნიერთა აზრით, ამ აკლდამების მსგავსია ფარაონ ხასეხემვის აკლდამა, რომელიც ეგვიპტის სამხრეთით, ძველ სამეფო ნეკროპოლში – აბიდოსში მდებარეობს, როგორც ითქვა. ეგვიპტის პირველი ფარაონ – ნარმერის ანუ მენესის სატახტო ქალაქი იყო თიისი, ზემო ეგვიპტეში. მაგრამ ქვემო ეგვიპტესთან ბრძოლის პერიოდში მისი ძირითადი ადგილსამყოფელი გახდა მემფისი, რომელიც დედაქალაქ კაიროდან სამხრეთით თხუთმეტ კილომეტრზე მდებარეობდა. VI დინასტიის დროს ქალაქს (სამეფოს) ეწოდა **„მენფერ“** (ფარაონ **„მენესის უმშვენიერესი სამყოფელი“**); კოპტურ ენაში ქალაქს ეწოდა **„მენფე“**, ბერძნებმა უწოდეს **„მემფის“**. საამაყოა ის, რომ ეგვიპტური პირამიდების მშენებლობის მთელი რიგი საიდუმლო ამოხსნა ქართველმა მკვლევარმა გიზო ვაშაკიძემ. (ქართველმა მეცნიერებმა 48 საუკუნის წინანდელ საიდუმლოს ფარდა ახადა. ამის შესახებ გიზო ვაშაკიძეს ესაუბრა მარიკა კახაძე, გაზ. **„ასავალ-დასავალი“**, 2003, 21-27 აპრილი).

როგორც ითქვა, განსაკუთრებით აღსანიშნავია თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის მონარქის, ძვ. წ. XIV საუკუნის პირველი ნახევრის (გარდაიცვალა ძვ. წ. 1352 წელს, თითქმის 3300 წლის წინ) უდიდესი აკლდამის /**„მეფეთა ველზე“** დამარხული მონარქების/ **„პატრონის“** ტუტანჰამონი (ტუტანჰ(ხ)ამონის) (ტუტანჰამონის აკლდამა გახსნეს 1922 წელს (27 ნოემბერი), მიუხედავად კარზე გაკრული უმძიმესი – საშინელი წყევლისა. ამ დიდი აღმოჩენის სიხარული ბოლომდე ვერ გაიზიარა გათხრების დამფინანსებელმა ლორდმა კარნარვონმა. მას 1923 წელს ზამთარში შხამიანმა კოღომ უკბინა და წამებით გარდაიცვალა. 1930 წლამდე გარდაიცვალნენ ექსპედიციის სხვა მონაწილეებიც, მაგრამ, წყევლა და ცრუმორწმუნეობა აქ არაფერ შუაში იყო, რადგან არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელი (ტუტანჰამონის სარკოფაგის აღმომჩენი) ჰოვარდ კარტერი გარდაიცვალა გვიან, 1939 წელს (მარტი), ის ექვსი წელი აწარმოებდა გათხრას. თ. გეგიას წერილი „ტუტანჰამონის აკლდამის ერთ ოთახში 700 ოქროს ნივთი აღმოჩნდა, გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი“**, 2002, 28 ნოემბერი-5 დეკემბერი, გვ. 14 (ტუტანჰამონის მუმიას 700 არა, მაგრამ 100-ზე მეტი სამკაული ქონდა ჩატანებული, მათ შორის მოოქროვილი ეტლი). რომლის ერთ **„ოთახში“** ოქროს 100-ზე მეტი ნივთი აღმოჩნდა, რომ ამ **„ოთახში“**, რომელსაც კარები ოქროსი ჰქონდა, იდგა ოქროს კიდობანი, რომლის სიგრძე 5 მეტრი იყო, სიგანე 3,70, სიმაღლე – 2,73 მეტრი. კიდობნის დაშლას 84 დღე მოანდომეს. კიდობანში იყო ახალგაზრდა ფარაონის 1,85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 6 წელზე მეტი გაგრძელდა, 1922 წელს დამთავრდა. სამუშაოებს აწარმოებდა ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი, (ძველი ფივის ახლოს). კარტერი წერდა: **„რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონთა სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე“ ინახებოდა? აქ დამარხული 27 მონარქიდან ტუტანჰამონი ხომ ყველაზე უფრო უმნიშვნელო მმართველი იყო“**. არქეოლოგიურ სამუშაოებს აფინანსებდა უმდიდრესი ინგლისელი ლორდი კარნარვონი. აკლდამის შესწავლა 1927 წელს დამთავრდა.

ძვ. წ. 1538-1525 წლებში ეგვიპტის ერთ-ერთი გავლენიანი ფარაონი იყო ტუტმოს I ოხეპერკარა.

ცხადია იქ, ძველ ეგვიპტეში, კოლხები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ცნობილია, რომ ქართველები (კოლხები) ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, ბაბილონში, სირიაში და სხვაგან.

ნუთუ, მართლა, ეგვიპტელ მონარქთა, **„მეფეთა ველზე“** ნაპოვნი – ფარაონთა სასწაულებრივი, ხელთუქმნელი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან პირველი – პირამიდები (მეგრული სიტყვა **„გოპირელი“**, **„გმაპიროუ“** – **„ყვავილოვანი“**, **„მოყვავილე“** – სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ფარაონების პირამიდა – მუდმივი სიცოცხლე –ყვავილოვანი, მოყვავილე) – სარკოფაგები და იქ თავმოყრილი ოქროს ნაკეთობანი, სამკაულები, სკულპტურული ქმნილებები, კოლხ ოსტატთა ნახელავია?! (რა თქმა უნდა კოლხეთის მიერ არის შექმნილი) ასევე, ჯოსერის პირამიდის, მშენებლობის ხელმძღვანელი, ეგვიპტეში ქვის მშენებლობის ფუძემდებელი, დიდი არქიტექტორი იმხოტეპი (იმჰოთეფი) ძველი მეგრული სახელის მსგავსი ხომ არ არის?! ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ ქიმეთი (ეგვიპტე) კოლხური ქვეყანაა, რომ კოლხები ეგვიპტიდან არაინ წამოსულები, ანუ პირიქით ეგვიპტელები კოლხეთიდან არიან წასული, უძველეს დროში კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხი იყო?!

ეგვიპტის პირამიდის ცნობილი ეგვიპტელი მკვლევარი მოჰამედ ზაქარია ღონეიმი (**მ.ზ. ღონეიმი,** დაკარგული პირამიდა, მ. ნასარიძის ნათარგმნი, თბ., 1965, გვ. 16-18) ამბობს: „ეგვიპტელებმა გააღმერთეს იმჰოთეფი (იმხოტეპი), მოგვიანებით ყველა, ვინც წერას შეუდგებოდა, პირველ ყოვლისა, მის სადიდებლად იტყოდა რამეს. მას მიაწერენ რიგ გამონათქვამებს, რომლებმაც შემდგომში უკვდავება დაიმკვიდრეს. როცა ეგვიპტეში მოვიდნენ ბერძნები, მათ იმჰოთეფი თავიანთ მკურნალობის ღმერთთან, ესკულაფასთან გააიგივეს.

უდავოა, რომ იგი იყო ტიტანური ნიჭის ადამიანი. მისი საფეხურული (საფეხუროვანი) პირამიდა, მსოფლიოს პირველი ქვის ნაგებობაა, დღემდე ტოვებს დაუვიწყარ და, შესაძლოა, უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას, ვიდრე გვიანდელი, ყველასათვის ცნობილი ხეფრენისა და ხუფეს პირამიდები. ცნობილია, რომ იმ დროს ფარაონები რამდენიმე სამარხს იშენებდნენ. ჯოსერმა საფეხურული პირამიდის გარდა ბეთ-ხალაფში ააგო კიდევ ერთი დიდი მასტაბა, (მ. ზ. ღონეიმი, დაკარგული პირამიდა, გვ. 14, 20-21. ღონეიმის ბევრი განუხორციელებელი გეგმა დარჩა, ის 1959 წლის დასაწყისში, ნილოსში დაიხრჩო.) **"ახამ აბიდოსში ააშენა აკლდამა, საქარაშიც არის მისი სახელობის დიდი მასტაბა"**. (რა თქმა უნდა ფარაონს ერთ ადგილას მარხავდნენ, სხვები იყო – კენოტაფი – ცრუ, სიმბოლური სამარხი).

აღსანიშნავია ის წესიც, რომლის შესახებ ღონეიმი წერს: ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილი ცხოვრობს თვით სამარხში ან მის მახლობლად, ამიტომ სამარხები სამეფო სასახლეების, ასე ვთქვათ, მოდელებს წარმოადგენენ. ჩანს, გასვენებულ მონარქს თან მონებსა და სასახლის მსახურებსაც აყოლებდნენ... ეს ბარბაროსული წესი გადმონაშთია იმ დროისა, როცა ეგვიპტელები ჯერ კიდევ არ იყვნენ ცივილიზებულნი, როგორც ეტყობა მალე გაქრა.

შორეულ წარსულში, – გვაწვდის მასალას ღონეიმი, – უთუოდ არსებობდა ჩვეულება, რომლის ძალითაც მმართველობის განსაზღვრული წლების შემდეგ ხანგადასულ ფარაონებს ძალდატანებით კლავდნენ. ხალხს სჯეროდა რომ, მბრძანებლის ძლიერებაზე იყო დამოკიდებული მიწის ნაყოფიერება, ეგვიპტის აყვავება და ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ, როდესაც წლების მომატების კვალდაკვალ ფარაონი თანდათან დაუძლურდებოდა, მას საზეიმოდ კლავდნენ და ტახტს იკავებდა ახალი მბრძანებელი. ვარაუდობენ, რომ ასეთი რამ მმართველობის ყოველი ოცდაათი წლის შემდეგ ხდებოდა. აგრეთვე ძველ ეგვიპტეში, მაშინ როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ფულის მიმოქცევა, სიმდიდრე, რა თქმა უნდა, ფულით არ იზომებოდა, არამედ ერბოთი, ხორბლითა და სხვა პროდუქტებით, აგრეთვე ოქროთი და ძვირფასი ქვებით.

იმჰოთეფის (იმხოტების) აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, აგრეთვე, ისიც კი მსოფლიოსთვის ცხადია, რომ ძველ კოლხთა და მათ მემკვიდრეთა ნამუშევარია **„ოქროს საწმისი“**, აიეტის **„სპილენძის ყუთი“** და იქ განთავსებული დიდი ცოდნა, რომელმაც მსოფლიო უზომოდ, სასიცოცხლოდ გაამდიდრა.

როგორც ზემოთაც ითქვა და როგორც მეცნიერები ადასტურებენ, კიდევ ხომ არ არის რაიმე დიდი საიდუმლო იმაში, რომ ჰეროდოტე კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა ან ნათესავებად თვლიდა?

აქ, ალბათ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება...

გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირამიდების საიდუმლოებების ამოხსნას არა ერთი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს და ამასთან ერთად, მისი იდუმალების ბოლომდე გაშიფვრა მაინც ვერაფრით ხერხდებოდა. როგორც ირკვევა უძველეს ცივილიზაციებში პირამიდები მხოლოდ აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებზე არ შენდებოდა. მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ მათ ბოსნიაში პირველი პირამიდა აღმოაჩინეს, კერძოდ, მას სარაევოსთან ახლოს, ქალაქ ვისოკოში მიაკვლიეს. რადგან დაზუსტებული ცნობები არა აქვთ, უფრო კონკრეტული ინფორმაციისაგან, მეცნიერები ამ ეტაპზე თავს იკავებენ (გაზ. **„ალია“,** 2008, 8-10 ნოემბერი, №137, გვ. 26.)

ძველ კოლხეთში ოქროს მოპოვება-დამუშავების წესი დეტალურად აქვს აღწერილი სტრაბონს. შემთხვევით ხომ არ იყო ის ფაქტი, რომ კოლხეთს **„ოქრომრავალ ქვეყანას“** უწოდებდნენ და ისიც, რომ **„ოქროს საწმისის“** სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი. ესეც ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთი დაკავშირებული იყო ძველ ეგვიპტესთან, მის მეფეთა სიმდიდრეებთან?! და იქ ნაპოვნი ნაკეთობების კოლხურ წარმოებაზე ხომ არ მიუთითებს?

კურტ იოახიმ შპრენგელი (1766-1833) ამბობს: **„კოლხები თაყვანს სცემდნენ პრომეთეს დედას აზიას... პრომეთეს და დედამისის გარდა კოლხები თაყვანს სცემდნენ ჰერაკლეს, რომელმაც იხსნა პრომეთე...“** შემდეგ აგრძელებს: **„ეგვიპტელთა კულტურაზე უდაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ... პრომეთე იყო მათი მამამთავარი, ხოლო ოსირისი და სესოსტრისი მჭიდრო კავშირშია კოლხეთთან, ეგვიპტელებს იქიდან აქვთ გადაღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება...**

**ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისაგან, მოგვიანებით კი ელინელებისაგან გადაიღეს ღვთაებები...**

**ამრიგად, ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობის არიან“.**

ჰეროდოტე წერს: **„კოლხებს ენაცა და ჩვევაც ეგვიპტური აქვთ“**. ისიც ცნობილია, რომ მეფე აიეტის ასულმა მედეამ, მამის კუთვნილი ტერიტორიის ერთ ნაწილში კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე – სადაც ათასწლეულების შემდეგ შეიქმნა ირანის და, არც ისე მრავალი საუკუნის წინ, აზერბაიჯანის სახელმწიფოები – შექმნა სამეფო, რომელსაც მის საპატივსაცემოდ მედეთი-მედია ეწოდა. ლათინურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე ამ სამეფოს, ჩვენი წელთაღრიცხვით V-VI საუკუნეების მიმოხილვაშიც **„მედეა“-**დ იწოდებოდა. შემდეგში, რატომღაც, ქართულ მიმოხილვებშიც, ეტყობა რუსული ენის გავლენით, **„მედიას“ „მიდიას“** უწოდებდნენ. ძველი მიმომხილველები, კერძოდ, ძვ. წ, VI-V საუკუნეების (მათ შორის ჰეროდოტე და სხვები) კასპიის ზღვის ნავთობით მდიდარ მხარეს მედეას – მეფე-ქალის კუთვნილებას უწოდებდნენ. ინგლისურენოვანი გამოკვლევები მიუთითებენ, რომ ნავთობის ძველთაძველი სახელია **„მედეაზოილი“** – მედეას კუთვნილი ნავთობი.

ამ მხარეს ძველთაგანვე ერქვა **„არია“,** მოსახლეობას **„არიელები“. „არ“** მიწათმოქმედების გამომგონებელ ხალხზე მიგვანიშნებს.

**კლიმენტი შელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

**P.S.** **კ. შელიას გამოსაცემად მომზადებული აქვს 850 გვერდიანი ნაშრომი „კოლხეთი (საქართველო) – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე“, რომელსაც დართული აქვს ასზე მეტი ცხრილი, დიაგრამა, რუკა, ფოტოსურათი. ავტორი მიუთითებს, რომ კოლხეთი (საქართველო) მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, კოლხური (ქართული) ენა მსოფლიოს პირველი ენაა, სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები, საქართველოში გაჩნდა.**

**წიგნი ელოდება შესაფერის, საქართველოს, ქართველი ხალხის მოყვარულ სპონსორს (ან სპონსორებს), რომელიც უთუოდ გამოჩნდება. გამოჩენილი შვეიცარიელი მეცნიერი რომან ს. შოლცი კ. შელიას დახმარებას სთავაზობს, მაგრამ კ. შელია უცხოელის დახმარებაზე უარს ამბობს.**



# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ **„აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი“ – იგივე „ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირი“** – და მასთან არსებული ქართველ უხუცესთა საბჭო – (აფხაზეთიდან) მოგმართავთ თქვენ ბატონო პრეზიდენტო: ეგებ გავარკვიოთ რატომ ხდება ჩვენ მიერ წამოყენებული წინადადება-პროექტების იგნორირება საქართველოს კომპეტენტური ორგანოებისა და სამინისტროების მხრივ, რომელთა განხორციელება გარკვეულწილად შეუწყობდა ხელს ჩვენსა და აფხაზებს შორის ნდობის ადგენას-შერიგებისაკენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. გაუგებარია, უფრო მეტიც შემაძრწუნებელია, როცა ორი წლის განმავლობაში პასუხს ელი და ვერ მიიღებ. გამონაკლისი მხოლოდ ერთი პროექტია, როდესაც პრეზიდენტის კანცელარიამ შესასრულებლად გადაუგზავნა აფხაზეთის მთავრობას – კანცელარიამ ალბათ არც თქვენ ჩაგაყენათ საქმის კურსში (არ მოგახსენათ) თორემ არ დავიჯერებთ, რომ ხსენებული პროექტი აფხაზეთის მთავრობისათვის გადაგზავნის განკარგულება თქვენ გაგეცათ, ვინაიდან მათ მისი შესრულების შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ძალიან მოკლედ ჩამოვთვლით ზოგიერთ წინადადება-პროექტებს და თქვენ და ქვეყანამ განსაჯოს ღირდა თუ არა ამ წინადადებაზე რეაგირება.

1. 2010 წლის 6 აგვისტოს თქვენს სახელზე გაიგზავნა წერილი, სადაც გამოვდიოდით თხოვნით: დაიდგას ინგურის ხიდთან არსებულ პატარა მოედანზე მონუმენტი ომში დაღუპულ ქართველთა, აფხაზთა და სხვა ეროვნების პატივსაცემად-უკვდავსაყოფად (წარწერით – **„მოტყუებული ძმები ერთმანეთს ებრძოდნენ“** – წარწერა შეიძლება სხვა შინაარსისაც იყოს)

2. პარლამენტში ცნობისათვის გაიგზავნა მიმართვა აფხაზთა უხუცესთა საბჭოს წევრებისადმი, რომელიც მანამდე გაშუქდა პრესით და ტელეარხებით. მიმართვის სრული ტექსტი იმ საღამოსვე გადაიცა რადიო-თავისუფლების (პრაღა) მიერ, რომელსაც კორესპონდენტების ძალისხმევით იმ საღამოსვე გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი კონსტანტინე ოზგანი – სოხუმიდან და დადებითად შეაფასა ჩვენი ქართული უხუცესთა საბჭოს შექმნა. ჩვენი და ლტოლვილთა გარკვეული ნაწილის დიდ გაკვირვებას იწვევს ის რომ არც აფხაზეთის (თბილისში მყოფი) და არც საქართველოს მთავრობა ამ პროცესით არ დაინტერესებულა, ვითომ არაფერი მომხდარა. გვეგონა აფხაზეთის ხელმძღვანელობა ამოგვიდგებოდა მხარში – მოგვცემდა რჩევა-დარიგებას. არა და, – ისინი დუმან. ვურჩევდით, ვთხოვდით ჩვენს ძველ მეგობარს ბატონ გია გვაზავას, მოგვაქციოს ყურადღება, რამეთუ აფხაზებთან ნდობის აღდგენაზე-შერიგებაზე უფრო აქტუალური საკითხი (ჩვენი აზრით) ამჟამად არ გვეგულება.

3. 2010 წელს ვწერთ ეკონომიკური პროექტის შესახებ მდინარე ენგურის ძველი კალაპოტის ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელების შემთხვევაში დასაქმდებოდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ათასობით პირი და არანაკლები რაოდენობის გალის რაიონიდან – აფხაზეთიდან და მათ და აფხაზებს გაუჩნდებოდათ ურთიერთობის ბუნებრივი საშუალება, რაც ნდობის აღდგენას და შერიგებას შეუწყობდა ხელს. ჩვენს აქტივისტებს შემუშავებული აქვთ ამ სამუშაოების განხორციელების პროექტი.

4. 2011 წლის 18 მარტში ვწერდით – იმისათვის, რომ აფხაზ და ქართველ ხალხთა ურთიერთობას მიეცეს რეალური ბიძგი შერიგებისაკენ, აფხაზებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთში – და აქვთ აფხაზური პასპორტები (რომელიც სხვა სახელმწიფოში გასვლის უფლებას არ იძლევა) ნება დაერთოთ თავისუფლად, ყოველგვარი ვიზის გარეშე შემოვიდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ჩერქეზების გენოციდი ვცანით (რასაც არავინ გვთხოვდა), თურქეთში უვიზოდ დავდივართ, მაგრამ ჯერ ხომ სახელმწიფოს შიგნითა საქმეების მოგვარება უფრო მიზანშეწონილი და აუცილებელია, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, გააჩენდა იმედის მცირე ნაპერწკალს დაბეჩავებულ ლტოლვილებში.

5. 2011 წლის ივნისში ვწერდით ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხში – მოედანზე, სადაც ომამდე იგეგმებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმობის უკვდავსაყოფად აღმართულიყო მონუმენტი, გაკეთდეს კეთილმოწყობილი ბაზრობა (ლილოს ტიპის), რომელიც დიდ შედეგს გამოიღებდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენის საქმეში. გვაქვს უწყვეტი კავშირი აფხაზებთან, რომლებიც გულანთებულად მოწადინებული არიან შერიგების საკითხში თავისი წვლილის შეტანით.

6. 2011 წლის 30 ივნისს რეინტეგრაციის სამინისტროში დაიწერა იმის შესახებ, რომ ექიმთა ჯგუფი, ბატონ ფრიდონ თოდუას საქვეყნოდ ცნობილ კლინიკიდან, თავად ბატონი ფრიდონის ხელმძღვანელობით, შევიდოდნენ აფხაზეთში – გალის საავადმყოფოში, ერთი თვის განმავლობაში ჩაატარებდნენ მოსახლეობის გასინჯვა-გამოკვლევას. ამავდროულად ჩაატარებდნენ ძვირადღირებულ ოპერაციებს (ყველაფერს უფასოდ), და რაც მთავარია, აპარატურას (მოსკოვის გარდა არსად არ არის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში), რომელსაც საავადმყოფოში შეიტანდნენ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი საჩუქრად დაუტოვებდნენ საავადმყოფოს.

ამის ორგანიზაციაც ვერ ან არ მოხერხდა. არ გაუვლია ერთ თვეს და რუსებმა დაიწყეს რაიონში უფასო გასინჯვა. ალბათ მათ ყურამდე მიაღწია ჩვენმა ზლოზინმა ამ საქმეში.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს აფხაზებთან ნდობის აღდგენა და შერიგება – სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს კაცი.

თქვენი განცხადებით, ბატონო პრეზიდენტო, რამდენი ხნის წინ უნდა გამთლიანებულიყო საქართველო, მაგრამ, საუბედუროდ, ტერიტორიების დაბრუნება კი არა, ნდობის აღდგენისთვისაც თითს თითზე არ ვაკარებთ. დროა ყველამ შეიგნოს: ლტოლვილებთან იაფფასიან თამაშით შორს ვერ წავლენ. გარწმუნებთ, რომ ლტოლვილები სათანადო დასკვნას გააკეთებენ და ხმას ამჟამინდელ მთავრობას არ მისცემენ.

ყველასთვის გასაგებია, რომ ბევრი უბედურება დაგვატეხა თავს ამ უაზრო ომმა, დავტოვეთ მშობლიური მიწა-წყალი, ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, 300 000-ზე მეტი ადამიანი კი ლტოლვილად იქცა. ეს უდაო ფაქტია, მაგრამ უდაოა ისიც, რომ არც ჩვენი მთავრობა და მისი ხელმძღვანელობაა უდანაშაულო იმ ავადსახსენებელი ომის პროვოცირებაში და დაწყებაში, მაგრამ დაისაჯა ვინმე? არა!

მთავარი დამნაშავეები ნაძარცვი და ნაყაჩაღარი ქონებით დღესაც განცხრომაში ცხოვრობენ. ესაა სინამდვილე. ისმის შეკითხვა: როგორ მოვიქცეთ, ვიჯდეთ და ვიყოთ ისე როგორც ვართ, თუ ვიმოქმედოთ, რათა აღვადგინოთ ნდობის ფაქტორი მაინც და ვიაროთ შერიგებისაკენ. სხვა გზა რომ არ არსებობს, თქვენც კარგად იცით, ომით ჩვენ აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ და რომ დავიბრუნოთ ვის უნდა ტერიტორია აფხაზების გარეშე. ამის შესახებ ყველამ კარგად იცის – მაშ რაშია საქმე, რატომ ვდუმთ, რატომ ყურად არ ვიღებთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ საქმიან წინადადებებს? გთხოვთ ვინმემ გაგვცეს პასუხი. ჩვენ, როგორც ვხედავთ, დაგვრჩენია მხოლოდ ერთი გზა: გავააქტიუროდ მუშაობა სხვა არასამთავრობოებთან ერთად და ჩავუდგეთ სათავეში ლტოლვილთა საზოგადოებას. ალბათ საჭირო იქნება საკორდინაციო საბჭოს შექმნა, რის განხორციელებასაც უთუოდ შევძლებთ.

პატივისცემით, კრების დავალებით:

**ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,**
**აფხაზეთის ომის შრომისა და შეიარაღებულ ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე**
**მამანტი ჯოლია**

# მუსტანგი

### ვუძღვნი ალექსანდრე ჭაჭიას

გადახრუკული ვითარც კერია,
მზისგან გადამწვარ ვერან ხრიოკებს
ყურდაცქვეტილი ზვერავს პრერიას,
დედა მუსტანგი ბრაზს ვერ იოკებს.
ესმის გნიასი მხეცთა ღრიალში,
ბუჩქნარებს მიღმა სადღაც ბარდებში,
სხივთ ათინათის ფერთა რიალში
ხალად გართხმულან ლეოპარდები.
ვით მომაკვდავის სულის ხრიალი
უსაზიზღრესი მწვანე ნოტებით,
ლეშის მოსურნე ოხერ-ტიალი,
სულს რომ ღაფავენ კოიოტები.
ცაზე კონდორი ფრთების ყარყაშით
დასცქერის მინდორს მრავალფერიანს,
დილის მზის სხივი ფერად კაშკაშით
ასე გვიხატავს ვერან პრერიას.
დედა მუსტანგი ცხვირს უწევს ნიავს,
ბუჩქნარებს, ბორცვებს, ველურ ქვიშიანს,
ეს დედობრივი საზრუნავია,
განა სიკვდილის ვერაგ შიშია.
გვერდით კვიცია დედის ამარა,
ვერ ამჩნევს ხოხვით მავალ ავაზას,
უმალ მტარვალმა შეჰკრა კამარა,
რათა მოუღოს ბოლო რამაზანს.
ეშვთა ნაჭდევი კისერზე ღარად,
სისხლის გუბურა წრე და წერტილი,
მხეცმა უმანკო სისხლი დაღვარა,
დასცა უსულოდ სისხლდაწრეტილი.
მეც მგონი კიდევ აღწერას მოვრჩი
ძალისხმევით და მგოსნის ჯაფითა,
როგორ იმსხვერპლა სიცოცხლე ნორჩი,
ავაზამ კვიცი როგორ დაფლითა.
გახელებული, ფაფარაშლილი,
დედაშვილური ძალთ გაორებით,
ველურ მუსტანგმა პატარა შვილის
მოსისხლე მტარვალს დასცხო ტორები.
ყველა მტარვალებს მინდა ვუსურვო,
ვით სისხლის მსმელად გამოძერწილი,
როგორც მუსტანგმა დასცა უსულოდ
ავი ავაზა ყბებდალეწილი.
დედის თვალებო, სევდით მოცულნო,
ვერ შეელევით მაინც მაგ გორებს,
მე კი მარადჟამს თქვენზე ვლოცულობ,
რომ თქვენი ბედი კოლხეთს მაგონებს.
თქვენზე ფიქრებში განა მარტო ვარ?
სანამ ეგ სისხლი ალის ფერია,
სულში ნაღველი იმან დატოვა,
რომ დღეს კოლხეთიც არის პრერია.
ჩაიკალ გულში მუსტანგო სევდა,
რომ ინავარდო მშვილდა კიდურნით,
იმ მზის ქვეშაა კოლხეთის დედა –
გულდამწვარი და შვილგაყიდული.
ინავარდებენ მზის ქვეშ ისინი,
კოლხეთიც გაზრდის მუსტანგ-მერანებს,
ვერას დააკლებს გველის სისინი,
ნანად რომ ესმით მტარვალ-ვერანებს.
ვითარც ფანტომის ფერთა რიალი,
თქვენზე ფიქრები რად ამეკიდა?
დედა მუსტანგის ფლოქვთა გრიალი
კოლხეთში მესმის ამერიკიდან.

**ზურამ ჯიქია**

## თურქეთის ახალი კანონი საქართველო-თურქეთის სავიზო რეჟიმთან შეუსაბამოა

როგორც ცნობილია, თურქეთის პარლამენტმა სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით ცვლილებები განახორციელა, რომლის მიხედვითაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს თურქეთის ტერიტორიაზე სამი თვით ყოფნის უფლება აქვთ, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ მათ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა სამთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ შეეძლებათ. კანონი მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან შედის ძალაში.

ამ ფაქტს უკვე გამოეხმაურა ოფიციალური თბილისი. როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ** განაცხადა, თურქეთის მიერ სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით მიღებული კანონი საქართველო-თურქეთს შორის სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმების პირობებს არ პასუხობს და მხარეებს შორის მიმდინარეობს დიალოგი, რათა აღნიშნული კანონმდებლობა ქვეყნებს შორის არსებულ სავიზო რეჟიმთან შესაბამისობაში მოვიდეს.

**„ქართული მხარე დიალოგშია თურქულ მხარესთან და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორმხრივად გაფორმებული შეთანხმების პირობებს ეს კანონმდებლობა არ პასუხობს და ვცდილობთ, ეს კანონმდებლობა მაქსიმალურად იყოს მოყვანილი ჩვენს ორმხრივ რეჟიმთან შესაბამისობაში“,** – აცხადებს **ჯალაღანია.**

## კიდევ ერთი მიტოვებული ჩვილი თბილისში

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, თბილისში, იყალთოს ქ. 33-ში, მცხოვრებთ სახლის კართან დილის 08:30 საათზე ჩვილი იპოვეს.

**„იყალთოს ქუჩაზე ერთ-ერთ სახლთან ჩვილი მიაგდეს. ის ახალი დაბადებული იყო და ჭიპლარიც არ ჰქონდა მოცილებული“,** – განმარტავენ სასწრაფო დახმარების ცენტრში.

ჩვილის ნახვის შემდეგ ადგილობრივებმა საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, რომლის შემდეგ ქუჩაში მიტოვებული ჩვილი ჟვანიას სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმების განმარტებით, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.



## 5000-ლარიანი ფინანსური ვალდებულება მაჟორიტარი დეპუტატებისთვის

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს 5-ათასლარიანი ფინანსური ვალდებულება დაეკისრათ. გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი.

აღნიშნულ დეპოზიტზე შეტანილი თანხა კანდიდატს სრულად უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის არჩევნებში მიიღებს ამ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტს მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარი კანდიდატებისთვის ფინანსური ვალდებულების დაწესებას ვითომ ოპოზიციონერი **„ქრისტიან-დემოკრატები“** ითხოვდნენ, რომელიც მმართველმა ძალამ გაითვალისწინა კიდეც.

ახალი საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა გასული წლის 27 დეკემბერს დაამტკიცა.

მოკლედ, ძალაუფლების დაკარგვით გამოწვეული დაუძლეველი შიშისაგან თავი ველარ დაიხსნეს **„ნაციონალებმა“** და ერთიმეორის მიყოლებით იღებენ სულელურ, მაგრამ **„დრაკონულ კანონებს“,** რათა წესიერ (რომელთაც ამ ხელისუფლების პირობებში პურის ფულიც კი არ გააჩნიათ) ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება მოუსპონ.



## როკ-კლუბის დირექტორი ეკატერინე ლემონჯავა ამხელს – ანუ სააკაშვილ-მერაბიშვილის არაპროფესიონალი დოქსოპულოების სამარცხვინო მეთოდები

„თბილისის ცენტრში მდებარე როკ-კლუბის დირექტორ ეკატერინე ლემონჯავას მტკიცებით, შსს-ს უშიშროების განყოფილება მას თანამშრომლობას აიძულებს. ლემონჯავა აღნიშნულ ფაქტს მის „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერად გახდომას უკავშირებს და მთავარ პროკურატურას მასზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე გამოძიების დაწყებას სთხოვს. ლემონჯავას თქმით, იანვრის მიწურულს, დაახლოებით 19 საათზე, რუსთაველის 28-ში მდებარე როკ-კლუბში, რომელსაც იგი 2010 წლიდან ხელმძღვანელობს, მისთვის უცნობმა, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ორმა მამაკაცმა იგი ძალის გამოყენებით დააკავა, შსს-ს უშიშროების განყოფილებაში მიიყვანა და 40 წუთის განმავლობაში მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ“, – აღნიშნავენ ჟურნალისტები. როკ-კლუბის დირექტორი ამბობს, რომ უშიშროება მის გადაბირებას ცდილობდა.

„ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი საბუთის წარდგენის გარეშე ხელი მომკიდეს და წამიყვანეს. როდესაც ვიკითხე, სად მოვყავდი, მითხრეს, რომ მალე გამომიშვებდნენ. მიმიყვანეს გვერდით შენობაში, შემდეგ გავიგე, რომ ეს ეს შენობა შსს-ს უშიშროების განყოფილების ყოფილა. მეტალოდეტექტორზე შემამოწმეს და შემდეგ შემიყვანეს ოთახში, სადაც მათ შემოუერთდა მესამე პირი. ისინი შეურცხმყოფელი ფორმითა და ლექსიკით განმიმარტავდნენ, რომ ჩემი აყვანის მიზეზი იყო როკ-კლუბიდან სისტემატურად გამომავალი ხმაური, რომელიც თითქოსდა მეზობლებსა და მათ აწუხებდათ. 40 წუთის განმავლობაში სამივე მათგანი შეურაცხმყოფდა უშვერი სიტყვებით, ფიზიკური ზეწოლის მუქარით „ჩამოგიღებ კბილებს“, „თავზე დაგამხობ როკ-კლუბს“ და ა.შ. ჩათვალეს რა, რომ ფსიქოლოგირად გავტყდი, შემდეგ გადავიდნენ „გეგმის“ მეორე ნაწილზე, რაც გულისხმობდა შსს-ს უშიშროების სამსახურთან ნებაყოფლობით კონსპირაციულ თანამშომლობაზე თანხმობას. როგორც გაირკვა, მათი მიზანი არ იყო კლუბის მუშაობის შეწყვეტა“, – აცხადებს ეკატერინე ლემონჯავა.

„მითხრეს, რომ როკ-კლუბში დადიან მათთვის საინტერესო პერსონები და ჩემი თანამშრომლობა გაუადვილებდათ საქმეს. ჩემი მხრიდან უარის განცხადების შემდეგ დამემუქრნენ, რომ აღნიშნულ შენობაში შემოყვანილი არც ერთი ადამიანი არ გასულა იქიდან ამ „ხელშეკრულების“ გაუფორმებლად და რომ ისინი ამას ახლა თუ არა, რამდენიმე დღით შენობაში ჩემი გამომწყვდევის შემდეგ მაინც მიიღებდნენ. ბუნებრივია, ეს საუბარი სამივე თანამშრომლის მხრიდან მოდიოდა ძალიან დიდი ფსიქოლოგიური პრესინგის ქვეშ. ამასობაში, როგორ გაირკვა, ჩემს მოსაძებნად მოსულ ნაცნობებს დაცვამ დაუმალა აღნიშნულ შენობაში ჩემი ყოფნის თაობაზე. გამათავისუფლეს დაახლოებით 40 წუთის შემდეგ და გამაფრთხილეს, რომ ინფორმაცია უნდა ყოფილიყო კონფიდენციალური, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენების განვითარებაზე პასუხს არ აგებდნენ“, – იხსენებს ლემონჯავა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იძულებული გახდა ხელი მოეწერა აღნიშნული განცხადებისთვის, მაინც არ აპირებს მათთან თანამშრომლობას“, – აღნიშნავს დაზარალებული ქალბატონი.

„ჩემი გადაწყვეტილებით სრულად ვაცნობიერებ, რომ ვარ დიდი რისკის ქვეშ, ჩამოვედი ვა-ბანკს. ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები არიან საფრთხის წინაშე, თუმცა სხვანაირად არ შემეძლო. არ შემიძლია ჩემს მეგობრებზე რაღაც ინფორმაცია გადავცე და კიდევ ვინმეს ნარკოტიკი ჩავუდო. მინდა უშიშროების სამსახურს მივმართო და გარკვეული რჩევა მოვცე – იყვნენ ელემენტარულად ინტელექტუალურები და შეისწავლონ ელემენტარული ანბანი ადამიანთა „დავერბოვკების“ შესახებ, რადგან მათ ორი წლის განმავლობაში ისიც ვერ გააკეთეს, რომ შეესწავლათ ჩემი ფსიქოტიპი. შესაძლოა, უშიშროების მხრიდან ჩემით დაინტერესება „ქართულ ოცნებასთან“ ჩემს თანამშრომლობასთან იყოს დაკავშირებული. დაახლოებით ერთი კვირის წინ გავწევრიანდი მხარდამჭერად, თუმცა ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დაახლოებით ორი თვის წინ მივიღე მუქარის წერილი ტელეფონზე, სადაც ეწერა, რომ უშიშროებამ იცის ჩემი ყოველი ნაბიჯი. რაც შეეხება თანამშრომლობას, ამასთან დაკავშირებით კონკრეტული მითითებები არ მიმიღია გარდა იმისა, რომ ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთო“, – დასძენს გამოცემის ჟურნალისტებთან საუბრისას ეკატერინე ლემონჯავა.

როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნულ კლუბს რამდენჯერმე სტუმრობდა **„რესპუბლიკელი“** დავით ზურაბიშვილი. თუმცა ვერც ზურაბიშვილი და ვერც ლემონჯავა კლუბში მოსიარულე პოლიტიკოსების სიმრავლეს არ ადასტურებენ. ამიტომ ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ აღნიშნულით, ხელისუფლება ახალგაზრდების გაკონტროლებას ცდილობს: **„აქ იმართება პოეზიის და მუსიკის საღამოები. ეს არის ძირითადად ე.წ. ტუსოვკის ადგილი. მანდ არ დადიან კრიმინალები, რომ ხელისუფლებას უნდოდეს მათზე ინფორმაციის მიღება. ამიტომ ვფიქრობ, ამით ხელისუფლება ახალგაზრდების გაკონტროლებას ცდილობს – ეს არის ტიპური ფაშისტური და ტოტალიტარული სახელმწიფოს ქმედება“,** – ამბობს დავით ზურაბიშვილი. ადვოკატ შალვა თადუმაძის განცხადებით, აღნიშნული ქმედება შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და შესაბამის ორგანოებს სთხოვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

მომხდარის თაობაზე ლემონჯავამ წერილობით უკვე აცნობა საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას. წერილში ნათქვამია: – **„მოგმართავთ, შესაბამისმა სამსახურმა დაიწყოს ზემოხსენებულ ქმედებებზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რადგან ჩემს მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ჩამდენები მაღალი ალბათობით იყვნენ შსს-ს თანამშრომლები, თუმცა, ბუნებრივია, მე არ ვიცი მათი ვინაობა, მაგრამ შემიძლია მათი ამოცნობა. გთხოვთ, დროულად იქნენ გამოვლენილი და დასჯილი დამნაშავე პირები და აღარ მიეცეთ მათ ჩემი დევნისა და დისკრიმინაციის საშუალება“.**

სოზარ სუბარი ივანიშვილი გუნდის წევრის ამპლუაში საჯაროდ პირველად წარდგა საზოგადოების წინაშე. **„ქართულ ოცნებაში“** აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ სუბარი **გაერო**-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველია, რომელსაც ეკატერინე ლემონჯავამ მიმართა დახმარებისთვის და უამბო, როგორ გაიტაცეს უშიშროების თანამშრომლებმა და მათთან თანამშრომლობას აიძულებდნენ.

**„ძალიან ჩვეულებრივი ისტორიაა, კუდის ავტორობით ჩადენილი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ უკანონობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია და იმ არაპროფესიონალიზმსაც, რაც შს სამინისტროში სუფევს. ქალბატონი ეკატერინე, უბრალოდ, როკ-კლუბის ხელმძღვანელია, თვითონაც როკერი, მას მეტსახელიც დაარქვეს უკვე კუდ-ში – „როკერა“. ის ფაქტობრივად მოიტაცეს, სრულიად უკანონოდ წაიყვანეს. თანამშრომლებმა არ წარუდგინეს არავითარი საბუთი. ვინ იყვნენ, რას წარმოადგენენ. 40 წუთის განმავლობაში ჰყავდათ ჩაკეტილი შენობაში, რომელიც არ იცოდა, რა შენობა იყო. მოგვიანებით იქ მივედით და გავარკვიეთ, რომ ეს არის კუდ-ის შენობა. ის ხალხი, რომელიც ლემონჯავაზე ზეწოლას ახდენდა, შალვა რამიშვილის დახმარებით ამოვიცანით. იყო მუქარა, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა, აგინებდნენ ყველანაირი უშვერი სიტყვებით, გენიტალიების მოხსენიებით, აქედან ვერ გახვალ ისე, თუ თანამშრომლობას არ დათანხმდებიო“,** – განაცხადა სოზარ სუბარმა, რომლის განმარტებით ლემონჯავას ასე მხოლოდ იმის გამო მოექცნენ, რომ ერთი კვირის წინ გახდა **„ქართული ოცნების“** მხარდამჭერი, აღნიშნავენ ჟურნალისტები.

**საქ. ინფ.**

*ესეც შენი რეფორმა*

## ამერიკელი კონგრესმენი მეგობარ კაცზე ქორწინდება

მასაჩუსეტის შტატის კონგრესმენი, ბარნი ფრანკი თავის ჰომოსექსუალ პარტნიორზე, ჯიმ რიდზე ქორწინდება.

ქორწინებისთვის მზადების ფაქტი ფრანკის ოფისში უკვე დაადასტურეს. თავად კონგრესმენი აცხადებს, რომ ის და მისი საყვარელი თავიანთ ურთიერთობას მშობლიურ შტატში, მასაჩუსეტში დააკანონებენ. ამ შტატში ერთსქესიანი ქორწინებები 2004 წლიდან ლეგალიზებულია. ჯერჯერობით არ კონკრეტდება არც ცერემონიის ზუსტი თარიღი და არც ადგილი, თუ სად შედგება ქორწინება.

71 წლის კონგრესმენი და მისი მეგობარი, 42 წლის რიდი მენის შტატში ცხოვრობენ. ისინი ერთად ფლობენ ფოტოლაბორატორიას და ორივენი ფოტოგრაფიით არიან გატაცებულნი.

ფრანკი ერთ-ერთი პირველი იყო ამერიკელ პოლიტიკოსებს შორის, რომელმაც ჰომოსექსუალისტობა აღიარა. ეს განცხადება მან 1987 წელს გააკეთა და რამდენიმე თვის განმავლობაში მასმედიის მთავარი განსახილველი თემა გახდა.

შარშან, ნოემბერში კი ფრანკმა საჯაროდ განაცხადა, რომ ახალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. მისი თქმით, სურს მეტი დრო პედაგოგიურ მოღვაწეობას და წერას დაუთმოს.

**„არ მინდა კონგრესმენის სავარძელში მოვკვდე“,** – განაცხადა ფრანკმა, რომელსაც სექსუალური უმცირესობების უფლებებზე წიგნის დაწერა სურს.

აი, ვის ხელშია დღეს საქართველოს ბედი, ვინ წყვეტს, თუ ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი. როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი ჩაგვიყენონ სათავეში იმ ქვეყნის ხელისუფლებმა, რომელთა კონგრესმენი კაცები გათხოვებასა და სხვა ათას უბედურებაზე ფიქრობენ!

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად არ მსურს ასეთ საქართველოში ცხოვრება, რომელიც შევარდნაძემ, სააკაშვილის ხელით, ვერაგულად ჩაძირა ბიბლიურად მომაკვდინებელი შეცოდებების მორევში.

ჩვენს ხელისუფლებას კი შეაწუხებს არა იმის განცდა, რომ საქართველოს სოდომისა და გომორის ცოდვისაკენ მიაპროწიალებენ ამერიკელები, არამედ ის, რომ **“ქორწილში”** არ დაპატიჟებენ!



## ლავროვი: „სააკაშვილის ნებისმიერი განცხადება ჩიხში გვაქცევს“

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოსთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვების საპასუხოდ განაცხადა, **„რუსეთზე რომ იყოს დამოკიდებული, საქართველოსთან ურთიერთობის მრავალი მიმართულებით განვითარებაში არანაირი წინააღმდეგობა არ იარსებებდა“.**

**„ჩვენ არაერთხელ განვმარტეთ მიზეზები, რომელთა გამოც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ჩვენი ურთიერთობა შეუძლებელია. ვფიქრობ, ეს მიზეზები ყველას ესმის და ამაზე დეტალურად მე აღარ შევჩერდები. ჩვენი კავშირების გაფართოებისადმი ინტერესის გამოვლინებას რთულ სიტუაციაშიც კი, როდესაც საქართველოს ინიციატივით 2008 წელს დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა, ყოველთვის კონსტრუქციული რეაქცია ხვდება“,**– განაცხადა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, **„ურთიერთობები მრავალი მიმართულებით ვითარდება და მათ არ სურთ, რაიმე სახის სირთულეები შექმნან ორი ქვეყნის მოქალაქეების ურთიერთობებში“.**

**„ძალიან ბევრი კეთდება ჰუმანიტარულ სფეროში. კერძოდ, თეატრის მოღვაწეები, მსახიობები და რეჟისორები სტუმრობენ ერთმანეთს, დგამენ სპექტაკლებს და თამაშობენ. ჩვენ ამას ყველანაირად ვუწყობთ ხელს. ყველაზე კონსტრუქციული რეაქციით ხვდებიან ჰუმანიტარულ შემთხვევებს, როდესაც საუბარია ნათესავების მონახულებაზე, ქორწილებზე. ვაჭრობის სფეროში აუცილებელია, უფრო აქტიურად დავკავდეთ პარტნიორების ძებნით, რათა ქართული პროდუქცია იყიდებოდეს რუსეთში, რუსული კი, შესაბამისად, საქართველოში. შეუძლებელი არაფერია“,** – აღნიშნა ლავროვმა.

ამასთან, მინისტრი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის ნებისმიერი განცხადება მათ ჩიხში აქცევს.

**„...მაგრამ როცა მან განაცხადა, გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველი შემთხვევა იყოო, ჯერ გამეცინა, მერე კი მივხვდი, რომ ამას, ალბათ, ასწავლიან ბავშვებს ქართულ სკოლებში. ეს საშინელებაა. არადა, საუბარია ერთობლივ ისტორიაზე. საშინელებაა, როცა ისტორიული ფაქტი – საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა, მეორე მხრივ კი, თავი დაიძვრინოს აგრესიული მეზობლებისგან – მიეწოდებათ რუსეთის ოკუპაციად. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ მეორე მსოფლიო ომის წინ“,** – განაცხადა ლავროვმა და იქვე იმედი გამოთქვა, რომ **„ქართველი ხალხი იხელმძღვანელებს მისი ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე და არ აჰყვება მცდელობებს, დაითესოს მტრობა ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის“.**

**საქინფორმი**



## დევნილთა გამოსახლების დროს საერთაშორისო სტანდარტები დაირღვა

„Human Rights Watch“ საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ გამოქვეყნებულ საკმაოდ ვრცელ ანგარიშში წერს, რომ საქართველოს „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან




დევნილების გამოსახლების დროს საერთაშორისო სტანდარტები საერთოდ არ გაითვალისწინა.

**„2010 წლის ივნისიდან ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დროებითი საცხოვრებელი ფართებიდან დევნილთა გამოსახლება დაიწყო გრძელვადიანი დასახლების პრობლემის მოსაგვარებლად. ამ დროს ხელისუფლებამ დაარღვია საერთაშორისო სტანდარტები, რადგან არ წამოიწყო ჭეშმარიტი კონსულტაციები დევნილებთან, რომელიც ხელს შეუწყობდა შეთანხმებას კომპენსაციის ან ადეკვატური საცხოვრებელი ფართის შესახებ“,** – აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველოს 1990 და 2008 წლების კონფლიქტების შემდეგ 246 000 დევნილი ჰყავს.

# დავით მეფე ეკლესიის განმწმენდი ქვაბავაზაკთაგან და საქრისტიანოს გრაალის მცველი

**8 თებერვალი საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა –** დღე, როდესაც აღესრულა უდიდესი მეფე საქართველოსი; დღე, როდესაც ზეციურ წმინდანთა დასს შეერთო სანუკვარი საქართველოსათვის დამაშვრალი გვრიგვინოსნის სული

16 წლისა ავიდა ტახტზე... ჯერ კიდევ ყმაწვილს იავარქმნილი და დამპყრობთაგან აოხრებული საქართველო ერგო სამართავად... მაინც იდავითა და...

თურქ-სელჩუკთა შემოსევებსა და ბატონობას გადაგვარების პირას მიეყვანა ქვეყანა – **„თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა“**... მონარქს, გიორგი მეორეს, დავითის მამას, აღარ ძალ ედვა, აღეკვეთა დიდგვაროვანთა თავგასულობა. ჰოდა, გაამეფეს დავითი, **„თვით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა“** მას, ვისაც განგება აღმაშენებლობისათვის ამზადებდა – 1089 წელს საქართველოს მეფედ ჯერ კიდევ ყრმა უფლისწული, დავითი, ეკურთხა.

გამეფდა და: თურქთაგან დაიხსნა მათ უღელ ქვეშ მოქცეული ქალაქები...

დევნილი ხალხი მშობლიურ ფუძეს დაუბრუნა, ხელში გუთანი და საჭრეთელი ააღებინა და კვლავ დაინთო ცეცხლი ქართველთა ნაფუძარზე... შემოსული მტერი ქართული მიწიდან გადარეკა, შინაურ ორგულებს კი საკადრისი მიაგო და ერთგულება აიძულა...

ერთ–ერთი უპირველესი და უდიდესი ღონისძიება, რომელიც თავისი სვიანი მეფობის დროს ჩაატარა წმინდა მეფემ, დავით აღმაშენებელმა, იყო საეკლესიო რეფორმა – მან მოიწვია რუის-ურბნისის კრება, რომელმაც განკვეთა უღირსი ეპისკოპოსნი და წარმოაჩინა ზნეობრივნი: ამით ღვთის სახლი, რომელიც **„ქვაბ ავაზაკთა ქმნულიყო“**, ავაზაკებისგან განწმინდა.

საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონები ეხებოდა ეკლესიის მსახურებს, მათ დანაშაულს, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს როგორც ეკლესიის მსახურმა, ისე ერისკაცმა.

კრებაზე მიღებულ იქნა უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილებები:

ძეგლისწერა გადაყენებულად აცხადებდა უღირს მღვდელთმთავარს, მსახურს, რომელმაც სულისათვის ხორცი არ დათრგუნა;

დადგინდა ასევე, რომ ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი ოცდაათისა, დიაკონი ოცდახუთისა, **„წიგნის მკითხველი“** კი რვა წლისა.

ძეგლისწერა კრძალავდა ხელდასხმას ქრთამით, ძღვენით;

კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთაგან უნდა შერჩეულიყვნენ ისეთები, რომლებიც გათვითცნობიერებულები იქნებოდნენ საქრისტიანო წესებში, უანგაროდ მოემსახურებოდნენ ეკლესიის საქმეს;

იკრძალებოდა ეკლესიაში ერისკაცთა მიერ სამოქალაქო და სასოფლო სამსახური;

იკრძალებოდა მართლმადიდებლისა და წარმართის შეუღლება;

ძეგლისწერაში დასახელებული იყო ცოდვები: მტრობა, შური, კაცისკვლა, მრუშობა, კერპთმსახურება, ცრუ-ფიცი; განსაკუთრებული იყო სასჯელი სოდომური ცოდვისათვის, რადგან იგი განსხვავებულია სხვა ცოდვებისაგან. ყოველგვარი ნივთი, საგანი ღმერთმა შექმნა და მათ გარკვეული დანიშნულება მისცა ადამიანის სასარგებლოდ. სოდომური ცოდვა ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. ამ ცოდვამ დაღუპა მრავალი სახელმწიფო, მრავალ ხალხს დაუკარგა თავისუფლება. ამიტომ ძეგლისწერა მკაცრად ეხებოდა სოდომურ დანაშაულს, ე.ი. არაბუნებივ სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას, ლესბოსელობას, რასაც ესოდენ ახალისებს დღეს დავით აღმაშენებლისადმი საკუთარი თავის შემდარებელი სომეხი მიხეილ სააკაშვილი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუის–ურბნისის ძეგლისწერამ გადაარჩინა სულიერება და ზნეობრიობა ქართულ საეკლესიო ცხოვრებაში!

ებრძოდა ცოდვასა და გაუნათლებლობას, რადგანაც ეს ორივე ისეთივე საშიშ მტრებად მიაჩნდა საქართველოსი, როგორც თურქ-სელჩუკნი. თავადაც ქრისტიანის ჭეშმარიტი ცხოვრებით ცხოვრობდა და სხვათაგანაც ამას მოითხოვდა – ყოველდღე დაუთვლელად გასცემდა მოწყალებას და, თუ ქისას ბოლომდე ვერ დაცლიდა, იგლოვდა – არ შემიწყალაო უფალმა, არ მიიღოო ჩემნაირი ცოდვილის ხელიდან შესაწირი. ლოცვაში ათენებდა და ბრძოლაში აღამებდა – ღვთის მოყვარულ დავით მეფეს ყოველი ბოროტისაგან იცავდა თვით უფალი – ერთხელ, კარვის პირას მდგომი, მისთვის მოღალატისაგან ვერაგულად ნასროლი ისრისაგან იხსნა მთავარანგელოზის ხატმა, რომელიც მას გულზე ეკიდა!

წმინდა გიორგი მუდამ მისი მფარველი და თანამებრძოლი იყო – დიდგორის ველზე ხომ, ქართველთა მხარდამხარ მეომარი, მტრებმაც კი დაინახეს და შეძრწუნდნენ.



იბრძოდა და ქმნიდა... უფალს ავედრებდა საკუთარ ქვეყანას და ისიც მუდამ შეეწეოდა თავის რჩეულს – აღადგინა, განაძლიერა და განამშვენა სრულიად საქართველო, გასწია იგი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. მტერი მარტო ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქით კი არ განასხა, არამედ კავკასიიდან ამოუკვეთა ფეხი. ამიტომაც უწოდეს მახვილი მესიისა. მისი მოღვაწეობის ყველაზე ელვარე მარგალიტად მაინც დიდგორი რჩება – სახელი, რომლის მარტო ხსენებაც კი სიამაყით და სითბოთი ავსებს ყველა ქართველის გულს.

მეფე იყო და ყოველ ბრძოლაში წინ მიუძღოდა თავის მებრძოლებს. ბრძოლის ველს კი უკანასკნელი ტოვებდა. ერთხელ სამი ცხენი გამოუკლეს და მეოთხეზე ამხედრებულმა ანადგურა მტერი. ერთხელ კი, ჯავშანი რომ შეიხსნა, მტრის შედედებული სისხლი ბელტები გადმოცვივდა. უნდა ებრძოლა და იბრძოდა კიდეც. მაგრამ მის სულს ნაიარევებად აჩნდა დაღვრილი სისხლი... იმ სასტიკ დროში, როცა ჩვეულებრივი ამბავი იყო ხოცვა-ჟლეტა, გაგაოცებს ის ტკივილი და სინანული, დავითის აღსარების სტრიქონებიდან რომ მოსჩანს...

მეფე იყო, მაგრამ არასოდეს დავიწყნია, რომ მეფეცა და ბოგანოც ერთნაირად განიკითხება ღვთის წინაშე, რადგან მეფესაც ბოგანოსავით ეწვევა სიკვდილი...

**„ჟამი რაი წულილთა და ხმელთა ღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!..“** ჭეშმარიტი ქრისტიანის ჭეშმარიტი სინანულითა და თავმდაბლობითაა გაჯერებული მისი გალობა, რომელსაც **„გალობანი სინანულისანი“** უწოდა. კითხულობ და ხვდები – ეს პოეზიაცაა, ღვთისმეტყველებაც, ანდერძიცა და აღსარებაც...

ასეთი დიდი რეფორმების შემომტანი გვირგვინოსანი დიდი თავმდაბლობითაც გამოირჩეოდა – **„გალობანი სინანულისანის“** ავტორ ქართველთა მეფეს საკუთარი თავი **„უსწავლელ“, „მხედრობათა შინა აღზრდილ“** კაცად მიაჩნდა, თუმცა, მემატიანის ცნობით, დავითი ღრმად განსწავლული და უებრო მჭევრმეტყველი ყოფილა, რაც ცხადად გამოჩნდა მისი სეფე–სიტყვით ქართველთა და სომეხთა საღვთისმეტყველო კამათის დროს, როცა მოდავენი ჩიხში მოექცნენ და ხელმწიფემ ნათელი მოჰფინა სადავო საკითხს და მართლმადიდებელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

თვით ლაშქრობაშიც კი დავითი წმიდა წიგნებს დაატარებდა. ცნობილია ფაქტი, როდესაც **„სამოციქულოს“** კითხვას ისე გაუტაცნია, რომ მხლებელთ ჩამოსცილებია და გადაჰყრია თურქთა რაზმს, რომელსაც მარტო გამკლავებია!

დავითის აღმზრდელი, სულიერი მამა და განმანათლებელი კი გიორგი ჭყონდიდელი გახლდათ.

სწორედ ნაკითხობა და ბრძენი ჭყონდიდელისაგან მადლმოსილი წრთვნა გამოარჩევდა დავითს სხვა ქართველი თუ უცხო ქვეყნების მეფეებისაგან. 1089 წელს, 15 წლის ასაკში, საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, მაშინ, როცა კათოლიკური სამყარო ამზადებდა ჯვაროსნულ ომს ქრისტეს საფლავის ურჯულოთაგან გამოსახსნელად, დავითმა (უეჭველია – გიორგი ჭყონდიდელის შთაგონებით) წერილი მისწერა რომის პაპს და აუხსნა, რომ ვერავითარი ომები ამ საქმის დასაგვირგვინებლად ვერ გაამართლებენ. თუ ქრისტეს საფლავის დახსნა გვსურს, იქ ერთიანი ისრაელის სახლმწიფო უნდა შეიქმნასო – წერდა მეფე. ვატიკანი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის დღიდან ებრძოდა ებრაელობას, როგორც ქრისტეს მომაკვდინებელ ბოროტ ძალას, ამგვარი გამაოგნებელი შემოთავაზებისგან გაირინდა, კონკლავი კი ლამის შუაზე გასკდა. კათოლიკურ სამყაროში ვერავის წარმოდგინა, რომ ვატიკანი როდისმე ებრალთა ინტერესების დამცველი გახდებოდა, მაგრამ ყველანი შინაგანად გრძნობდნენ დავით აღმაშენებლის სიტყვების რეალობას. სამასი წელი იდგა ეს საკითხი დღის წესრიგში და მის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა, მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ისრაელის სახელმწიფოს საკითხი მაინც საქართველოს შვილმა, იოსებ სტლინმა გადაწყვიტა დადებითად და ზუსტად ისე, როგორც ამას დავით აღმაშენებელი სთავაზობდა სრულიად საქრისტიანოს. როგორც ჩანს, ქართველებს მართლაც საბედისწერო როლი გვაქვს ზენაარისაგან მონიჭებული ქრისტიანობისა და ქრისტეს საფლავის დაცვისათვის, რომელსაც დღეს, ჩვენივე მომდევნო მეფეების თავმოუბმელობისა და გულარხეინობის მიზეზით, ჩვენს ნაცვლად მონოფიზიტი სომხები უდგანან დარაჯად. მაგრამ, ეს რა გასაკვირია, როცა თვით სომეხი მიხეილ სააკაშვილი უყადრებს თავს და ადარებს საკუთარ არარაობას საქართველოს უდიდეს სიწმინდესა და სულიერების ხატად ქცეულ დავით აღმაშენებელს!

ყველაზე გულისამრევი კი ის არის, რომ ამ მკრეხელურ აზრს ზოგი აშკარად არაკეთილსინდისიერი მღვდელმთავარი აჟღერებს, რაც თავისთავად აყენებს დღის წესრიგში კიდევ ერთი რუის-ურბნისის კრების ჩატარების აუცილებლობას, ეკლესიის უწმინდური ძალებისაგან განსაწმენდად!

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ძველთაგანვე მრავალი ლექსია შემორჩენილი წმიდა მეფეზე. ქვემოთ გთავაზობთ დასკვნით სტროფს ერთი ასეთი პოეტური ქმნილებიდან:

**„მკურნალთ ხადოდის სულისა და ხორცთ შექმნილთა სენთასა,**
**მოწლედ სწყალობდის მოძღვართა ათონით მონავლენთასა,**
**ათენსა სწვრთნიდეს ჭაბუკთა იყალთოს მონასმენთასა,**
**სთესდის მადლსა და სიბრძნესა სულმნთებსა აღმაფრენთასა!“**

მეფე დავით აღმაშენებელი 1125 წელს გარდაიცვალა...

**რ. შალამბერიძე**

# აკონტროლებს თუ არა ხელისუფლება ინტერნეტსივრცეს?!

სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, საქართველოში ინტერნეტმოხმარება შეიზღუდოს. მოარული ხმებით, შეზღუდვა სოციალური ქსელების აქტიურ მომხმარებლებს ემუქრებათ. ამბობენ, რომ ხელისუფლება ამას მზრუნველობის საბაბით გაამართლებს – იტყვის, რომ სურს, ხალხი ახალი **„ნარკოტიკისგან“** იხსნას. უკვე გაისმის მინიშნებები, რომ ინტერნეტს, კერძოდ კი – სოციალურ ქსელებს, სწორედ ნარკოტიკივით შეუძლია ხალხის მიჩვევა და მართვა. ამის შედეგი მსოფლიომ უკვე ნახა არაბულ ქვეყნებსა და დიდ ბრიტანეთში – სოციალური ქსელებით ორგანიზებულმა ამბოხმა ქუჩებში ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალა. სოციალური ქსელების შეზღუდვის მცდელობა უკვე იყო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როცა გარე სამყაროსთან ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებად ინტერნეტი და სოცქსელები რჩებოდა, ქართულ-რუსული სახალხო ურთიერთობისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის აკრძალვის მიზნით ხელისუფლებამ რამდენიმე ვებგვერდი დაბლოკა, მათ შორის – სოციალური ქსელებიც. მაშინ საქართველოს ხელისუფლების საქციელი, ასე თუ ისე, გასაგები იყო. რა შეიძლება მოხდეს დღეს? ხომ არ გადაიქცევა **„ფეისბუკი“** ან სხვა ქსელი მოსახლეობის აზროვნების კონტროლის კიდევ ერთ მექანიზმად?

**რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:** – თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის გამო, უპირველესად, დასავლელი პარტნიორები მოსთხოვენ პასუხს საქართველოს ხელისუფლებას, ამიტომ ის ასეთ ნაბიჯს ადვილად ვერ გადადგამს. თუ სოცქსელები ისეთივე საფრთხეს შეუქმნის, როგორიც არაბული ქვეყნების ხელისუფალთ შეექმნათ, მაშინ მსგავს გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ, მაგრამ ამ ეტაპზე სოცქსელები საქართველოს მმართველთათვის ასეთი საშიში არ არის.

**– ანუ ტელევიზიებისგან განსხვავებით, დღეს სოციალური ქსელები ვერ შეძლებს ქუჩებში ხალხის გამოყვანას?**

– ქართველ ინტერნეტმომხმარებელსა და ზოგადად, ქართველ საზოგადოებაში ქუჩის აქციებისკენ მიდრეკილება არ გააჩნია. გამოკვლევების მიხედვით მოსახლეობის 77%-ზე მეტი თანახმაა, არჩევნების გზით შეცვალოს ხელისუფლება. ამასთან, სოცქსელებში, ძირითადად, ჩართულია ახალგაზრდობა, რომელიც პოლიტიკურად ინდიფერენტულია და თუ პოლიტიკოსებზე რაიმე კრიტიკულს ამბობს, ეს ორთქლის გამოშვება უფროა. საპროტესტო მუხტი საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებში უფრო იგრძნობა, თანაც – რეგიონის მცხოვრებლებში, რომლებიც, როგორც წესი, სოცქსელების მომხმარებლები არ არიან...

ცხადია, თუ სოციალური ქსელების მომხმარებელი გახდება საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და ქსელში გამოჩნდება ხელისუფლებისთვის საშიში პოლიტიკური განწყობა, ისინი დაფიქრდებიან, როგორ მოიქცნენ. პოლიტიკური მოვლენების კულმინაციამდე ერთი წელიც აღარ დარჩა... თუ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებამ გაიმარჯვა, სოციალური ქსელების კონტროლი აღარ დასჭირდება, რადგან მოსახლეობას ოპოზიციური მუხტი ისედაც ჩაუქრება; თუ ხელისუფლება დამარცხდა, ახალ ხელისუფლებას სოციალური ქსელების კონტროლი კიდევ დიდხანს არ დასჭირდება.

**– ესე იგი, დღეს სოციალურ ქსელებში საზოგადოების პოლიტიკური აქტიურობა ორთქლის გამოშვებას ჰგავს და ამიტომაც ის ხელისუფლებისთვის საშიში არ არის?**

– დიახ, თანაც თითოეული თავის ორთქლს უშვებს და ეს ორთქლი ღრუბლად და ჭექა-ქუხილად ჯერჯერობით არ იქცევა. შესაძლოა, ეს ქართული ხასიათის ბრალია... მოსახლეობის დიდ ნაწილს სოცქსელები დიდად არ იზიდავს. ჩვენ ტრადიციების მოყვარული ერი ვართ. არაბებსაც ვერ დავაბრალებთ არატრადიციულობას, მაგრამ ინერციულობა ჩვენ უფრო გვახასიათებს. გვიჯობს, შეჩვეულს არ გადაგვაჩვიონ და შეუჩვეველს არ შეგვაჩვიონ.

არაბები, სანამ ამბოხისთვის სოციალურ ქსელებს გამოიყენებდნენ, ორმოცი წელი ითმენდნენ ტირანიას. ბოლოს გასკდა კონფორმიზმის ბუშტი... აღსანიშნავია, რომ ისინი ტექნოლოგიური ცივილიზაციისკენ უფრო ისწრაფვიან.

სოციალური ქსელების ორგანიზაციულ ინსტრუმენტად გამოყენების ერთ-ერთი ინიციატორი ბარაქ ობამა იყო – საარჩევნო კამპანიის დროს მან სწორედ ასე შეძლო მომხრეთა მობილიზება, ამიტომ ფიქრობენ, რომ არაბულ სამყაროში მომხდარ მოვლენებში ამერიკული ხელი ურევია.

თანდათან ცხადი ხდება, რომ ამ ტელეფონის გამოყენება პაემნის დასანიშნად შეიძლება. თუ ამ მილიონებს ეტყვი, ამა და ამ ადგილზე შევხვდეთო, ეს უკვე პოლიტიკური აქცია იქნება და შეგიძლია მერე ამ აქციას მიმართულებაც მისცე. ინგლისმაც ახლა გააცნობიერა, რომ ეს ინსტრუმენტი არსებობს და საპროტესტო აქციის ორგანიზებისთვის გამოიყენა.

მოსალოდნელია, რომ ამ ქსელებმა კიდევ ბევრ ქვეყანაში შეასრულოს მსგავსი როლი და თავსატეხი საქართველოს ხელისუფლებასაც გაუჩინოს. თუმცა, არ არის გამორიცხული, თვითონ ხელისუფლებამ გამოიყენოს იგი და თავისი მომხრეები ჩართოს ამ სისტემაში.

დღეს ფორუმებზე ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება თავის ხალხს ამუშავებს. მან გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ორგანიზებულად მოქმედებს. არგუმენტაცია, ლოგიკა და ა.შ. სხვადასხვა ავატარის მატარებელ პიროვნებასთან ერთი და იგივეა და იმაზე მეტყველებს, რომ სათქმელი და სამოქმედო გეგმა ერთ კაბინეტში მზადდება, ოპოზიციის ხელწერა კი არ ჩანს, ანუ ოპოზიცია სოციალურ ქსელებსა და ზოგადად, ინტერნეტს სათანადოდ არ იყენებს.

თანამედროვე ტექნოლოგიებს, ისევე როგორც პიარს, ხელისუფლება მეტ ყურადღებას აქცევს და ოპერატიულად იყენებს. თუ ხელისუფლება დაასწრებს და უფრო ალღოიანად მოიქცევა (ანუ ადვილად არ გაიშიფრება), გამორიცხული არ არის, სწორედ ის შეიარაღდეს თანამედროვე ტექნოლოგიის შემოთავაზებული ამ ინსტრუმენტებით.

**ე. ლომიძე**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ქართველი ფეხბურთელები საქართველოს ფარგლებს გარეთ

## ნაკრებში ყველაზე ძვირადღირებული კაშიაა



საერთაშორისო სააგენტო „Transfermarkt“-მა საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა სატრანსფერო ფასები გამოაქვეყნა, სადაც 4 მილიონი ევროთი მერაბ ჟორდანიას კლუბ **„ვიტესის“** ქართველი კაპიტანი გურამ კაშია ლიდერობს. ქართველი მცველი ერედივიზიონის მიმდინარე სეზონში ერთ-ერთ საუკეთესო თამაშს აჩვენებს. რამდენიმე სოლიდურმა გამოცემამ ის სიმბოლურ ნაკრებებშიც შეიყვანა, ამიტომ მისი სატრანსფერო ფასის ზრდა სულაც არაა გასაკვირი.

სამ მილიონ ევროდ ალექსანდრე ამისულაშვილია შეფასებული, რომელმაც **„კრასნოდარის“** რიგებში ურიგო სეზონი ნამდვილად არ ჩაატარა.

ამისულაშვილს ფეხდაფეხ მოსკოვის **„სპარტაკის“** ჯანო ანანიძე მოსდევს, რომლის სატრანსფერო ფასი ახლა ორი მილიონი ევროა. ვინაიდან ანანიძე რუსეთში წლის იმედგაცრუებად დასახელდა, ტრავმების გამო გარკვეული პერიოდიც გაუცდა, ასეთი შეფასება მოულოდნელი არ ყოფილა. 1 500 000 თურქული **„კაიზერსპორის“** ქართველი მცველის – ზურაბ ხიზანიშვილის, სატრანსფერო ღირებულებაა, ხოლო 1 200 000-ად ეროვნულ გუნდში ნუკრი რევიშვილი (**„კრასნოდარი“**, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (**„კრივბასი“**, უკრაინა), ვლადიმერ დვალიშვილი (**„პოლონია“**, პოლონეთი) და ოთარ მარცვალაძე (**„კრასნოდარი“**, რუსეთი) არიან შეფასებული.

**„მილიონერთა“** ჯგუფს უკვე კვიპროსული **„ანორთოსისის“** ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი დავით კვირკველია ასრულებს, რომელის ღირებულებაც ზუსტად ერთი მილიონია.

ნაკრებში ყველაზე დაბალი სატრანსფერო ფასი უნგრული **„დიორის“** ქართველ ნახევარმცველ გიორგი განუგრავას აქვს (200 ათასი ევრო).

## მათე ვაწაძის უიღბლო შეკრება

ნიჟნი ნოვგოროდის **„ვოლგის“** ქართველმა ფორვარდმა მათე ვაწაძემ ალბანეთის ჩემპიონის წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო და გამოსაცვლელი შეიქნა. ეს დაახლოებით მე-20 წუთზე მოხდა. ჯერჯერობით უცნობია ტრავმის სიმძიმე. ქართველი ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას უახლოეს დღეებში გაივლის და დადგინდება, თუ რამდენი ხნით ვერ დაუბრუნდება მოედანს.

ცნობისთვის, დიმიტრი ჩერიშევის გუნდში 23 წლის ქართველი თავდამსხმელი მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. ამ ადგილზე ჩვენებური სეზონის ბოლო შეხვედრაში გამოჩნდა. გადანაცვლების მიზეზი ისაა, რომ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ჩერიშევს კვალიფიციური კადრი არ ჰყავს, ვაწაძეს კი ენდო და შეტევის გამწვავება ფლანგიდან დაევალა. ალბანელების წინააღმდეგაც სწორედ მარჯვენა ნახევარმცველის ამპლუაში თამაშობდა ქართველი ფეხბურთელი. **„რა თქმა უნდა, ძნელი სათამაშოა ფლანგზე, მაგრამ მწვრთნელმა მთხოვა, რომ ამ ადგილზე მეთამაშა, მაგრამ ახლა ტრავმა მივიღე. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცი, როდის დავიწყებ ვარჯიშს, თუმცა იმედი მაქვს, რომ მეორე შეკრებაზე დავიტვირთები“,** – ამბობს მათე.

მათე ვაწაძეს გიორგი მერებაშვილის **„დინამოში“** დაბრუნების შესახებაც ვკითხეთ. რუსეთში გადაბარგებული ფეხბურთელი თვლის, რომ მერებაშვილის დაბრუნება მის ყოფილ კლუბს გააძლიერებს: **„გამიხარდა გიორგის დაბრუნება. ის ხალხს უყვარს. მან იცის, როგორ უნდა ითამაშოს „დინამოში“ და დაეხმაროს გუნდს. კარგად ითამაშებს, დარწმუნებული ვარ“.**

**„ვოლგა“** თურქეთში 7 იანვარს გაემგზავრა. მათესთან ერთად შეკრებაზე მხოლოდ ერთი ქართველი გია გრიგალავა იმყოფება. ქართველი თავდამსხმელისთვის ამ დრომდე უცნობია, თუ რატომ დატოვეს გუნდი სხვა თანამემამულეებმა.

მეორე შეკრებას ნიჟნინოვგოროდელები კვიპროსში გამართავენ, სადაც მალე გაემგზავრებიან. არ არის გამორიცხული, რომ ვაწაძემ ბელეკში მიღებული ტრავმა საქართველოში მოიშუშოს, კვიპროსში კი გუნდს შეკრების დაწყების შემდეგ შეუერთდება.

## ვლადიმერ დვალიშვილი პოლონეთში ყველაზე მდიდარი უცხოელია?

საინტერესო ამბავი გამოაქვეყნა ბელარუსულმა ინტერნეტგამოცემა **„სპორტპანორამამ“**. ჟურნალისტი დაინტერესდა, წლიურად რა შემოსავალი აქვს ბელარუსის ნაკრების და პოლონური **„ლეხის“** ნახევარმცველ სერგეი კრივეცს, ექსტრაკლასის უმდიდრესი ლეგიონერების ათეული შეადგინა და სწორედ აქ აღმოვაჩინეთ ჩვენთვის საინტერესო ფაქტი.

ყველაზე მდიდარი **„ლეხის“** კოლუმბიელი ლეგიონერი მანუელ არბოლედა ყოფილა – ის წელიწადში 1,75 მილიონ ზლოტს იღებს (დაახლოებით 552,316 დოლარს), **„ვისლას“** ჰოლანდიელი კიუ იალიენსი – 1,3 მილიონს (410,233 დოლარს), **„ლეგიას“** ხორვატი ილიცა ვრდოლიაკი კი – 1,25 მილიონს (394,567 დოლარს), ბელარუსი კრივეცი კი დაახლოებით 300 ათას ევროს მიიღებს წელიწადში და მე-5-მე-7 ადგილზეა.

**„თუმცა, იანვრიდან პოლონეთის ექსტრაკლასას ყველაზე მდიდარი ლეგიონერი ქართველი ლადო დვალიშვილი იქნება, რომელიც ვარშავის „პოლონიასთან“ გაფორმებული კონტრაქტით გუნდისგან 2,78 მილიონ ზლოტს მიიღებს ( 875,715 დოლარს)“** – წერს **„სპორტპანორამა“**.

აქვე, სხვა სარწმუნო წყაროც გვინდა მოვიშველიოთ: ებრაული ინტერნეტსააგენტო **„ისრალენდის“** გავრცელებულ ცნობას თუ გავითვალისწინებთ, ეს უნდა იყოს არა წლიური, არამედ საკონტრაქტო პერიოდში ასაღები თანხა და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი კრივეცის **„კონკუ- რენტი“** უფრო უნდა იყოს, ვიდრე ლიდერ იალიენსისა.

**„ჰაიფას „მაკაბის“ ბოლო სამი წლის საუკეთესო ბომბარდირი ლადო დვალიშვილი პოლონეთში იმყოფება და ვარშავის „პოლონიასთან“ საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებს. ლადო დვალიშვილი იმედოვნებს, რომ პოლონელები დათანხმდებიან ყოველ წელიწადს 300 ათასი ევროს გადახდას. ქართველი თავდამსხმელი 200 ათასზეც უარს იყო. „პოლონიასთან“ სათანადო კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში კი, „მაკაბი“ კომპენსაციის სახით 300 ათასს მიიღებს“** – წერდა **„ისრალენდი“** დვალიშვილის პოლონეთში გადასვლამდე.

ცხადია, საბოლოოდ, ციფრები შეიცვალა, მაგრამ როგორ, ამაზე განსხვავებული ცნობებია: პოსტსაბჭოეთში ცნობილი **„ცისოკერი“** იუწყება, რომ დვალიშვილის 2,5-წლიან კონტრაქტში ჰაიფას **„მაკაბი“** 250 ათას ევროს მიიღებს, თავად ფეხბურთელი კი წელიწადში 600 ათას ევროსო – ეს კიდევ რაღაც ახალია. მოკლედ, ვერ გაიგებ, რეალურად რამდენს მიიღებს ფეხბურთელი – რასაც აიღებს, ღმერთმა შეარგოს, არ მოუპარია.

ისრაელში ჩასვლის შემთხვევაში, თურმე, ქართველს პრობლემის მოგვარებაც მოუწევს. აი, რას წერს **„ისრალენდი“: „პოლონეთში გადასვლამდე მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის, დვალიშვილი ისრაელის საგზაო პოლიციამ დააკავა და დააჯარიმა.**

**სანამ მოთამაშე პოლონეთში თავის საქმეებს არკვევს, მისი ადვოკატები ისრაელში სატრანსპორტო სასამართლოსგან კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას იმედოვნებენ. ისინი სთავაზობენ შემდეგ ვარიანტს: დვალიშვილი აღიარებს საკუთარ დანაშაულს, გადაიხდის საკმაოდ დიდ ჯარიმას და დათანხმდება მისი მართვის მოწმობის ისრაელში ხანგრძლივი ვადით ანულირებას. სამაგიეროდ, ქართველი ლეგიონერი ისრაელში თავისუფლად ჩასვლისა და გასვლის უფლებას ითხოვს“.**



## ცხოვრების სურო

**სუროს აბია შვიდი ფოთოლი,**
**და სულში ცეცხლი ისევ ანთია.**
**ნაზად ირხევა ექვსი ფოთოლი,**
**და სევდამ უკვე ფიქრი არია.**
**საწყლად ჰკიდია ხუთი ფოთოლი –**
**ეს სილამაზე არ მინახია.**
**ვხედავ – მწვანეა ოთხი ფოთოლი**
**ჩემი ცხოვრება სულის ლანდია**
**სუროზე დარჩა სამი ფოთოლი**
**არ ვიცი, ქვეყნად რა მიხარია...**
**დღეს ობლად დარჩა ორი ფოთოლი,**
**მე ჯერ ასე შორს არ მიმგზავრია.**
**სულ მარტო დარჩა ერთი ფოთოლი,**
**ვიცი, ეს უკვე ბოლო წამია...**

გიორგი სისაური

14 წლის.

## სქანი გოლუაფირო

**შენგან მოდის ქართულ გენის**
**სიჭკვიანე, დიდება,**
**ჩემს ძარღვებში სისხლი რომ ჩქეფს,**
**შენგან მოედინება.**
**გულით მინდა თქვენს სავალ გზებს**
**სიყვარული ვაფინო,**
**ერთი ჯიშის და მოდგმის ვართ**
**სქანი გოლუაფირო.**
**მზად ვარ, რომ შენს ჭრილობებზე**
**მალამოდ დაგეფინო,**
**იდღეგრძელე სამეგრელოვ,**
**სქანი გოლუაფირო.**

მარინა ნებიერიძე

## იტალიელმა მოზარდმა იტალიურ-მეგრული ლექსიკონი შეადგინა და ვიდეოგაკვეთილებს ატარებს

ვიდეოპორტალ **„იუთუბზე“** ერთი უცნაური ვიდეორგოლი გავრცელდა: იტალიელმა მოზარდმა მეგრული ენის პოპულარიზაცია გადაწყვიტა და ამისთვის ინტერნეტს იყენებს.

ვიდეოს აღწერაში არაა მითითებული არც მოზარდის ვინაობა, არც ქალაქი, სადაც ცხოვრობს. ვიდეოს კომენტატორებში, რომელთა უმრავლესობა ქართველია, ამ რგოლმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია: ნაწილი მიიჩნევს, რომ აქცენტისა და სახლის ინტერიერის გათვალისწინებით, ბიჭუნა ტიპიური ქართველია, რომელმაც კარგად იცის იტალიური და უბრალოდ, ხუმრობს, მაგრამ უმრავლესობა ასკვნის, რომ მოზარდი ნამდვილად იტალიელია და ეს კილოზეც ეტყობა.

სანამ მეგრულად იგავის თხრობაზე გადავა, მოზარდი იტალიურ ენაზე შესავალს აკეთებს და ამბობს, რომ მეგრული ენა ფრანგულს წააგავს. იქვე მიუთითებს, რომ ფრანგულიც იცის, მერე კი ვებ-კამერაში აჩენს ლექსიკონს, რომელიც იტალიურ-მეგრულ-რუსული ლექსიკონის ერთგვარი ნიმუშია. დაუდგენელია, ეს ლექსიკონი ხელნაწერია თუ სტამბური წესით დაბეჭდილი, მაგრამ ფაქტია, რომ ვიდეოგაკვეთილისთვის მოზარდი სწორედ მას იშველიებს.

რაც შეეხება მეგრულ ენაზე ბიჭის მიერ წარმოთქმულ იგავს, **„მეთევზე და თევზი“** გახლავთ და მისი ის ფრაგმენტი, რასაც ბიჭი დიდის ჯახირითა და გაჭირვებით, მაგრამ, ძირითადად, მაინც სწორად კითხულობს, ასე გამოიყურება:

**„იყო ერთი მოხუცი კაცი და ჰყავდა ერთი შვილი. ერთხელ მეთევზემ სათევზაოდ შვილი გაუშვა. ბიჭმა ბევრი იარა, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირა. ბოლოს ერთი პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი თევზი დაიჭირა. მეთევზის შვილს შეეცოდა პატარა თევზი და ის ზღვაში ჩააბრუნა. სახლში რომ დაბრუნდა, მეთევზემ ჰკითხა – თევზი დაიჭირეო? შვილმა უპასუხა, ერთი პატარა თევზი დავიჭირე, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო, შემეცოდა და გავუშვიო“.**

**რედაქციის შენიშვნა:** ამ ვიდეოში საინტერესო გახლავთ არა იმდენად ის, მოზარდი ეროვნებით იტალიელია თუ ქართველი, არამედ ლექსიკონი, რომელიც სამ ენაზეა შედგენილი. დამაფიქრებელი აქ არაფერია, გარდა იმისა, რომ როგორც წესი, ასეთი **„ლექსიკონების“** შედგენა, გავრცელება და პოპულარიზაცია ჯერ კიდევ წლების წინ შედიოდა ჩვენს არაკეთილმოსურნეთა მეთოდებში და მისი მიზანი არა მეგრულის პოპულარიზაცია, არამედ იმ გეგმის ამოქმედება იყო, რომელსაც თითქოსდა მეგრული ენის დაცვის მოთხოვნით სამეგრელოში **„სახალხო გამოსვლები“** უნდა მოჰყოლოდა. თუმცა, ამ ვერაგულმა გეგმამ კრახი განიცადა, რადგან სამეგრელოს რეგიონში მისი გატარების მცდელობამ მოსახლეობის უკურეაქცია გამოიწვია – აგრესია მხოლოდ გეგმის განხორციელებისთვის შერჩეულმა **„მოხალისეებმა“** იწვნიეს საკუთარ თავზე, რაც ამ მზაკვრულ გეგმაზე უარის თქმის მიზეზი გახდა.

## საქართველოში ონკოლოგიურ დაავადებათა რისკვი იზრდება

საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვმა იმატა. საგანგაშო სტატისტიკის მიხედვით, კიბოს გამოვლენის სიხშირე 8-დან 12 პროცენტამდე გაიზარდა. სიმსივნით დაავადებულთა რიცხვი ახალგაზრდებშიც მომატებულია.

საქართველოში დღეისათვის ყოველწლიურად 7 ათასი ახალი შემთხვევა ვლინდება, სპეციალისტთა პროგნოზით, ეს რიცხვი 2020 წლისთვის 11-12 ათასს მიაღწევს.

მედიკოსები აცხადებენ, რომ დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი საშუალება ადრეული დიაგნოსტიკაა, რაც განკურნების შანსს ზრდის. ექიმები მოსახლეობას ურჩევენ, ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სასწრაფოდ მიმართონ სპეციალისტებს და დროული გამოკვლევები ჩაიტარონ.

შარშან ქვეყანა მოიცვა ცნობამ იმის თაობაზე, რომ საოცარი წამალი გამოიგონა თელავში მცხოვრებმა სახალხო მკურნალმა ბიჭიკო გაგნიძემ, რომელიც მრავალ, მათ შორის ონკოლოგიურ დაავადებებსაც უმკლავდებოდა და რამდენიმე ისეთი პაციენტიც კი განკურნა, რომელსაც სხეულზე უკვე მეტასტაზები ჰქონდა მოდებული. დიდი ჯახირისა და ჩინოვნიკურ აპარატთან ჭიდაობის შემდეგ ბიჭიკო გაგნიძემ, როგორც იქნა, თავისი წამალი დააპატენტა და ლიცენზია მიიღო. გაგნიძის წამალი ლამის ოცჯერ და ოცდაათჯერ იაფი უჯდებოდა პაციენტს, ვიდრე თანამედროვე კლინიკური მკურნალობა, თანაც იმ განსხვავებით, რომ ოფიციალურ მედიცინასთან კავშირი, ამ შემთხვევაში, პაციენტისათვის ფულის წყალში გადაყრა უფრო გახლდათ, რადგან მას მხოლოდ სიცოცლეს მცირეოდენ უხანგრძლივებდნენ, მაგრამ განკურნების ვერავითარ გარანტიას ვერ აძლევდნენ. გაგნიძესთან ყავარჯნებით მისული ადამიანები კი მალე კვლავ ებმებოდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში.

იკლო ხალხის ნაკადმა პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში, მათ აღარ ეყოდებოდათ კაპიკებში უცხოეთიდან შემოტანილი პრეპარატები, რომელსაც ცეცხლის ფასად ასაღებდნენ ავადმყოფებზე.

სწორედ ეს არ აძლევდა ხელს წამლის მაფიას და მათ ყოველი მხრიდან შეუტიეს სიკეთის მკეთებელ ადამიანს.

გაგნიძეს ოცდაათიათას ადამიანზე მეტი ემადლიერებოდა, რადგან მძიმე ავადმყოფობისაგან დაიხსნა ისინი, წამლის მაფიოზებმა და მათმა ჟურნალისტმა დამქაშებმა კი სამი ადამიანი ძლივს მოძებნეს, რომელთაც უჩივლეს გაგნიძეს და სწორედ ამ სამი ადამიანი საჩივრის საფუძველზე ჩამოართვეს ლიცენზია.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge